

ქალაქის საკრებულო



K 179652  
3

ქალაქის  
საკრებულო

• მუცხრანის •  
1988

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ბიოლოგიის განყოფილება

ОТДЕЛЕНИЕ БИОЛОГИИ



შალვა ისაკაძე



# ПАРК ВЕРСАЛЯ

SHALVA ISAKADZE

PARK OF VERSALLES

«МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1980

შალვა ინგოგაძე



# პერსალის კარკი



„მეცნიერება“  
თბილისი  
1980

379.6(4)  
42.37(4 ტრ)  
712(44)  
o 835

ვერსალის ჩახვი



ვერსალში (საფრანგეთი) ევროპის ერთ-ერთი უბრწყინვალესი საბალო-საპარკო ხელოვნების ძეგლი შემორჩა, რომლის მშენებლობა 1660 წელს დაიწყო და ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა.

მსოფლიო ბაღ-პარკებს შორის ვერსალის პარკი უდიდესი და ყველაზე პოპულარულია. ეს საბალო ხელოვნების უბალო ნიმუში და საპარკო ხელოვნების შესანიშნავი ანსამბლი XVII საუკუნეს განეკუთვნება.

ვერსალი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან უამრავ მნახველს იზიდავს, ხოლო პარკის მრავალრიცხოვანი და ნაირფეროვანი მცენარეული საფარი, დიდებული ხუროთმოძღვრული შენობა-ნაგებობები და მისი მაღალმხატვრულად გაფორმებული ინტერიერები, მცირე არქიტექტურული ფორმები, წყლის პარტერები და შადრევნები საყოველთაო განცვიფრებას იწვევს.


წიგნის ავტორი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი შალვა ისაკაძე ამას წინათ საფრანგეთს ეწვია და საბალო-საპარკო ხელოვნების ნიმუშებს შორის საფუძვლიანად გაეცნო ვერსალის პარკს. მან მხატვრულად გაფორმებული ლანდშაფტური კუთხეები ავგემა და მცენარეული საფარის დიდი ნაირსახეობა აღწერა, ხოლო პირადად გადაღებული ფოტომასალა თვალსაჩინოებისათვის წინამდებარე წიგნში უხვადაა ჩართული.

K179,652

რედაქტორი აკად. ვ. ვულისაშვილი

21006  
M 607(06)—80 99—80

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980



## წინასიტყვაობა

ვერსალის ხუროთმოძღვრული ანსამბლი და საპარკო ხელოვნება არქიტექტურული ორიგინალობითა და მცენარეული საფარის ნაირფეროვნებით ერთ-ერთი უდიდესი და უბრწყინვალესი პარკია მსოფლიოს პარკებსა და ბაღებს შორის. რაც ადამიანის გონებამ და ხელმა შექმნა, ვერსალის პარკის მსგავსი მოცულობით, დავევმარების ორიგინალური სტილით, სივრცითი გადაადგილებით, მხატვრულ-ესთეტიკური იერით, არქიტექტურული შენობა-ნაგებობებით, ინტერიერის მხატვრული გაფორმებით, მცირე ხუროთმოძღვრული ფორმების სიმრავლით, საბალო-საპარკო ხელოვნების მოხდენილი ხერხების გამოყენებით, დეკორაციული ხე-ბუჩქების, ყვავილებისა და მოლის ნაირსახეობით, წყლის სივრცეებისა და ელემენტების სიჭარბით, ადგილმდებარეობის უზარმაზარი ფართობებისა და სივრცითი შეთანაწყობით, ფერისა და დეკორაციული ნიშან-თვისებების შეხამებით ბაღალი არ მოეძებნება.

ვერსალის პარკი ყველა დროის ყველაზე დიდი პარკია, რაც კი კაცობრიობის გონებასა და აზრს შეუქმნია. იგი მსოფლიო არქიტექტურული საპარკო ანსამბლების მწკრივში ერთია და ერთადერთი იქნება, როგორც ხელთუქმნელი საბალო-საპარკო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში. ვერსალის პარკი 300 წლის მანძილზე ტონს იძლეოდა და ზემოაღადაც სამყაროს კარნახობს თუ ადამიანის გონებასა და ძალას რა დიდი პოტენციალური შესაძლებლობა გააჩნია. იგი საბალო-საპარკო ხელოვნების ბრწყინვალე ეტალონია და ლანდშაფტური არქიტექტურის ცოცხალი სახელმძღვანელო. ამ ზღაბრულ სამყაროში ჩამოყალიბდა და მსოფლიოში გავრცელდა საბალო-საპარკო ხელოვნების სრულიად ახალი ხერხები და აგების პრინციპები. ვერსალის პარკით საფრანგეთმა მსოფლიო საბალო-საპარკო ხელოვნებასა და ლანდშაფტურ არქიტექტურაში შექმნა ბაღ-პარკების აგების დამოუკიდებელი და ერთადერთი თვითმყოფადი მიმართულება, რაც ამჟამად კლასიკური და ფრანგული სტილის სახელწოდებითაა ცნობილი. ვერსალის პარკი ერთადერთია მსოფლიოში, რო-



მელმაც უბიძგა სხვა ქვეყნებსა და სახელმწიფოებს, თუ როგორი დაგეგმარების, მიმართულებითი სტილით და ტექნიკური საშუალებებით შექმნილიყო საბაღო-საპარკო ხელოვნების ამგვარი წარმოქმნა. მართლაც, ცნობილია, რომ იმ დროს ყველა ცდილობდა ვერსალის ხელოვნებისა და ცხოვრებისეული რითმისადმი მიბაძვას.

ამ შესანიშნავი არქიტექტურული და საპარკო მცენარეული ანსამბლის შექმნაზე მუშაობდა გამოჩენილ მოღვაწეთა და ხელოვნების ნიჭიერი ოსტატების უზარმაზარი პლეადა. ამ შემოქმედებით ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ: არქიტექტორები, მხატვრები, მოქანდაკეები, პარკმშენებლები, ლეკორატორები, მებაღეები, იუველიერები, ქარვისა და ხელგარჯილობის სპეციალისტები, ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების ოსტატები, რომლებმაც შექმნეს რთული და არქიტექტურულად დამთავრებული ხუროთმოძღვრული კომპლექსი, ხოლო მხატვრულად გაფორმებულ და მაღალ დეკორაციულ სისტემაში გააერთიანეს ვერსალის სასახლის მონუმენტური ნაგებობების კომპლექსი და საპარკო მცენარეული საფარის კომპოზიციური ნაწარმოებები.

ვსარგებლობ შემთხვევით და უდრმეს მადლობას მოვასხენებ საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაკებს, რომლებმაც წმინდა მეგობრული გულთბილი დამოკიდებულებით ხელი შემიწვევეს მუშაობაში.

მუშაობის დროს დიდ დახმარებას გვიწვედა დოც. თ. ჩინუა, ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. რ. მეტრეველი, ჟურნალისტი თ. სტეპანოვი, ფილოლოგები: ნ. ავალიანი, მ. მხეიძე, ნ. გურგენიძე, მათ მადლობის გრძნობით მოვიხსენიებთ.

ვერსალის პარკზე წიგნის გამოცემა და მასალების თავმოყრა ქართულ ენაზე წარმოადგენს პირველ ცდას, ამიტომ, რასაკვირველია, არ იქნება მოკლებული ნაკლსა და ხარვეზებს. მკითხველთა საქმიანი შენიშვნები და სურვილები მადლობის გრძნობით იქნება მიღებული.

შ. ისაკაძე

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ვერსალი XVII საუკუნის ფრანგული კლასიციზმის დამახასიათებელი ნიმუშია, რომელიც საფრანგეთის აბსოლუტიზმის განმტკიცების ეპოქაში ჩამოყალიბდა. ვერსალის არქიტექტურული ანსამბლი XVII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა, რომელსაც წინ უსწრებდა XVI საუკუნეში, საფრანგეთის სამოქალაქო ომების დამთავრების შედეგად, სახელმწიფოში შექმნილი პოლიტიკური სიმშვიდე და ქვეყნის ეკონომიური განვითარების მდგომარეობა. სახელმწიფო ეკონომიკის პოტენციალურმა შესაძლებლობამ ძირეულად განსაზღვრა ფრანგი ხალხის სულიერი ცხოვრების დიდი აღმავლობა, თუმცა ვერსალის ამშენებლობა აბსოლუტური მონარქიის ნათელი გამოხატულება იყო და საგვარეულო მაღალი წრის წარმომადგენელთა გარკვეული ჯგუფის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. აქაიქ, ჯერ კიდევ შემორჩენილი ბურჟუაზიულ-რეაქციული ძალებით და სახელმწიფოს სოციალური გარდაქმნებით უკმაყოფილონი აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს და ქვეყნის ბედ-უკუღმართობით გამწყრალნი ვერ ინებებდნენ ცენტრალიზებული მონარქიის შექმნას, რომელსაც დაქუცმაცებული, ფეოდალური სამფლობელოების ერთმონარქიულ სისტემაში გაერთიანება მოჰყვა.

XVII და XVIII საუკუნეების ფრანგულ ხუროთმოძღვრებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა იტალიური ბაროკოს არქიტექტურულმა მიმართულებამ. ბაროკოს არქიტექტურული სტილი იტალიაში ჩაისახა. კერძოდ, XVI საუკუნის 20-იან წლებში რომში ჩაყვარა საფუძველი, ხოლო იტალიის სახელმწიფოში ეს მიმდინარეობა ინერგება და ფართოდ ვრცელდება XVI საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ზეგავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ფართოდ აისახა ევროპის ხუროთმოძღვრებაში, განსაკუთრებით კი ქალაქმშენებლობაში. XVII საუკუნეში ბაროკო უმაღლეს საფეხურს აღწევს და აბსოლუტიზმის აყვავების ეპოქაში დამოუკიდებელი არქიტექტურული მიმართულების სახით გვევლინება.

საფრანგეთის შუა საუკუნეების არქიტექტურა მეტად თვითმყოფადი და თავისებურია. ევროპის ქვეყნებში იტალიური გავრცელება იმდენად ძლიერი იყო, რომ თვისობრივი და გარკვეული არქიტექტურული ფორმების ასახვა ფრანგულ ხუროთმოძღვრებაშიაც მოახდინა. ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით საფრანგეთში არქიტექტურული სინთეზი შეიქმნა, რომელშიც გაერთიანდა იტალიური რენესანსი და ფრანგული შუა საუკუნეების არქიტექტურული ელემენტები.

XVII და XVIII საუკუნეების ფრანგული არქიტექტურა თვითმყოფადი ფორმებით და მეტად თავისებური კომპოზიციური სიუხვით გვევლინება. ამ პერიოდის ფრანგულმა ხუროთმოძღვრებამ მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო, რომელშიც არქიტექტურის დინამიკური ფორმები და კომპოზიციები ორგანულადაა შერწყმული გამოყენებითი ხელოვნების (მხატვრობა, ქანდაკება) დარგებთან. ფრანგული ხუროთმოძღვრების ამ ახალმა მიმართულებებმა მსოფლიოს არქიტექტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, ხოლო სხვადასხვა ხელოვნების დახვეწამ თვისობრივი ასახვა საბადო-საპარკო ხელოვნებასა და ლანდშაფტური არქიტექტურის დარგშიც ჰპოვა.

## საფრანგეთის საბალო-საპარკო ხელოვნება

ფრანგული კლასიციზმის ეპოქაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საბალო-საპარკო ხელოვნება დამოუკიდებელი სახით გვევლინება. ფრანგული ბაღების შედგენის თვალსაჩინო და ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ადგილმდებარეობის მაქსიმალური დამუშავების დროს სწორი სიბრტყეების მიღება და ვრცელ ტერიტორიაზე საპარკო კომპოზიციების გემოვნებით და დიდი გააზრებით განლაგება. სამეფო და დიდებულ საგვარეულო წარმომადგენელთა მამულებში, წვეულებებისა და დღესასწაულების ვრცელ სივრცეში თავისუფლად ჩასატარებლად, რელიეფური ადგილმდებარეობა რატომ უნდა, გარკვეულ სირთულეებს იწვევდა, ამიტომ იმთავითვე პარკის დენდროლოგიური კომპოზიციების მოწყობასა და მცენარეთა დარგვას წინ უსწრებდა ტერიტორიის სწორ სიბრტყეებში გამოყვანა და რელიეფური ადგილების მოშანდაკება.

XVII ს. ფრანგული ბაღები უადრესად დიდი ფართობებით გამოირჩეოდნენ, რაც ვრცელი სივრცეებისა და პერსპექტივების შექმნის საწინდარს წარმოადგენდა. ამგვარი ადგილმდებარეობის გაკეთილშობილების მიზნით გამოიყენებოდა წმინდა გეომეტრიული სტილი, რომელიც არქიტექტურული ფორმებისა და მცენარეთა განლაგების დიდი სიმეტრიულობით გამოირჩეოდა. ამ ეპოქისათვის არსებულ ფრანგულ ბაღებში სიმეტრიისა და კომპოზიციის ღერძი ტერიტორიის შუა წელში გვემარდებოდა, ხოლო კომპოზიციის წერტილს მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი ან მთავარი ხუროთმოძღვრული შენობა-ნაგებობა წარმოადგენდა. ეს წერტილი აერთიანებდა პარკის მნიშვნელოვან ელემენტებს და განყოფილებებს; როგორც წესი, ფრანგულ ბაღებში ასეთ წერტილს სასახლის დიდებული აუზ-შადრევნები წარმოადგენდა.

ფრანგული ბაღის ერთ-ერთი აუცილებელი და ძირითადი კომპონენტთაგანია წყლის ელემენტები, როგორცაა: წყლის არხი, წყალ-



საცავი, ტბა, მდინარე, აუზი, შადრევანი, ჩანჩქერი, ნაკადული, რუს-  
 ხმული. ამგვარი ელემენტები მცენარეულ მასივში თუ ყვავილნარის  
 პარტიკში ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ. მცენარე-  
 ქიტექტურული ფორმები და, განსაკუთრებით, ქანდაკებების მოხდე-  
 ნილი შეხამებები მერქნიან მცენარეთა კომპოზიციებს მაღალ დეკო-  
 რაციულ იერს ანიჭებდა. მცენარეული საფარი ძირითადად მასივების  
 სახითაა წარმოდგენილი, თუმცა იქ, სადაც აუცილებლობა მოითხოვ-  
 და, დეკორაციული მცენარე ერთეული (სოლიტერი) ან მცირე ჯგუ-  
 ფების სახითაც ირგებებოდა. გარკვეული რაოდენობის ნარგაობა  
 ბოსკეტებისა და ხეივნების შესაქმნელად გამოიყენებოდა, ხოლო  
 ზოგიერთ სქელვარჯიან მცენარეს კრეჭდნენ და რთული გეომეტრი-  
 ული ფორმები გამოჰყავდათ. ასეთი ფორმირებული ხე-ბუჩქები  
 სწორხაზოვანი გზებისა და მოედნების არქიტექტურულ ანსამბლს  
 ჰარმონიულად ეხამებოდა. ნარგავების დეკორაციული ფორმირების  
 მცენარეთა ჯგუფები და მწკრივთა შორისები ვერტიკალური მწვა-  
 ნე კედლებისა და მწვანე დერეფნების იერს ღებულობდა, რაც  
 ჰაეროვანი და ხაზოვანი პერსპექტივების შექმნის ერთ-ერთი საშუა-  
 ლებათაგანი იყო. ასეთ ადგილებში პერსპექტივის ხედი არქიტექტუ-  
 რული ელემენტით (შენობა, ქანდაკება, არქიტექტურული ნაგებობა)  
 იხურებოდა. ფრანგული ბაღის ერთ-ერთ შემაღვენელ ნაწილს ყვა-  
 ვილნარები და გაზონები (მოლი) შეადგენდა.

საფრანგეთის საბაღო-საპარკო ხელოვნება რენესანსის პერი-  
 ოლში, განსაკუთრებით კლასიკური სტილის დასაწყისში, მეტად თა-  
 ვისებური სახით გვევლინება. იტალიური რენესანსის საინტერესო  
 და ახალმა ხერხებმა ფრანგულ ბაღებში თავისებური გამოხატულებ-  
 ა ჰპოვეს. ამის ნათელი დადასტურებაა, რომ საფრანგეთის საპარ-  
 კო ხელოვნებამ რენესანსი თავისებურად აღიქვა და თვისობრივი  
 ცვლილებები მოახდინა, ხოლო კლასიციზმის მიჯნაზე თვითმოყო-  
 ფადი სახე გამოიმუშავა.

XVII ს. პირველ ნახევარში საფრანგეთის საბაღო-საპარკო ხე-  
 ლოვნება იტალიური ხუროთმოძღვრებისა და ბაღ-პარკების მშენე-  
 ბლობის გარკვეულ ზეგავლენას განიცდის. საფრანგეთში რენესანსის  
 არქიტექტურული მიმართულების შემოტანა და თავისებური გავრ-  
 ცელება კარლ VIII-ის იტალიაში საომარმა ლაშქრობებმა განაპი-  
 რობეს. იგი მოიხიბლა იტალიური ბაღ-პარკებით და სამშობლოში  
 დაბრუნების შემდეგ, რამდენიმე იტალიელი სპეციალისტის დახმა-  
 რებით მრავალი ფრანგული ბაღი გადააკეთა. ამგვარად, როგორც



სხვა ევროპის ქვეყნებში, ასევე ფრანგულ ბალ-პარკებსაც იტალიური რენესანსის შინა და ლაზათი ჩაესახათ; პირველყოფლისა ზემოქმედება მოახდინა რენესანსის კომპოზიციური დაგეგმარების პრინციპებმა და არქიტექტურული ფორმების რაციონალურმა გამოყენებამ; იტალიის ბალ-პარკებში რენესანსის საპარკო ელემენტები მაქსიმალურად იყო გამოყენებული. რაც შეეხება საფრანგეთს, მისი ბუნებრივი პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება იტალიის ბუნებისაგან, ვინაიდან რელიეფური გამოსახულებები შედარებით ნაკლებადაა, ვიდრე იტალიის ბუნებაში, რომელიც მთაგორაკების უხვი სისტემით გამოირჩევა. საჭიროებამ მოიტანა და საფრანგეთში მომწიფდა მდგომარეობა, რათა იტალიური რენესანსის გათვალისწინებით ახალი ბაღების აგების პრინციპები გამონახულიყო. ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებდა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, განსაკუთრებით იტალიელი და ფრანგი ხალხის სოციალური მდგომარეობა.

იტალიაში დიდებული საგვარეულო საზოგადოების წარმომადგენლები ქალაქში ცხოვრობდნენ, ხოლო დასასვენებლად სასახლეს თუ საზაფხულო რეზიდენციას ქალაქგარეთ აწყობდნენ. ფრანგი არისტოკრატის ცხოვრება იტალიელისაგან განსხვავებით სრულიად საწინააღმდეგო პირობებში ყალიბდებოდა. საფრანგეთში მაღალი წრის დიდებულნი დასაბამიდანვე ქალაქიდან მოშორებით აგებულ სასახლეებში ცხოვრობდნენ, რომლებიც ვრცელი ტყეებით იყო შემოფარგლული. საფრანგეთში პოლიტიკური სიმშვიდის დადგომისთანავე ბუნებრივი ტყეები პარკებად და დეკორაციულ ბაღებად გადაკეთდა, ხოლო სასახლე საპარკო ელემენტის აუცილებელ კომპონენტად გადაიქცა. ტყის გზაბილიკებმა საპარკო ხეივნების სახე მიიღო. ამგვარად ფრანგული პარკი არსებული სასახლის ირგვლივ ჩამოყალიბდა, ხოლო იტალიაში საპარკო ნაგებობები და სასახლეს შენდებოდა მომავალი, ასაშენებელი პარკის ტერიტორიაზე მომდევნო შემადგენელი ნაწილის სახით. ამიტომ იტალიურ პარკში დაგეგმარება სასახლისაგან დამოუკიდებლად ხდებოდა, ხოლო ფრანგულ პარკში მთავარი გზაბილიკებისა თუ ხეივნის დაგეგმარება ორგანიზებული წესით, სასახლის არქიტექტურაზე დაყრდნობით და მისგან ურთიერთკავშირში წარმოებდა.

XVI ს. დასაწყისში საფრანგეთის საპარკო-საბაღო ხელოვნება უსისტემოდ ვითარდებოდა. საპარკო ანსამბლი საკომპოზიციო სი-ცხადის უკმარისობას განიცდიდა, ხოლო აუცილებელი აგების პრინ-

ციბი საერთოდ გამორიცხული იყო. XVII ს. იტალიური რენესანსის ზემოქმედებით ფრანგულ პარკში პირველად აისახა კომპოზიციური ელემენტი. განსაკუთრებით ეს იგრძნობა პარტურების შექმნით და წყლის ელემენტების გამოყენების აუცილებლობით. თუმცა, ამ პერიოდში ფრანგულ ბაღებშიც გამოჩნდა წყლის ელემენტები, როგორცაა: წყლის პარტერი, წყალვარდნილი, აუზი, წყლის კასკადი, შადრევანი და სხვ. მართალია, იტალიის ბაღებშიც შემჩნეულია წყლის ელემენტები, მაგრამ ევროპაში წყლის ელემენტების ფართოდ გამოყენების უპირატესობა ფრანგულ ბაღებს გააჩნიათ. პირველად საპარკო ხელოვნებაში წყლის ფართო არხები გამოჩნდა, რომლებიც გვემარების საკომპოზიციო ღერძზე იყო განლაგებული.

XVI ს. მეორე ნახევარი და XVII ს. დასაწყისი ფრანგული საპარკო ხელოვნების ჩასახვის ხანაა. იტალიური საბაღო-საპარკო ხელოვნებისაგან განსხვავებით ფრანგულ ბაღებში ადგილმდებარეობასა და, განსაკუთრებით, ტერიტორიის სწორ სიბრტყეებს მაქსიმალურად იყენებდნენ. თუ იტალიურ პარკში მთის რელიეფური გამოსახულება საფუძვლიანად იყო ათვისებული და საპარკო კომპოზიციები მკაფიო კონტრასტებით გამოირჩეოდა, ფრანგულ ბაღებში მერქნიანი მცენარეებისა და არქიტექტურული ფორმების კომპოზიცია სწორ სიბრტყეზე იყო აგებული. მართალია აქა-იქ შემაღლებებიცაა, მაგრამ ბუნებასთან კავშირი არ წყდება, ლანდშაფტის ორგანული შეერთებები ჰარმონიულადაა დაცული და შესამეხული. კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება: თუ იტალიის რელიეფურ და ტერასულ (ბაქანი) უბნებზე განსაკუთრებით წიწვოვანი (კიპარისი, ქოლგისებური ანუ იტალიური ფიჭვი-პინია) მცენარეები სჭარბობს, ფრანგულ ბაღებში დიდი დაკვირვებით და გემოვნებითაა შერჩეული მერქნიან მცენარეთა ასორტიმენტი. აქ არსებულ ბაღ-პარკებში ფოთლოვანი მცენარეები (ცაცხვი, რცხილა, ცხენის წაბლი, თელა) ჭარბობს.

იტალიური რენესანსის პარკებში საპარკო კომპოზიციები გამარტივებულია და საპარკო სივრცეები უმეტესად ჩაკეტილია. ასევე ფართოდ გამოიყენებოდა ვერტიკალური გაფორმებები (საყრდენი კედელი, დეკორაციული ღობე, შადრევანი, წყლის კასკადი); ალბათ, ეს საბაღო პრინციპი ბუნების რელიეფური პირობებით იყო გამოწვეული, თუმცა ასეთ ადგილებში საკომპოზიციო ღერძი საკმაოდ შეზღუდულია და მცირე ფართობით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, მთავარ ღერძზე ცენტრალური ხეივანი გვემარდებოდა, რომე-

ლიც, როგორც წესი, სასახლეს უკავშირდებოდა. პარკის ამ ძირითად მონაკვეთში კვადრატული პარტერები იყო დაკვალული, ხოლო წყლის ელემენტები განმარტოებულად გამოიყურებოდა.

ქართული  
ენის ინსტიტუტი

## ვერსალის ისტორია

ამ პერიოდში საფრანგეთში მეფობდა ლუდოვიკო XIII, რომელიც ასაკის სიმცირის გამო ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების გადაწყვეტაში ნაკლებად ღებულობდა მონაწილეობას. თავისი ბავშვობა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების დაუფლებასა და ვართობა-თამაშობაში გაატარა. ჯერ კიდევ ნორჩმა, ექვსი წლის ასაკს მიღწეულმა ლუი XIII-მ პირველად მიიღო მონადირის ნათლობა. იგი პარიზის ახლოს მდებარე სოფელ ვერსალის შემოგარენში დაჰყავდათ სანადიროდ. მისი პირველი ნადავლი ბაჭია და რამდენიმე მწვერი იყო. ნორჩ ლუდოვიკოს შევარდენით უყვარდა ნადირობა და ამგვარი ნანადირევი, მის ასაკთან შეფარდებით, არც თუ ისე ურიგო შედეგს წარმოადგენდა.

20 წლის შემდეგ ხშირად მოწყენილი და მელანქოლიით შეპყრობილი ლუი XIII მეუღლითურთ და სამეფო ამალით სოფელ ვერსალისა და მისი შემოგარენის ხშირი სტუმარი იყო. იმდროინდელი ქრონიკის მონაცემებით, XVII საუკუნის დასაწყისში სოფელ ვერსალში 500 კაცი ცხოვრობდა. ადგილმდებარეობა ეკალ-ბუნჩებითა და ჭაობის დიდი მასივებით იყო დაფარული, სადაც უხვად ჭარბობდა ნადირ-ფრინველი. ბუნების წიაღში ლუდოვიკო ბევრჯერ დარჩენილა ღამის სათევად იქვე, სოფლური ყაიდის სახლში. ამ არემარის ლანდშაფტი რამდენიმე სახლისა და ერთადერთი ქარის წისქვილისაგან შედგებოდა. სენ-სიმონის გადმოცემით: „ზოგჯერ ლუდოვიკო ღამეს ათევდა ქარის წისქვილში, ე. წ. „საბედნიერო საწოლში“. სიმყუდროვისა და განმარტოების ტრფიალით, იგი ბუნებაში ცდილობდა სულიერი სიმშვიდის გამონახვას. ამიტომ, თანდათან უმატა ვერსალში არა მარტო ნადირობას, არამედ დიდებული საგვარეულო პირებისა და პირადი ამაღლის თანხლებით სეირნობას“.

1623 წ. ერთ-ერთი ამგვარი წვეულებისას ლუდოვიკო XIII განკარგულებას იძლევა, რომ ვერსალის სოფელში, შედარებით ღამაზ შემადღებაზე, მონადირის პაწია სასახლე ააგონ. 1624 წ. არქიტექტორ ფილიბერ ლე რუას გეგმით ვერსალში შუა საუკუნეების დანგრეული სასახლის გვერდით, რომელიც გონდის სატიტულო დიდებულების გვარს ეკუთვნოდა, ააშენეს მონადირის პატარა სასახლე.

1632 წ. ლუდოვიკო XIII-მ შეისყიდა გონდის ნაკვეთი და მიმდებარე ადგილზე არქიებისკოპოსის ნახევრად დანგრეული სასახლე რომელიც მთლიანად აჰკავა მიწიდან და შემოვარენში ლამაზი ხე-ბუჩქების დეკორაციული ბაღი გააშენა.

მონადირის პატარა სასახლის მშენებლობის გამო გარემო უბნის კეთილმოწყობა ჩატარდა. სამწუხაროდ სასახლესთან არსებული ბაღის გეგმა არ შემორჩენილა, თუმცა იმდროინდელი სამეფო კარის მემკვიდრე ისტორიკოსები ადასტურებდნენ, რომ ვერსალის მონადირის სასახლის ბაღი გააშენა საფრანგეთის სამეფო ბაღების მთავარმა განმკარგულებელმა ჟაკ ბუასომ. შემდგომ წლებში მონადირის სასახლესთან დარგეს ლამაზი ხეები, რომელმაც ვერსალის პარკის შექმნის ხანგრძლივ ისტორიას საფუძველი ჩაუყარა.

1620—1630 წლებში მონადირის სასახლესთან გაშენებული ბაღი ჟაკ ბუასოს გეგმით დაიკვალა. მასვე ეკუთვნოდა სასახლის ჩრდილოეთით განლაგებული პარტერის მშენებლობა, რომელიც აღმოსავლური ყვავილნარის სტილში გაკრეჭილი ბზის არშიებით იყო შედგენილი. საპარკო ხელოვნებაში ყვავილნარების მონუქურთმების ჟანრი ცნობილმა მეზალემ კლოდ მოლემ დანერგა, მისი მეუღლე კი ლენოტრის ნათლიდედა იყო. ამგვარი ყვავილნარებისა და პარტერების ჩანახატები პირველად აღწერილია ჟაკ ბუასოს წიგნში, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, 1638 წ. გამოქვეყნდა.

ლუდოვიკო XIII ვერსალის ირგვლივ თანდათან მიწის დიდი ნაკვეთების შესყიდვასა და გაერთიანებას ახდენს. მონადირის სასახლესთან ბუასოს ბიძაშვილმა ჟაკ დე მენურმა დამატებითი პარტერები დააგეგმარა და დეკორაციული მცენარეები დარგა. ამ მიდამოებში შექმნეს ტბა, რომელიც წყალმცენარეებით მორთეს და წყლის ფრინველები (გელი, იხვი) მოამრავლეს. ბაღის შემდგომი ფორმირებისათვის ტბამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ვინაიდან წყლის ამ ელემენტს სახე უცვალეს; შეიცვალა სანაპიროს კონფიგურაცია და მხატვრულ-დეკორაციული იერიც. ეს უბანი საპარკო ანსამბლის ერთ-ერთი კომპონენტი და შემადგენელი ნაწილი გახდა. შემდგომ წლებში ლანდშაფტური ტბის სანაპირომ გეომეტრიული გარშემოწერილობა და აუზის სახე მიიღო. ვერსალის პარკის ჩამოყალიბების ისტორიაში ეს ის ადგილია, რომელიც საფუძველად დაედო ვერსალის პარკის აპოლონის აუზის მომავალ ჩამოყალიბებას. მცირე არქიტექტურული ფორმების მოწყობის შეფარდებით თანდათან იზრდებოდა კეთილმოწყობილი ბაღის ფართო-

ბი. ბალისა და სასახლის ერთგვარი თანაფარდობის დასამყარებლად, რადგანაც ბალის მცენარეული საფარის მხატვრული ღირსება სჭარბობდა სასახლის იმდროინდელ არქიტექტურას, 1633 წელს პირველად გააფართოვეს ვერსალის სასახლე და მერქნაირი რაციული მცენარეებით შემოსეს. იზრაილ სილვესტრის გრავირაზე წარმოდგენილია ვერსალის ბალის პირველყოფილი იერი, კერძოდ, სასახლის ფასადი და ბალის ანსამბლი, როგორც საბალო ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუში.

XVII საუკუნის საფრანგეთის საზოგადო მოღვაწემ და სასულიერო პირმა კლოდ დე ვარენმა, მოგზაურობათა საუკეთესო ცნობარების ავტორმა, 1639 წ. გამოსცა წიგნი „მოგზაურობა საფრანგეთში“, სადაც სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური და გეოგრაფიული ვითარების ღრმა ანალიზის ჩატარებისა და ბუნებრივი წიადის აღწერილობასთან ერთად უცხოელებსა და ფრანგებს ურჩევდა პარიზისა და შემოგარენის ღირსშესანიშნაობათა გაცნობის დროს ერთდროულად მიენახულებიათ ვერსალი და მისი მიდამოები.

ევროპის პარკებისა და მცენარეული საფარის გამოჩენილი სპეციალისტი მარკ სალტე მონოგრაფიაში „ვერსალი და პარკის მცენარეულობა“ დამაჯერებლად ასაბუთებს ვერსალის პარკის სიდიადეს და მსოფლიოს სხვა პარკებს შორის ვერსალის კომპლექსს უპირველეს ადგილს უწინასწარმეტყველებდა და კაცობრიობის წინაშე ყველაზე აღიარებულ ძეგლად მიიჩნევდა.

1643 წ. ლუდოვიკო XIII გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრე, მისი ვაჟიშვილი ლუდოვიკო XIV ხუთი წლისა იყო. ამ პერიოდში ვერსალი ყველასაგან მიტოვებული და მივიწყებულია, ხოლო მონადირის სასახლეს აქა-იქ თუ შემთხვევით ვინმე მოიგონებდა, ისიც იშვიათად, ნადირობის ჟამს, შემთხვევით მოსული ან გზად მიმავალი დამსვენებელი ხანმოკლე დროით თვალს გადააელებდა. შემდგომ წლებში უყურადღებობისაგან ისედაც გაპარტახებული და გავერანების პირზე მისულ მონადირის პაწია სასახლესა და დეკორაციულ ბაღს ბოლო მოეღებოდა, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას არ შეეჩერებია ეს მოვლენა.


მხოლოდ ლუდოვიკო XIV-მ შეინარჩუნა ვერსალისადმი თავისებური ლტოლვა და სიყვარული. პარიზისა და სახელმწიფო საკითხებით, აგრეთვე დიდებულ საგვარეულო პირთა თავმომახერხებელი ინტრიგებით გადატვირთული ლუდოვიკო ვერსალში ნახულობდა ერთადერთ შვებას. ლუდოვიკოსათვის ვერსალის მიდამოები იყო

ძვირფასი და სანუკარი ადგილი, სადაც ლაღი ბავშვების წლები განვლო და ყოველი ადგილი საყვარელ მამას აგონებდა.


1651 წ. ლუდოვიკო XIV-ს ცამეტი წელი შეუსრულდა. რვა კვლავინდებურად ჭაბუკურ ცხოვრებას ეწეოდა. გართობასთან ერთად, ხშირად ვერსალის მიდამოებში ნადირობდა კიდეც. მას აღრინდელი სახით იტაცებდა მამისეული მონადირის სასახლეში ყოფნა და ადგილმდებარეობისა და სასახლის იერის შეცვლის უზარმაზარი გეგმები დასახა, მაგრამ იმხანად ყველაზე ხელისშემშლელი პირობა მისი არასრულწლოვანება იყო, რომელიც უფლებას არ აძლევდა სახელმწიფო საზინის განმკარგულებელი ყოფილიყო.

1661 წ. ვერსალის ბაღის გარდატეხისა და განვითარების პერიოდად უნდა ჩაითვალოს. ამ დროს დაემთხვა კარდინალ მაზარინის გარდაცვალება, შემდეგ ლუდოვიკო XIV ხდება სახელმწიფო სახსრების განმკარგულებელი და სამეფო ყულაბის ბატონ-პატრონი. ამ დროიდან დაიწყო ვერსალის სასახლისა და პარკის მშენებლობაზე უზარმაზარი თანხების გამოყოფა. ლუდოვიკო XIV-ის შესახებ იმდროინდელი მემკატიანე აღნიშნავს, რომ „დასავლეთ ევროპაში რომაული იმპერიიდან მოყოლებული არავის არ ჰქონდა სახელმწიფოს დიდება ისეთი განუსაზღვრელი რწმუნებით, როგორც ეს საფრანგეთის მეფეს გააჩნდა“.


1660 წ. ლუდოვიკო XIV-ს განზრახული ჰქონდა პარიზიდან სამეფო რეზიდენციის ვერსალში გადატანა, თუმცა ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა სამეფო კარზე მომხდარი მთელი რიგი ღონისძიებები. იმხანად სამეფო რეზიდენციის ახალი შენობის ასაგებად მოწყობილმა ორგანიზებულმა კონკურსმაც დადებითი შედეგი ვერ გამოიღო, ვინაიდან აზრთა სხვადასხვაობამ (სამეფო რეზიდენციის პარიზში დატოვებისა თუ მისი სხვა ადგილზე გადატანის) მრავალი წინააღმდეგობა გამოიწვია. ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად საფრანგეთში მოიწვიეს ცნობილი იტალიელი ხელოვანი ლორენცო ბერნინი. მისი პროექტი ითვალისწინებდა ლუვრიდან ტიულრიმდე სრულიად ახალ ნაგებობათა კომპლექსის მშენებლობას, ხოლო უზარმაზარ და ვრცელ ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო დიდებული სასახლე. ბერნინის აზრი უარყვეს და პროექტიც სათანადოდ განუხორციელებელი დარჩა. გაუთავებელ გეგმებსა და აზრთა სხვადასხვაობას დასასრული არ უჩანდა. ბოლოს, ხანგრძლივი დავის შედეგად ეს საკითხი უმტკივნეულოდ თვით ლუი XIV-მ გადაწყვიტა. ვერსალის მომავალი მის გონებასა და აზროვნებაში ქვაკუთხედივით



ვერსალის გეგმა XVII საუკუნის დასაწყისში. ა. ლენოტრის მიხედვით




ვერსალის გიგმა XVI საუკუნის შუა წლებში




ვერსალის მისაღობი



ვერსალი. არმიის მოედანი



ვერსალის სასახლე. ხედი ქალაქიდან



ვერსალის სასახლე. ხედი პარკიდან



ცენტრალური შესასვლელი



ავტოსადგომი შესასვლელთან



სკულპტურული ჯგუფი შესასვლელთან




სამეფო მოედანი. არქიტექტორი ფ. ლორბე, 1670 წელი



მინისტრების მოედანი




სასახლის უძველესი ნაწილი. არქიტ. ლევო




მარმარილოს ეზო



ძველი სასახლის საერთო ხედი



სამეფო კარი




სასახლის ხედი მარმარილოს ეზოდან




მუზეუმის შესასვლელი




ლუდოვიკო XIV ქანდაკება




სასახლის ხედი პარკიდან




სასახლის მარცხენა ფრთა. არქიტ. მანსარი




სასახლის ხედი




მცირე არქიტექტურული ფორმები



სკულპტურა წყლის პარტერთან



სკულპტურა წყლის პარტერთან



ლატონის აუზი



სამეფო ხეივანი, მწვეანე ხალიჩა



სარკევიანი დარბაზი



იყო გამჯდარი და ვერავითარი კონკურსები, სამეფო კარის კომპენ-  
ტენტური საბჭო, თუ პირადი მრჩეველნი ზემოქმედებას ვეღარ მო-  
ახდენდნენ. განდიდების მანიით შეპყრობილ ლუდოვიკოს სურდა ვერ-  
სალის ახლებურად მოწყობა, რომ საფრანგეთში ერთადერთი ხე-  
ლისუფლება, განუზომელი უფლებებით, ვერსალის სამეფო სასახლე-  
ში ყოფილიყო თავმოყრილი — „მეფეთ-მზის“ ხელისუფლების  
სახით.

საფრანგეთის სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური  
სიძლიერით განებივრებული ლუი XIV აცხადებდა, რომ „სახელ-  
მწიფო ეს მე ვარ“. მას მზის დიდებას უთანასწორებდნენ. „მეფე-  
მზედ“ წოდებული ცდილობდა უძლიერესი ხელმწიფე ყოფილიყო  
უძლიერესთა შორის. ლუი XIV მიზნად ისახავდა მსოფლიო სამ-  
ყაროსთვის დაენახვებინა და ეგრძნობინებინა თავისი თავის, როგორც  
მეფის, აბსოლუტური სიძლიერე, რომ კაცობრიობის სამეფოთა შო-  
რის საფრანგეთის სახელმწიფო საყოველთაოდ ყოფილიყო აღიარე-  
ბული. ამის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება იყო სახელმწიფო  
სამეფო რეზიდენციის შემდგომი განვითარება და განმტკიცება. პა-  
რიზში სამეფო სასახლე მრავალ დიდებულ შენობას შორის შეჰამ-  
ჩნევად იკარგებოდა, ამიტომ სახელმწიფოს განმგებელი მოათხოვდა  
ახალი სამეფო რეზიდენციისათვის ისეთი ადგილის შერჩევას, სადაც  
გარეგანი თუ ფიზიკური ძალა არ დაჩრდილავდა მეფის სადიდებუ-  
ლო იერს და ერთადერთი ბატონ-მბრძანებელი, ახლად აგებული სა-  
მეფო რეზიდენციიდან, სამყაროს მბრძანებელი იქნებოდა. ამდაგვარი  
იდეით და დიდებული ამოცანებით უნდა შექმნილიყო ვერსალი, რომ-  
ლის ხუროთმოძღვრული და საპარკო არქიტექტურული ხელოვნე-  
ბის გარეგანი ნიშნები საფრანგეთის მონარქიის აბსოლუტიზმის  
ამსახველი იქნებოდა.

1661—1671 წლებში არქიტექტორმა ლევომ მონადირის სასახ-  
ლეს სამი მხრიდან ახალი კორპუსები მიუშენა და კურდონერის  
იერი მიანიჭა, რომლის მთავარი ნაგებობა ორი გვერდითი, მართუ-  
ლად გამოშვებული კორპუსით ჩაკეტა. სასახლის ოთხივე კუთხეს  
სამეთვალყურეო კოშკები ამშვენებდა, ხოლო სასახლის ფსადი  
სოფლისაკენ იყო მიმართული. ცენტრალურ ნაწილში სადიდებულო  
ეზოს გახსნილი სივრცე შვიდ სვეტზე შემდგარი თაღებით იყო  
შეკრული; ეზოს ცენტრალური შემოსასვლელი არქიტექტურული  
პორტალით მთავრდებოდა. შენობას ირგვლივ ფართო გათხრილი  
არხი აკრავდა და ერთ მთლიანობაში შუასაუკუნოვანი სასახლის

1173

დ. მარტინს სპ. საქ  
სსრ სახელმწიფო  
რესპუბლიკის  
ბიბლიოთეკა

შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიუხედავად სასახლის ექსტერიერის მარტივად გადაწყვეტისა, ინტერიერი მდიდრულად იყო ვაფორმებული. იგი ხუთი მოსასვენებელი ოთახისაგან შედგებოდა, რომელთა კედლები ხელქარგულობის ნიმუშებითა და სურათებით იყო დამშვენებული. მონადირის სასახლეს ორი ეზო ჰქონდა, რომლის ერთ-ერთ კუთხეში სამტრედე იყო მოთავსებული და ეზოს სამეფო ღობე ჰქონდა შემოვლებული.

1661 წ. საფრანგეთის 22 წლის მეფე ლუდოვიკო XIV ეწვია სახელმწიფო სამეფო კარის ფინანსთა მინისტრს ფუკეს, რათა მონახულება იმხანად ევროპაში განმავრუებული ვო-ლე-ვიკომტის სასახლე. ფუკემ საუცხოო შენობისა და პარკის მშენებლობას 30 მილიონი სახელმწიფო თანხა მოახმარა. მან თავისი სასახლისა და პარკის მშენებლობა დაავალა იმდროისათვის ნაკლებად ცნობილ სპეციალისტებს: არქიტექტორ ლევოს, მხატვარ ლებრენსა და პარკ-მშენებელ ლენოტრს.

ალექსანდრე დიუმა თავის წიგნში „ლუდოვიკო XIV და მისი საუკუნე“ გადმოგვცემს: „ლუდოვიკო XIV ფუკეს თანხლებით სასახლის ინტერიერის დასათვალიერებლად გაემართა. მსოფლიოში ამის მსგავსი არ არსებობდა რა. იგი უმზერდა ცნობილი მხატვრის სურათებს, რომლებსაც საერთოდ არ იცნობდა, მან იხილა მცენარეებისა და ყვავილებით მოხატული ბაღები — ქმნილება ადამიანისა, რომლის სახელი ჯერაც არ ჰქონდა გაგონილი; მინისტრი ყოველგვარ საკითხზე ყურადღებას ამახვილებდა და ცდილობდა მეფის გაოცებას, მიუხედავად ამისა მან მხოლოდ შურის გრძნობა გაუღვივა“.

ლუდოვიკო XVI-მ შეიძყო რა ფუკესაგან განსაცვიფრებელი სასახლისა და პარკის შემქმნელი ავტორების ვინაობა (ლევო, ლებრენი, ლენოტრი), მათ სახელებს მტკიცედ იმახსოვრებდა და ცდილობდა აღფრთოვანების მაღული გრძნობა და ჩასახული შური არ გამოემჟღავნებინა. ფუკეს სასახლეში დღესასწაული გრძელდებოდა. მეფის საპატივცემულოდ ვო-ლე-ვიკომტის სასახლის თეატრში კომედია უჩვენეს, რომლის ავტორის ვინაობა პირველად შეიძყო. წვეულებისა და ნადიმის დროს გონებამახვილური არაკები და ლექსები მოისმინა, რომელთა ავტორი, იმხანად უცნობი, არაკების უბადლო ოსტატი ლაფონტენი იყო. ამ საღამოს ლუი XIV-მ ლაფონტენის გვარიც პირველად გაიგონა. მეფის საპატივცემულოდ მოწყობილი საღამო და სადღესასწაულო მეჯლისი გრძელდებოდა. სასია-

მოვნო კონცერტებს გასართობი სასახაობანი და გაუთავებელი ფე-  
ვერკები ცვლიდა. ფუკეს სასახლეში მოსვლამდე მხიარული და  
მომღიბარი ლუი XIV წამით შეიცვალა, მას დაძაბულობა და ვალი-  
ზიანებაც დაეტყო. მას გაახსენდა ვერსალის სასახლე, მისი უთვა-  
ლავი სიმდიდრე თუ რაოდენ სასაცილოდ და საცოდავად გამოიყუ-  
რებოდა.

ვო-ლე-ვიკომტის სასახლეში მიღებული შთაბეჭდილებით  
ლუი XIV-მ ცხოვრებისეული რითმი და მოსვენება დაკარგა. იგი  
თავს დამცირებულად და შელახულად თვლიდა, ვინაიდან, იცოდა,  
რა სახელმწიფოს მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ზედმეტად მი-  
აჩნდა ფინანსთა მინისტრის სასახლეში ესოდენ ზღაპრულად  
მოწყობილი მეჯლისისა და დღესასწაულის ჩატარება. ლუდოვიკო  
ვერ ივიწყებდა ვო-ლე-ვიკომტის სასახლის სიმდიდრეს და მისგან  
მიღებულ გაცემასა და აღტაცებას. იგი არ ცხრებოდა და მის შინა-  
გან განცდებს შურის გრძნობაც აღვივებდა.

12 დღის შემდეგ, 1661 წ. 17 აგვისტოს, ლუდოვიკო XIV-ის  
ბრძანებით საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი ნიკოლა ფუკე დააპა-  
ტიმრეს და 19 წელი საპყრობილეში ამყოფეს. ფუკეს მოძრავსა და  
უძრავ ქონებას კონფისკაცია უყვეს. სურათები და ჭკალი, თვით  
ფორთოხლის ხეები და მარმარილოს სკულპტურები ვერსალში გა-  
დაიტანეს, ნიჭიერი შემომქმედნი კი მეფის კარზე მიიწვიეს.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთის საბალო-სა-  
პარკო ხელოვნებას მოევლინენ საბალო არქიტექტორები, სწავლუ-  
ლი მებაღეები და საპარკო-საბალო ხელოვნების თეორეტიკოსები.  
ამ პლედის თვალსაჩინო წარმომადგენლების რიცხვს ამშვენებს  
არქიტექტორ მოლეს დინასტია, რომელმაც პარიზსა და მის შემო-  
გარენში შექმნა შესანიშნავი საბალო-საპარკო ანსამბლები, როგო-  
რიცაა: ტუილრის ბაღი, სენ-ჟერმენ-ან-ლე, ფონტანებლოს პარკი  
და ა. შ.

იმხანად ფრანგული საპარკო ხელოვნების პირველ თეორეტი-  
კოსებად ითვლებოდნენ: ბერნარ პალისი, ოლივიე დე სერი, ჟაკ  
ბუასო და კლოდ მოლე, რომლებმაც საპარკო ხელოვნებისა და დე-  
კორაციული მებაღეობის თეორიული მოძღვრება და დებულებები  
დაამუშავეს. მათი შემოქმედებითა და მოღვაწეობით საფრანგეთში  
დამუშავდა იტალიური რენესანსი, ხოლო კლასიციზმის საპარკო მი-  
მართულებას საწყისი, ჩასახვის ფორმა მიანიჭეს. ეს შემოქმედები-  
თი მემკვიდრეობა ფრანგული საბალო ხელოვნების თვალსაჩინო  
მოღვაწემ ანდრე ლენოტრმა ჩაიბარა, რომელმაც გენიალური შემო-

ქმედებით საფრანგეთის საპარკო-საბაღო ხელოვნება არა მარტო განავითარა, არამედ მსოფლიოში საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

ანდრე ლენოტრის შემოქმედება განსაკუთრებულ და საგანგებო განხილვას მოითხოვს, ვინაიდან მისი მოღვაწეობა კლასიკური და სრულიად ახალი მიმართულებების ამსახველია, რომელზედაც საბაღო ხელოვნების უამრავი თაობა აღიზარდა. მისი სკოლის აღზრდილი არა მარტო დახვეწილი გემოვნების მებაღე-არქიტექტორია, არამედ ბუნების გარდამქმნელი ხუროთმოძღვარი — დაუფლებული ტოლფასოვნად: ხატვას, ძერწვას, ხაზვას, მუსიკას, ფერწერასა და თვით მხატვრულ ქარგულობასაც კი. ლენოტრმა და მისმა თანამოაზრე მიმღევრებმა ფრანგული პარკი სრულიად ახალ ყალიბში ჩამოასხეს, ახლებური იერი მიანიჭეს და სივრცობრივი კომპოზიციებით თავი მოუყარეს პარკში არსებულ სულიერსა თუ უსულო კომპონენტებს, ხოლო ბუნება და მისი ფაქტორები ჰარმონიულ მთლიანობაში ადამიანის სულიერ განცდებსა და შთაბეჭდილებებს დაუმორჩილეს.

1662 წ. ვო-ლე-ვიკომტის სასახლის განადგურების შემდეგ, ვერსალის სასახლისა და პარკის მშენებლობას შეუდგა სამი ნიჭიერი ხელოვანი: მხატვარი შარლ ლებრენი, არქიტექტორი ლუი ლევო და საბაღო-საპარკო ხელოვნების უბადლო ოსტატი ანდრე ლენოტრი.

ლუი ლევო (1612—1670) ფრანგული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მისი შემოქმედებით დასრულდა XVII საუკუნის ფრანგული არქიტექტურის პირველი ნახევრის განვითარება. 1654 წ. ლევო დაინიშნა საფრანგეთის სამეფო კარზე მთავარ არქიტექტორად, მანამდე კი მთავარი სამეფო არქიტექტორის თანამდებობა ლემერსიეს ეკავა. 1657—1660 წლებში ლევოს ხელმძღვანელობით ვო-ლე-ვიკომტის სასახლე ააგეს, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე ლუერის მშენებლობას განაგებდა. 1668 წლიდან გარდაცვალებამდე ლევო ვერსალის არქიტექტურული ანსამბლის მშენებელია. 1664—1670 წლებში მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ტუილრი გაშენდა.

ჟულ არდუენ მანსარი (1646—1708) ლუდოვიკო XIV-ის მეფის კარზე 1674 წლიდან მუშაობდა და სიკვდილამდე მეფის უსაყვარლეს არქიტექტორად ითვლებოდა. 1675 წ. სამეფო ნაგებობების მშენებარე გენერალური ინსპექტორია, ხოლო 1699 წ. მეფის მშენებარე ნაგებობების სურინტენდანტი. მანსარი 1678 წ-დან ვერსალის მშენებლობას ხელმძღვანელობს და მისი ავტორობით შენდება:



1678—1689 წლებში — ვერსალის სასახლის ორი გვერდითი ფრთის არქიტექტურული მინაშენი, 1684 წ. — ორანჟერეა და სამხრეთის პარტერიდან ჩამავალი 100-საფეხურიანი კიბე, 1679—1685 წლებში — სასახლის საჯინბო, 1687 წ. — პარკის კოლონადა, 1687—1688 წლებში — დიდი ტრიანონი, 1699—1708 წლებში — ვერსალის დიდი სასახლის ეკლესია, 1685—1687 წლებში პარიზში — გამარჯვების მოედანი, 1685 წ. — ლუდოვიკო XIV-ის (ამჟამად ვანდომი) მოედანი და 1693—1706 წლებში — ინვალიდების სახლად წოდებული ტაძარი.

ჟაკ-ანჟ გაბრიელი (1698—1782) ცნობილი არქიტექტორის გაბრიელ V-ის შვილია, რომელიც სამეფო ნაგებობათა მშენებლობის სამსახურში 1728 წ. ჩარიცხეს. იგი მამამისთან შემოქმედებითი თანამონაწილეობით ვერსალის, ფონტანებლოსა და ტუილრის ინტერიერების მშენებლობასა და გაფორმებაზე მუშაობდა. 1741 წ. იგი საფრანგეთის არქიტექტურის აკადემიის წევრია და — მეფის „არქიტექტორის“ წოდებას ატარებს. მამის სიკვდილის შემდეგ გაბრიელი „მეფის პირველი არქიტექტორის“ ტიტულს ანდერძად ღებულობს. ამავე დროიდან არქიტექტურის აკადემიაში პრეზიდენტის თანამდებობას განაგებს. 1762—1764 წლებში ვერსალის პარკში ააგო პატარა ტრიანონი; 1657—1672 წლებში პარიზში — ლუდოვიკო XV-ეს (ამჟამად თანხმობის) მოედანი; 1771—1773 წლებში ვერსალის სასახლის ეზოს ფასადი გადააკეთა, რომელიც არქიტექტურულად დაუმთავრებელი დარჩა.

რობერ დე კოტი (1655—1735) ცნობილი არქიტექტორის ჟაკ არდუენ მანსარის მოსწავლეა. იგი 1714 წლიდან ფრანგული არქიტექტურის აკადემიის წევრია. მან სამეფო სასახლეები ააგო; სენ-ჟერმენში, ვერსალსა და მარლში, მისი ავტორობით პარიზში მრავალი არქიტექტურული შენობა დაიდგა, მისი მოღვაწეობა საფრანგეთის ფარგლებს გასცდა და სახელმწიფოებრივმა არქიტექტორმა უცხოეთში (მადრიდი, ბონი, ტურინი) შესანიშნავი შენობები ააგო.

ანდრე ლენოტრი (1613—1700) მებალის ოჯახში დაიბადა. მისი მამა და ბაბუა ტუილრის სამეფო ბაღის მებაღეები იყვნენ. ლენოტრი ბავშვობიდან თვალს ადევნებდა მამის საქმიანობას და სილამაზის სამყაროში იზრდებოდა. მისი თანამგზავრები იყო დეკორაციული ხე-ბუჩქები, კაშკაშა ყვავილები, არქიტექტურული ფორმები, ლამაზად მოხატული პარტერები და ხასხასა ხალიჩები; მას ბავშვობაშივე შეუყვარდა ბუნება და გემოვნებაც სათანადოდ დაეხვეწა. 24 წლის

ლენოტრი, მამის სიკვდილის შემდეგ, ტუილრის ბაღის ზედამხედველის თანამდებობაზე დაინიშნა. სიჭაბუკეში ლენოტრს მხატვრობა და არქიტექტურა იტაცებდა, ამიტომ მხატვარ სიმონ ფუკეს სახელოსნოში დაიწყო მუშაობა. აქვე გაიცნო და დაუმეგობრდა გაბრიელ ხელოვანს ლებრენს. შემდგომში ლებრენი შესანიშნავი ფერმწერი და ხუროთმოძღვარი გახდა, ანდრე ლენოტრი კი საფრანგეთის საპარკო ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწე, ე. წ. ფრანგული ანუ რეგულარული სტილის ფუძემდებელი.

არქიტექტურისა და სამხატვრო დარგის დაუფლებასთან ერთად ლენოტრმა დაამუშავა ყვავილოვან მცენარეთა კომპოზიციები და ბაღის ვრცელი პარტერები. მისი მაღალმხატვრული გემოვნება მკვეთრად დაიხვეწა. ლენოტრმა ვუეს სახელოსნოში იმ დროისათვის სრულიად ახალი ჩანახატები და პარკის გეგმები შექმნა და იქ მომუშავე საუკეთესო ოსტატების შემოქმედებას მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ექვსი წლის შემდეგ დამოუკიდებლად მოღვაწე ლენოტრი 1643 წ. დაინიშნა სამეფო საბაღო პარტერების მხატვარ-მხაზველად. მან შემოქმედებითი მოღვაწეობა გააგრძელა. მისი ნახაზები ჯა გეგმები საბაღო-საპარკო ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებადაა აღიარებული, რომელსაც ბევრი თაყვანისმცემელი და მიმდევარი გამოუჩნდა.

ლენოტრის შემოქმედება უყურადღებოდ არ დარჩენია საფრანგეთის ფინანსთა მინისტრს ფუკეს, რომელიც 1657 წ. ვო-ლე-ვიკომტის მშენებლობის პერიოდში ლენოტრს ავალებს პარკის დაგეგმარებისა და გამწვანების საკითხებს. ლენოტრი ამავე წლიდან „მისი უდიდებულესობის ბაღების მხატვრის“ (მეგეგმარებელი) თანამდებობაზეა. ვო-ლე-ვიკომტის პარკში ლენოტრმა დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობა გაშალა. მან შესანიშნავი პარტერები დააგეგმარა, რომლებიც სასახლისა და პარკის ლანდშაფტურ ანსამბლს მოხდენილად შეუხამა.

ანდრე ლენოტრი ხანმოკლე დროით რომში მიემგზავრება, სადაც ბაროკოს სტილის იტალიურ ბაღებს გაეცნო. აქ არსებული მრავალი ბაღ-პარკისა და ისტორიული ძეგლის გაცნობით მიღებულიმა შთაბეჭდილებამ ლენოტრის პროფესიონალური დონე შემოქმედებითად აამაღლა, ხოლო იტალიური საპარკო არქიტექტურის შედარებებმა ფრანგულ საბაღო ხელოვნებასთან მისი ინტელექტუალური კორიზონტი მნიშვნელოვნად გააფართოვა.

სახლვარგართიდან დაბრუნებული და შემოქმედებითი ენერჯით აღსავსე ლენოტრი ახლებურად იწყებს აზროვნებას და პარკმუნებლობის სრულიად განსხვავებულ ხერხებსა და დებულებებს აყალიბებს.

ლენოტრი პარკის გეგმარების დროს მაქსიმალურად იყენებდა რელიეფურ ფაქტორებსა და ადგილმდებარეობას. იგი მცენარეებს თუ არქიტექტურულ ფორმებს კანონზომიერად უხამებდა გარემო ბუნებას. მის მიერ დაგეგმარებული ვრცელი მწვანე მასივი (პარკი, ბაღი) გამწვანებულ ქალაქს გულისხმობდა, ხოლო არქიტექტურული ანსამბლის აუცილებელ კომპონენტებს შეადგენდა: სასახლე და ხუროთმოძღვრული ნაგებობები, აუზი, მაღალი ნაკადის შადრევნები, მცირე არქიტექტურული ფორმები. ლენოტრის წესით შემოხსენებული არქიტექტურული კომპონენტები ღია სივრცეზე მწვანე მასივების დასაწყისში გარკვეულ რელიეფსა და ექსპოზიციასთან იყო შეხამებული. არქიტექტურული ნაგებობების განუყოფელ ნაწილს განიერი მოედანი და ხალიჩასავით გადაფენილი ნაირფერი ყვავილებით მორთული მწვანე მინდორი (მოლი) წარმოადგენდა.

დიდი მოცულობის მწვანე მასივებში ლენოტრი დიდ ადგილს უთმობდა სივრცით ხედებსა და ხედვის წერტილებს შორის თანაფარდობას. საპარკო ელემენტის მასშტაბურობა და სივრცითი კომპოზიციები ლენოტრისეული დებულების ერთ-ერთი მთავარი ხერხია. იგი არქიტექტურულ ნაგებობას ან სასახლეს იყენებდა როგორც მთავარ საკომპოზიციო წერტილს, და ვრცელ ხედს აგებდა, ხედვის ამგვარი პერსპექტივის შედგენისას კომპოზიციის ფონი უმეტეს შემთხვევაში დახრილია, ხოლო შენობა შემოგარენიდან კონტად იყურება და პარმონიული სივრცითაა შემოფარგლული.

ლენოტრის ერთ-ერთი ხერხია პანდუსის მსგავსად დახრილი გზა-ბილდეების მოწყობა. ლენოტრი კიბეებს ერიდებოდა, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში დაბალ და ფართო საფეხურებს იყენებდა. გზებისა და მოედნების გასწვრივ ხეივანი პარალელურად გეგმარდებოდა. ზოგჯერ სხივისებურად იშლებოდა, ხოლო შემდგომში ერთ წერტილში იყრიდა თავს. საერთო ანსამბლში დეკორაციული ხეივანი წესიერი მრავალკუთხედიან ფორმას დებულობდა. ხეივნები და მოედნის რთული კომპოზიციები მწვანე ნარგავებისა და მცირე არქიტექტურული ფორმებისაგან შედგებოდა, ზოგჯერ ლამაზად გაკრეჭილი ბოსკეტები და საგანგებოდ მწვანე ნიშში ჩადგმული ქანდაკებები ამშვენებდა, რაც ხალხის თავშეყრისათვის განკუთვნილ ადგილს დიდებულ იერს ანიჭებდა.

ლენოტრი ფართოდ იყენებდა დახურულ კომპოზიციებს, რომლებშიც მისი ცნობილი ბოსკეტებია მოთავსებული. ასეთი უბნები ზოგჯერ სიმეტრიულად იყვნენ განლაგებულნი, ზოგჯერ კი სხვადასხვა მონაკვეთზე განსხვავებული მოცულობით გამოირჩეოდნენ. იშვიათად ბოსკეტებს ტოპიარულ სახეს ანიჭებდა და ვაკრეტილი მცენარეებით მტკიცე კომპოზიციურ სივრცეებს დებულობდა, სადაც მცირე არქიტექტურული ფორმები ერთმანეთს რითმულად ენაცვლებოდნენ. ლენოტრის სტილით მერქნიანი ტანმადალი მცენარეები ერთმანეთის ახლოს ირგვებოდა, ხოლო კრეჭვის შედეგად გეომეტრიულად სწორკუთხოვანი, ვერტიკალური მწვანე სიბრტყეები მიიღებოდა. ასეთი მწვანე კედლებითა და დერეფნებით საპარკო განყოფილებები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული.

ლენოტრის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო წყლის ვრცელი პარტერი ან წყლის არხი, რომელიც ხელს ხსნიდა რომელიმე ღირსშესანიშნავ უბანზე. ცენტრალური ხეივნიდან ვხეების დაკვალვა რეგულარული სტილით ხდებოდა, რაც მიმზიდველად აჩენდა ფართო უბანზე ან მოედანზე აგებული სასახლის მცირე არქიტექტურულ ფორმებს, დეკორაციულ შადრევნებს, ქანდაკებებს.

ანდრე ლენოტრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი წყლის ელემენტებს ეკავათ. მისი სტიქია წყლის უზარმაზარი სივრცეები იყო, რომელიც ბუნებას კოხტად ეხამებოდა. მის დახვეწილ გემოვნებას უყურადღებოდ არ რჩებოდა წყალში ანარეკლი სავნები და განსაკუთრებულ სიამოვნებას გრძნობდა, როდესაც წყლის სარკული ანარეკლით მაღალ მხატვრულ ეფექტს მიაღწევდა. იგი წყლის ნაკადსა და წყალსატევეებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა და ბევრჯერ წყლის ნაკადის მიმართულება მხატვრული კომპოზიციის განუყოფელ კომპონენტად გამოუყენებია, ხოლო ვრცელ აუზებს, შადრევნებსა და წყლის სხვა ელემენტებს მოხდენილად უხამებდა მცენარეულ და ყვავილოვან კომპოზიციებს.

მცენარეთა კრეჭვა ლენოტრის ერთ-ერთი საშუალებათაგანია, რაც საბაღო-საპარკო ხელოვნებაში ტოპიარიის სახელწოდებითაა ცნობილი. თავშეყრის ადგილები, მოედნები თუ აუზები ფანჩატურებით ლამაზდებოდა. ხშირად უზარმაზარი ვაკრეტილი ხეებით შექმნილი იყო მწვანე კედლები, ტალავრები, ნიშები, ხოლო ამ მწვანე მასაში გეომეტრიული ფიგურების შემადგენელ კომპონენტს ქანდაკება და შადრევანი წარმოადგენდა. ლენოტრი „მწვანე ქანდაკების“ სხვადასხვა თემატურ სახეთა გამოყვანის (ცხოველი, ფრინველი)



წინააღმდეგი იყო, თუმცა ლენოტრის სტილის შემდეგ ამ თავისებურმა მიმართულებამ დეკორაციულ მებაღეობაში დიდი გავრცელება ჰპოვა.

ლენოტრის საბალო-საპარკო ხელოვნებამ კლასიკური პარკმშენებლობის სტილი შექმნა, რომელშიც გაერთიანდა არა მარტო რეკულარული პრინციპები და მტკიცე სიმეტრიის კანონები, არამედ საპარკო ანსამბლში არქიტექტურული ფორმებისა და მცენარეული საფარის კომპოზიციური სიცხადე ჩამოყალიბდა.

ვერსალის პარკის სახით ლენოტრმა შექმნა საპარკო შედეგრი, რომელშიც ბრწყინვალედ გამოავლინა შემოქმედებითი ნიჭი და მონდომება. მისი მოღვაწეობის შედეგად ვერსალის პარკი და მისი მცენარეული საფარი, მიუხედავად ბუნების რთული ფაქტორებისა, შეეგუა არახელსაყრელ, ეკოლოგიურ პირობებს. მან მშენებლობისათვის რთული და მოუხერხებელი პირობებიდან ოსტატურად დააღწია თავი და დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ჩაატარა ადრინდელი (ლუი XIII) მონადირის სასახლის რეკონსტრუქცია, ხოლო შემდგომში, გაფართოებული ტერიტორიის ხარჯზე, სრულიად ახალი საპარკო წალკოტის ნიმუშები წარმოადგინა.

ვერსალის შესანიშნავი პარკის ავტორის, საპარკო ხელოვნების გენიალური ხელოვანის ანდრე ლენოტრის სახელი მსოფლიოში ცნობილი გახდა. ვერსალის სასახლისა და პარკის მსგავსად მრავალ სახელმწიფოში გაშენდა სასახლეები, დაიკვალა ბაღები, პარკებში შეიქმნა წყლის პარტერები, ხეივნები და მცენარეული კომპოზიციები. იმხანად მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები ვერსალის მსგავსად ცხოვრობდნენ, უმრავლესობას სურდა აეგო ბრწყინვალე სასახლე და შეექმნა ლენოტრისეული პარკი.

ანდრე ლენოტრს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწვევდნენ, თუმცა ვერსალის მშენებლობით გატაცებულს ამის დრო ნაკლებად რჩებოდა. თვით ლუი XIV არცთუ დიდი მონდომებით უშვებდა ლენოტრს ამა თუ იმ ქვეყანაში. მას არ სურდა ვერსალის პარკის მსგავსი მსოფლიოში რაიმე არსებულიყო. ხანგრძლივი დიპლომატიური მიმოწერის შედეგად, როგორც გამოჩაკლისი, ლუი XIV-მ ლენოტრს დართო ინგლისში გამგზავრების ნება, დიდი ბრიტანეთის სამეფო პარკების შესაქმნელად. ლენოტრი შეუდგა გრინვიჩში, სენ-ჯემსსა და ჰეპტონ გოურტში პარკების გაშენებას. ცნობილია, რომ პარკის მშენებლობა ხანგრძლივ პერიოდთანაა დაკავშირებული. ინგლისში ლენოტრის დაწყებული პარკების მშენებლობა მისმა მოს-

წავლევბმა და ხელოვნების თავყვანისმცემლებმა დაამთავრეს, ხოლო იქ ყოფნისას ლენოტრს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა, რომლებიც მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთგვარ პოპულარიზაციას უწყობდნენ ისედაც განთქმულ საპარკო შემოქმედის ხელოვნებას. ამგვარი ბედი ეწვია მას გერმანიაში ყოფნისას. ლენოტრმა ხანმოკლე დრო დაჰყო გერმანიაში და შესანიშნავი პარკი ააგო შარლოტენბურგში.

რვა ათეულ წელზე მეტი იცოცხლა ლენოტრმა და ბევრი ხელთუქმნელი ბუნების ძეგლი დატოვა, სადაც სახელმწიფოებისა და ქვეყნების პალ-პარკებისაგან შეფარდებით განსხვავებული და დამოუკიდებელი, სრულიად ახალი საპარკო ელემენტები შემოიღო. მან 65 წლის მოღვაწეობის მანძილზე საკუთარი საბალო სტილი შეიმუშავა და ფრანგული საბალო ხელოვნების ნორმები ჩამოაყალიბა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ლენოტრისეული თეორიისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დებულებები თანამედროვე პარკმშენებლობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ლენოტრმა საბალო არქიტექტორების საკუთარი სკოლა შექმნა და შემდგომში ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე მისმა მოსწავლეებმა გააგრძელეს. ლენოტრისეული სტილით მრავალ ქვეყანაში გაშენდა ბაღები. მისი პრინციპები განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა ვენის მახლობლად შენბრიუნის პარკში, მიუნხენთან — ნიმფენბურგის პარკში, შტუტგარტთან — ლუდვიგშლურ და ფავორიტის ბაღებში, პეტერბურგთან — პეტერგოფის პარკში, მოსკოვთან — პეტროვსკის ბაღში, ბერლინის ახლოს — ტირგარტენისა და სან-სუსის პარკებში.

ლენოტრის მოღვაწეობის მიმდევარმა გრაფმა ლაფორესტმა ვანდომის ოლქის ფრემინის საგვარეულო სოფელში ოთხ ჰექტარ ფართობზე ვერსალის ზუსტი მინიატურული ასლი გადაიღო. ალბანდის გადმოცემით ფრემინის „ვერსალის“ პარკმა 1850 წლამდე იარსება.

ვერსალის პარკის მშენებლობა ჯერ კიდევ დასასრულს არ იყო მიღწეული, რომ ვერსალის დიდებით მსოფლიო ალაპარაკდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ცივილიზებულ სახელმწიფოებში ცდილობდნენ მსგავსი პარკების მოწყობას. მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი და სტუმარი გაეცნო სასახლისა და პარკის მშენებლობას. ამ პერიოდში ლენოტრს უამრავი დაკვეთები და მოწვევები მოსდის, მაგრამ დიდი საქმეებით დატვირთული მხოლოდ ლენოტრი თუ შეძლებდა ვერსალისა და სხვა დანარჩენი პარკების აგებას. მას შემოქმედებითი მოღვაწეობის დროს მრავალი ხელოვნების ოსტატი ეხ-



მარებოდა, რომლებიც მოგვიანებით ლენოტრის ღირსეული მოსწავლეები გახდნენ. ამ ნიჭიერთა რიცხვს ამშვენებდა: ლაკინტინი, დეკო, დეზალე დარჟენვილი და მრავალი დამწეები თუ ყოველმხრივ ჩამოყალიბებული პარკის არქიტექტორი და ბალის მშენებელი. ლენოტრის მოსწავლეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლაკინტინი, რომელიც 1624 წ. დაიბადა. ის ჯერ კიდევ ჭაბუკი ემზადებოდა, რათა ადვოკატი გამხდარიყო, მაგრამ იტალიაში მოგზაურობის დროს სასახლეების დიდებული იერიითა და საპარკო ხელოვნებით მოიხიბლა და საბოლოოდ თავისი ბედი ამ შემოქმედებას დაუკავშირა. ტამბუროში ყოფნისას შექმნა შესანიშნავი პარკი, რომელმაც იმხანად დიდი სახელი მოუპოვა. საფრანგეთში დაბრუნებული ლაკინტინი უკვე სახელმოხვეჭილი შემოქმედი. იგი ლუდოვიკოს სამეფო კარზე კლავინდებურად ბევრს მუშაობდა. ამ პერიოდში ინგლისის მეფე კარლ II სთხოვს ლონდონს ეწვიოს, მაგრამ ლუი XIV წინ აღუდგა ინგლისელების თხოვნას და ლენოტრის მოსწავლე სამშობლოში დარჩა. ლაკინტინი სწავლულ მებაღედ ითვლებოდა, მან მებაღეობა-მეზოსტნეობის შესახებ რამდენიმე სახელმძღვანელო შეადგინა.

ლენოტრის მოსწავლეებიდან ჟიტარასა და დარჟენვილს, პრაქტიკული საქმიანობის გამო, საბალონო და მეფევაილეობის წიგნების შედგენაც ეხერხებოდათ. დეზალე დარჟენვილის ავტორობით საბალო ხელოვნებაზე შესანიშნავი სახელმძღვანელო გამოიცა „ბაღების აგების თეორია და პრაქტიკა“. ამ წიგნისათვის ნახატები და ნახაზები ა. ლებლონის მიერ იყო შედგენილი.

ღრმა მოხუცებულობაში, სიკვდილის პირს მისულ ლენოტრს სურვილი აღეძრა ვერსალის პარკი ერთხელ კიდევ მოენახულებია. ეს მოხდა 1700 წ., როდესაც 87 წლის დიდი ხელოვანი ვერსალში ჩაიყვანეს. ლუდოვიკო XIV-მ განკარგულება გასცა პორტმუზი მოეტანათ, რომელშიც ლენოტრი მოათავსეს. ამ დროს იქ მყოფთათვის არნახული და განუმეორებელი რამ მოხდა. საფრანგეთის მეფე პორტმუზს ხელჩაკიდებული ლენოტრს მიჰყვებოდა და გამოჩენილი ხელოვანის უკანასკნელ რჩევა-დარიგებებს ისმენდა. ამგვარად მათ პარკის მთელი უბნები შემოიარეს. ბევრი რამ გაიხსენეს, მრავალ საკითხს შეეხენ, ბევრზედაც იკამათეს. ორთავენი სტკბებოდნენ პარკის შესანიშნავი კუთხეების ხილვით, მცენარეული საფართითა და ბრწყინვალე არქიტექტურული ფორმებით. ლუი XIV-ის მეფური გრძნობა და დიდი სიმპათია სამეფო ბაღ-პარკების ყოფილი გენერალური

ზედამხედველის — ლენოტრის მიმართ იმხანად დაკანონებული სამეფო ეთიკეტის დარღვევით გამოხატა. სამეფო ამალის აზრით ვერსალის ისტორიაში ეს ერთადერთი უპრეცედენტო შემთხვევა ახსნილი იყო იმ გარემოებით, რომ ლენოტრის მიმართ მეფეს თავისებური მადლობის და პატივისცემის გამოთქმა სურდა იმ ხელთუქმნელი საპარკო ძეგლის აგებისა და დიდი დამსახურებისათვის, რაც თავის დროზე ლენოტრმა გაუკეთა ლუდოვიკო XIV-ს და საფრანგეთის სახელმწიფოს.

კლოდ დე ვარენის წიგნის („მოგზაურობა საფრანგეთში“) გამოცემის ზუსტად 30 წლის შემდეგ საფრანგეთის „ყველაზე განათლებულმა ქალმა“, საზოგადო მოღვაწე მადლენ დე სკუდერმა 1669 წ. გამოსცა წიგნი „ვერსალში გასეირნება“. იგი საფრანგეთის საზოგადოებაში აღიარებული და ერთ-ერთი უმაღლესი საგვარეულო წრის წარმომადგენლის დე რამბულიეს უახლოესი პიროვნებაა, რომელმაც ვერსალის პარკი და სასახლე ეპოქის საოცრებად მიიჩნია.

მწერალი ბრუერი აღფრთოვანებით ივონებს ვერსალის პარკში გატარებულ წუთებს. იგი ვერსალს „გონივრულ ბაღს“ უწოდებს და ასაბუთებს, რომ ადამიანის გააზრებული გონების წყალობით შექმნილია ბრწყინვალე შადრევნებისა და პარტერების ნაწარმოებები. ვერსალი, მიუხედავად რელიეფურად რთული გარდაქმნებისა, კლასიკური სტილის შესანიშნავ ილუსტრაციად რჩება. ბრუერი აღნიშნავდა, რომ ლუდოვიკო, XIV-ის და ლენოტრის ღირსებაა, რომ მათ სამოთხე შექმნეს.

მარკიზა დე სევინიე ერთ-ერთ წერილში ქალბატონ დე გირინონისადმი აღნიშნავდა, რომ „თითქმის ყოველდღე ზდებოდა ბაღების გადაკეთება. თქვენ ზომ იცნობთ ლენოტრის მანერას? ვერსალში მან ტყეები და უზარმაზარი მასივები გადმოიტანა. რაც შეეხება სასახლეს, თვალთ ალუწერელია, განსაკუთრებით დიდი სარკეებიანი ვალერეა. ეს არის სამეფო მშვენიერებისა და სილამაზის ყველაზე დასრულებული წარმოდგენა“.

ანდრე ლენოტრი შემოქმედებით სიმწიფეში ლუი XIV-ის კარზე დაინიშნა საფრანგეთის სამეფო ბაღ-პარკების გენერალურ ზედამხედველად. ლენოტრმა მეფეს მოახსენა მომავალი ფრანგული პარკის გეგმები, რომ სამეფო წალკოტი იქნებოდა უზარმაზარი გამწვანებული ქალაქი, რომელიც მწვანე კედლების წყობით აიგებოდა. სხვადასხვა ქვეყნისა და სახელმწიფოდან მომავალი მაგისტრალური გზები დიდებულ სასახლესთან მოიყრიდა თავს და ირგვლივ

გაშენებულ პარკს ყვავილოვანი და წყლის პარტერები, თეატრი, აუ-  
ზი, შადრევნები, ხეივნები, ქანდაკებები, წყალვარდნილები, ზამთრის  
ბაღი და დეკორაციული ბოსკეტები დაამშვენებდა. მაღალტანხანა  
შერქნიანი გაკრეჭილი ხეებით მწვანე კედლები აღიმართებოდა, დე-  
კორაციული ხე-ბუჩქებით ბოსკეტები და ფანჩატურები შეიქმნებო-  
და, სამეფო ხეივანსა და მოედნებს ქანდაკებები და არქიტექტურული  
ფორმები დაამშვენებდა, ხოლო წყალსატევებში გემებით და ნავე-  
ბით ისეირნებდნენ.

ლენოტრის შემოქმედება მიმართული იყო, არა მარტო ბუნების  
წიაღის დასაპყრობად, არამედ ბუნებრივი ფაქტორებისა და სტი-  
ქიის გარდასაქმნელად. მას ბუნების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი —  
მზეც დამორჩილებული ჰქონდა. ლენოტრის ამდაგვარი აზრებით  
გამოიყურებოდა მწვანე ქალაქი, რომელიც მზის ღმერთის აპოლო-  
ნის საცხოვრებელი უნდა გამხდარიყო.

— „მეფე-მზემ“ ლუი XIV-მ მოისმინა ლენოტრის არა მარტო სიტ-  
ყვიერი აღწერილობა, არამედ მომავალი პარკის გეგმებსა და ჩანა-  
ხატებსაც გაეცნო. მეფე თითოეულ ნახაზს დიდი გულისყურით  
თვალს ადევნებდა და კმაყოფილების ნიშნად 20 ათასი ლივრით და-  
საჩუქრებას ჰპირდებოდა. ლენოტრი ახალი და სრულიად უცხო ნა-  
ხაზებისა და ჩანახატების ჩვენებას აგრძელებდა. ლუდოვიკოს სიხა-  
რულს საზღვარი არ ჰქონდა, ლენოტრი კი მომავალი პარკის ახალ  
გეგმებს სთავაზობდა. ბოლოს კი გულუხვი დაპირებებით აღფრთოვა-  
ნებულ მეფეს ლენოტრემ მიუგო: „შეჩერდით ხელმწიფე, თუ ასე  
გაგრძელდება თქვენ ვაკოტრდებით“.

ვერსალის განუმეორებელი პარკის შექმნას საფუძვლად დაედო  
ლენოტრის როგორც საბაღო-საპარკო ხელოვანის, უზადლო ნიჭი  
და ის დიდი განუზომელი უფლებები, რაც მეფის ნდობით იყო გა-  
მოწვეული. ვიდრე მონადირის სასახლე გადაკეთდებოდა, მთელი ყუ-  
რადლება პარკის დაგეგმარებაზე იყო გამახვილებული. ლენოტრის  
ჩანაფიქრი და შემოქმედებითი გეგმები იმ უზარმაზარ სამუშაოებს  
დაედო საფუძვლად, რომელიც ტერიტორიის მოსწორებით იწყებო-  
და და არქიტექტურული ძეგლების მშენებლობით მთავრდებოდა.  
ვერსალის პარკში ყოველი უბნის სააღმშენებლო საქმიანობას უპირ-  
ველესად წინ უძღოდა ლენოტრის აზრის გამოთქმა, ხოლო მისგან  
გამომდინარე იწყებოდა მშენებლობა. არქიტექტურის ისტორიაში  
პირველადაა აღიარებული ის ფაქტი, რომ საპარკო ხელოვანი კარ-  
ნახობდა არქიტექტორებსა და მშენებლებს, თუ ხუროთმოძღვრული

ძეგლები როგორი ტექნიკური საშუალებებით და განსაკუთრებული კანონზომიერებით განაწილებულიყო მცენარეულ საფარში.

ლულოვიკო XIV-მ საკუთარი გეგმებისა და პირადი ზრახვების განსახორციელებლად, ვინაიდან ვერსალის იმდროინდელი ტერიტორია აღარ ყოფნიდა მეფის წვეულებებს და დღესასწაულებს, გადაწყვიტა ვერსალის მეზობლად მდებარე ორი სოფლის შესყიდვა. ტრიანონისა და შუაზიბოფის მიწის ტერიტორიების შეერთებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ვერსალის როგორც სახელმწიფო სამეფო რეზიდენციის, ასევე პარკის მშენებლობის საშუალებები და შემოქმედებითი მასშტაბები.

ვერსალის არქიტექტურული და საპარკო ანსამბლი ერთდროულად არ შექმნილა. სასახლისა და პარკის მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოები წარმოუდგენლად რთულ და განსაკუთრებით უნაყოფო და მწირ ნიადაგობრივ პირობებში წარიმართა. ასეთი ადგილები დიდი მოცულობითი და შრომატევადი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა, რაც დაკავშირებული იყო არა მარტო საწარმოო ძალებთან, არამედ უზარმაზარ თანხებთანაც.

სენ-სიმონი დე რუერუა ლუი (1675-1755), მწერალი და საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე, ავტორი იმ ხანად გახმაურებული „მემუარებისა“, რომელმაც აბსოლუტიზმის ეპოქის საფრანგეთის სამეფო კარისა და ფეოდალური არისტოკრატის ცხოვრება აღწერა, ქვეყნის ეკონომიური ვითარების მიმოხილვისას აღნიშნავდა: „ყოველმხრივ სევდიანი და მწუხარე, სამეფო მიწებს შორის ყველასაგან მიტოვებული და მიგდებული მიდამო, რომელიც გამოირჩეოდა უწყლო და მცენარეებს მოკლებული საფარით, ქვიშარი და გაუვალი ჭაობით“.

კოლბერი 1665 წ. სახელმწიფოს ფინანსთა ხაზინის მთავარი ზედამხედველი იყო. წარმოშობით რეიმსიდან, ქსოვილებით მოვაჭრე ოჯახში აღზრდილი, ჭკვიანი და მკაცრი, იშვიათად მომცინარი კოლბერი დიდი შრომისუნარიანობითა და საქმისადმი ფანატიკური ერთგულებით გამოირჩეოდა. მან სამეფო კარზე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და ლუი XIV სახელმწიფო საქმეებს მის გარეშე არ წყვეტდა. გაეცნო რა ვერსალის მშენებლობის საკითხებს, კოლბერი დაბეჯითებით თხოვდა მეფეს შეეცვალა აზრი მშენებლობის შესახებ, რადგან ამ უზარმაზარი გეგმების განხორციელებას არა მარტო წლები დასჭირდებოდა, არამედ უხილავი საშუალებები და არნახული თანხა მოხმარდებოდა.

მაგრამ რა აღუდგებოდა ლუდოვიკო XIV-ის „მეფეთ-მზის“ ზრახვებს. 1661 წ. ლენოტრი ვერსალის ბუნებასთან ჭიდილს შეუდგა. მან თავისი გეგმების, ნახაზებისა და ჩანახატების განხორციელებას 20 წელი მოანდომა, ხოლო ვერსალის სასახლისა და პარკის მშენებლობაზე მხოლოდ ლუდოვიკო XIV-ის მეფობის პერიოდში 500 მილიონი ლივრი დაიხარჯა.

ასეთი კოლოსალური და ზღაპრული თანხა მსოფლიოს არც ერთი პარკის მშენებლობას არ მოხმარებია. ვოლტერი ვერსალის შესესახებ აღნიშნავდა: „ლუდოვიკო XIV-ს პარიზზე რომ ერთი მეზუთედი დაეხარჯა იმ თანხისა, რაც მას ვერსალის ბუნებაზე გამარჯვება დაუჯდა, მაშინ პარიზი მთლიანად ისეთივე მშვენიერი და ლამაზი იქნებოდა როგორც ის ტუილრისთან და პალეროიტთან არის“.

ანდრე ლენოტრის ვერსალის პარკის გეგმის გაცნობისთანავე დავრწმუნდებით, რომ ეს უზარმაზარი არქიტექტურული ანსამბლი კლასიკურ ანუ გეომეტრიულ სტილშია გადაწყვეტილი. საბაღო-საპარკო ხელოვნებაში გეომეტრიულ სწორხაზოვან დაგეგმარებას მეორენაირად ფრანგულ სტილსაც უწოდებენ. ქალაქ ვერსალის სასახლესთან მიმდებარე ტერიტორია და პარკის გენერალური გეგმის სქემატური გამოსახულება შემდეგნაირადაა აგებული. ვერსალის არქიტექტურული კომპლექსი და საპარკო ანსამბლი ორნამენტულ ნახაზს წარმოადგენს. ვერსალის არქიტექტურული და საპარკო ანსამბლის უზარმაზარი ტერიტორია გენერალური გეგმარების საკომპოზიციო ღერძზეა განლაგებული, რომელსაც პარალელურად და პერპენდიკულარულად მეორეხარისხოვანი გეგმარების ღერძები ჩაუდის. გეგმარების მთავარი ღერძის სიგრძე 5 კილომეტრზეა გადაჭიმული, ხოლო ველიზიდან ვილპრემდე, პარიზის გამზირის გავლით, ვერსალის სასახლემდე ღერძის სიგრძე კილომეტრნახევარს აღემატება, რაც ვერსალის ქალაქის განაშენიანებისათვის საკომპოზიციო ღერძს წარმოადგენდა, რომლის გასწვრივ და ირგვლივ ქალაქის ანსამბლი შეიქმნა. ვერსალის სასახლიდან პარკის ტერიტორიაზე საკომპოზიციო გეგმარების ღერძი (წყლის პარტერები, ლატონას აუზი, მწვანე ხალიჩა, აპოლონის შადრევანი, დიდი წყლის არხის გავლით) სიგრძით 3 კილომეტრს აღემატება და ფაქტიურად ვერსალის ქალაქზე გამავალი მთავარი საკომპოზიციო ღერძის გაგრძელებას წარმოადგენს.

ვერსალის სასახლის მიმდებარე ტერიტორია მოედნების კომპლექსს წარმოადგენს, სადაც თავს იყრიან ქალაქიდან მომავალი მაგისტრალური ქუჩები. აქ არსებული თანამიმდევრობით განლაგებული: არმიის, სამეფო, მინისტრებისა და მარმარილოს მოედნები ჰარმონიული თანაფარდობით დიდ სასახლეს უკავშირდებიან. ქალაქის მხრიდან სასახლესთან სამეფო საჯინიბო, მეფისა და მარმარილოს მოედნებია განლაგებული, ხოლო სასახლის გადაღმა დეკორაციული პარკია გადაშლილი. აქედან ვრცელი მოედნებითა და წყლის პარტერების გავლით მარმარილოს დიდ კიბეებს ლატონის შადრევანსა და მის მიმდებარე პარტერულ მოედნებთან ჩავყავართ. ამ უბნის გაგრძელებას მწვანე ხალიჩა და სამეფო ხეივანი წარმოადგენს, რომელიც აპოლონის აუზს უკავშირდება. აქ წყლის დიდი არხის დასაწყისია, რომელიც ჰორიზონტს უსასრულობაში უკავშირდება. ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების აღწერა თითქოს ერთი სიტყვით შესაძლებელია, ფაქტიურად საბალო-საპარკო ანსამბლი 3-კილომეტრიან საკომპოზიციო ღერძზეა განლაგებული.

პარკის მთავარი ღერძის მართი კუთხით გვემარების მეორეხარისხოვანი ღერძია, რომელზედაც სასახლის მოედანი, წყლის პარტერები, მცირე არქიტექტურული ფორმები, სამხრეთისა და ჩრდილოეთის პარტერებია განლაგებული. ვერსალის სასახლის მარცხნივ სამხრეთის პარტერია გადაშლილი. აქ არსებული ასსაფეხურიანი კიბეებით ორანჟერეასა და შვეიცარულ ტბასთან ჩავდივართ. სამხრეთის ყვავილოვანი პარტერის გასწვრივ დედოფლის ბოსკეტი, ვაკხისა და ცერერას შადრევნებია, ხოლო ცოტა მოშორებით სადღესასწაულო მწვანე დარბაზი. მის გასწვრივ ლაბირინთი, მეფის შადრევანი და სამეფო კუნძულია. ამ უბნის ახლოს ჟირანდოლისა და კოლონადის ბოსკეტებია განლაგებული, ხოლო მოშორებით ცხენის წაბლის „მწვანე დარბაზია“.

სასახლის მარჯვნივ ჩრდილოეთის პარტერია გადაშლილი, რომლის გასწვრივ წყლის ხეივნისა და ტრიუმფალური თაღის დეკორაციული ანსამბლი ნებტუნის აუზით მთავრდება. აქვეა აპოლონის აბანოები და სამი შადრევნის ბოსკეტი, რომელსაც წყლის თეატრი, ღოფინასა და პავილიონის ბოსკეტები ემიჯნება. ამ უბანს ამშვენებს აღმართული ობელისკის შადრევანი, ფლორას აუზი და ვარსკვლავის ბოსკეტი. ჩრდილოეთის პარტერიდან სწორი და ფართო გზა დიდ ტრიანონთან აკავშირებს. ამ გზას ტრიანონის გამზირი ეწოდება. აქვეა პატარა ტრიანონის პარკი და სასახლე.

ვერსალის სასახლისა და პარკის მშენებლობას წინ უსწრებდა მიწის მოცულობითი დიდი სამუშაოები. უპირველესად აღვიღმდებარეობის მოსწორება-მოსანდაკებას, მიწის შეზიდვას ახდენენ სამე-ლიორაციო-სადრენაჟე და მოსარწყავი ქსელის შესადგენად. შტენ-რეული საფარის შესაქმნელად იქმნებოდა ნაგებობები, რადგან ვერსალის მიდამოებში მდინარისა და ტბის სიმცირე და იმხანად მარლის წყასადენში წყალტევადობის უკმარისობა მოითხოვდა ჭარ-ბი წყლის რეზერვუარების მშენებლობას. ამ გარემოებამ განაპირო-ბა ვერსალისა და რამბულიეს ადმინისტრაციულ დასახლებათა შო-რის, 34 კილომეტრის მანძილზე, ჰიდროლოგიურ ნაგებობათა უზარ-მაზარი კომპლექსის აგება. ამ მონაკვეთზე მოეწყო: აკვედუკების ქსე-ლი, წყალვარდნილები, მექანიკური ტუმბოები, წყლის სივრცეები, კამხალეები, ხიდები, საყრდენი კედლები და ა. შ. ზემოთ აღნიშნული ჰიდროლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად დასაქმებული იყო 22 ათასი ჯარისკაცი და 8 ათასი ქვისმთლელი ხელოსანი. ეს უზარმა-ზარი სამუშაოები ლუი XIV-ს დაუჯდა 9 მილიონი ლივრი და 10 ათასი ხელის მუშის სიცოცხლე.

სასახლისა და პარკის შრომატევადი სამუშაოები იმხანად პრი-მიტიული წესით სრულდებოდა. ძირითად საწარმოო ძალებს ხელის მუშები და ცხენის გამწევი ძალა შეადგენდა. სასახლის სამეურნეო წიგნის აღნიშვნებით მიწის სამუშაოებზე ერთდროულად დასაქმებუ-ლი იყო 22 ათასიდან 36 ათასამდე ხელის მუშა და 6000 ცხენი. მშე-ნებლობის დასაწყისში მხოლოდ მიწის სამუშაოებზე ლულოვიკო XIV-მ 500 ათასი ეკიუ დახარჯა.

საფრანგეთის ხელოვანთა და ხუროთმოძღვართა გენიალური ნიჭი აისახა ვერსალის სასახლის არქიტექტურასა და საპარკო-სა-ბაღო ხელოვნების ანსამბლში. ცნობილია, რომ ვერსალის სასახლის მშენებლობა ძველებური მონადირის პატარა სასახლის რეკონ-სტრუქციით დაიწყო. ლუი XIV-მ მონადირის სასახლის გადაკეთები-სას არქიტექტორებს განუცხადა: „რაც გნებავთ გააკეთეთ, მხოლოდ ძველ შენობას ნუ დაანგრევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვუბრძანებ კვლავინდებური სახით აღადგინონ“. მართლაც არქიტექტორმა ლე-ვომ მონადირის სასახლის გადაკეთებისას ძველებური სასახლის ფასადი და მის წინ მყუდროდ მოქცეული მარმარილოს ეზო შეი-ნარჩუნა. იმხანად ცნობილ ხუროთმოძღვრებს ლევოსა და მანსარს მხარს უმშვენებდნენ ნიჭიერი არქიტექტორები, როგორიცაა: ლე-მუე, დორბაი, პიერ ვიტარი, ბრუანი, პიერ კოტარი და ბლონდელი.

ლევოს გარდაცვალების შემდეგ მეფის პირველი არქიტექტორის ადგილი დაიკავა ჟიულ-არდუენ მანსარმა, რომელიც 1708 წლამდე სამეფო ნაგებობების მშენებლობას ხელმძღვანელობდა. მანსარის გარდაცვალების შემდეგ სამეფო კარის სამშენებლო საქმიანობას ხელმძღვანელობდა მანსარის მთავარი თანამემწე, მისი მოწაფე და სიძე — არქიტექტორი რობერტ დე კოტი. ვერსალში იმხანად არქიტექტორები შარლ დავილე და ლასიურანსი მუშაობდნენ. სასახლის ოთახები და მრავალი ინტერიერის სივრცე მხატვრულად გადაწყვიტეს „მეფის კაბინეტის“ მხატვრებმა: ბერენმა, ვიგარანმა, ლებრენმა და მინიარმა. ვერსალში მოქანდაკეთა ჯგუფს ამშვენებდა: ანტუან კუაზეოკსი, ჟან-ბატისტ ტუბი, პიერ პუჟე, ძმები მარსები და სხვ. მოგვიანებით საამშენებლო სამუშაოებს არქიტექტორი გაბრიელი აწარმოებდა, ხოლო გამოჩენილ მხატვართა ჯგუფს პორტრეტისტი-მხატვრები: ნიკოლა ლარჟილერი და ვიაციონტი რიგო შეემატა.

ლუდოვიკო XIV-ის უზარმაზარი გეგმები არ ემთხვეოდა არსებული სასახლისა და საპარკო ანსამბლის მცირე მასშტაბებს და მამისეული მონადირის პატარა სასახლის გადაკეთებას შეუდგა. ლევო უაღრესად დიდ პატივს სცემდა ლენოტრის შემოქმედებას და ნაგებობის გადაკეთებისას ცდილობდა, რომ არქიტექტურულ ანსამბლსა და საპარკო ნარგავობათა კომპოზიციებს შორის ჰარმონიული შეხამება ყოფილიყო. ლევოს ძირითად ამოცანას არქიტექტურული ელემენტების ერთ მთლიანობაში თავმოყრა შეადგენდა, როგორცაა: სასახლისა და სამეურნეო კორპუსების ერთიან არქიტექტურულ ანსამბლში მოქცევა, ადგილმდებარეობის შეხამებით სასახლისა და დამხმარე ნაგებობების სწორ ჰორიზონტებში მოქცევა და ა. შ. ლევო გარკვეულ სიძნელეებსაც აწყდებოდა. არქიტექტურული ანსამბლის საერთო იერს ორი გვერდითი გამონაშვერი კორპუსი მეტად ამძიმებდა, საჭირო იყო ამ ნაწილის ფაქიზი რეკონსტრუქცია. მარმარილოს ეზო, რომელიც ლუი XIII-ის დროს აშენდა, სწორედ ამ ორ გამონაშვეილ კორპუსს შორისაა მოქცეული. პირველი კორპუსი ჩრდილოეთის მხრიდანაა მიშენებული. აქ არსებული ელჩების კიბეებით შეიძლება სასახლეში მოხვედრა (მოგვიანებით ელჩების სახელი სამეფო კიბეების სახელწოდებით შეიცვალა). მეორე კორპუსი სამხრეთიდანაა მიშენებული და მხოლოდ დედოფალი სარგებლობდა, ამიტომ დედოფლის კიბეების სახელწოდებითაა ცნობილი. სასახლის ეს ნაწილი, 1678—1679 წლებშია აგებული. ნაგებო-

ბათა მშენებლობისა და გადაკეთების შეფარდებით ლევოს უფურად-  
ღებოდ არ დაუტოვებია სასახლის შემოგარენისა და ბუნების გარ-  
დაქმნის საკითხები, ამიტომ სასახლის ირგვლივ გაჭრილი თხრილი  
ამოავსებია და საპარკო ნაწილის გამწვანებას გარკვეული ადგილი  
დაუთმო. ანდრე ლენოტრმა არქიტექტორ ლევოსა და, შემდგომში,  
მანსართან თანამშრომლობით გამოავლინა დიდი შემოქმედებითი  
ოსტატობა და საპარკო მშენებლის გენიალური ნიჭი.

1670 წ., ლევოს სიკვდილის შემდეგ, ვერსალის ძველი სასახ-  
ლის გადაკეთებასა და ახლის მშენებლობაზე მოწვეული იყო არქი-  
ტექტორი ფრანსუა დორბე, რომელმაც არქიტექტურული მეგკვიდ-  
რეობით ლევოს მიერ სასახლის წინა ხედის დაუმთავრებელი სამუ-  
შაოები ჩაიბარა. მან სასახლის წახნაგებს ორი პავილიონი ამოუ-  
შენა და დეკორაციული ღობით შემოფარგლა. ამ მოედანს „სამეფო  
ეზო“ დაარქვეს.

XVII ს. 70-იან წლებში ლუი XIV-ს ვერსალის სასახლის მას-  
შტაბები კვლავ აღარ აკმაყოფილებდა, ამიტომ სასახლის ხელახა-  
ლი გადაკეთება გადაწყვიტეს. 1678 წ. ამ დანიშნულებით მოიწვიეს  
გამოჩენილი არქიტექტორი ჟუილ-არდუენ მანსარი, ცნობილი ხუ-  
როთმოდღვრის ფრანსუა მანსარის ძმისშვილი.

ჟუილ-არდუენ მანსარმა, პირველად მსოფლიო არქიტექტურის  
ისტორიაში, შენობის გარეგანი ფორმები გარემოს ჰორიზონტა-  
ლურ ხაზებს დაუკავშირა და სასახლე საპარკო კომპოზიციის ერთ-  
ერთ კომპონენტად გადააქცია. თუ ადრე მონადირის პატარა სასახ-  
ლე, განმარტოებით განლაგებული, ბუნების სივრცეში ცალკე არ-  
ქიტექტურული ელემენტის ვერტიკალურ აქცენტს წარმოადგენდა,  
ამის საწინააღმდეგოდ მანსარმა არქიტექტურული ფორმების გადა-  
კეთებით სასახლე ადგილმდებარეობის ჰორიზონტებს დაუმორჩი-  
ლა, ხოლო შენობისა და ადგილმდებარეობის ჰორიზონტალური  
სიბრტყეების ურთიერთშეხამებითა და ფორმების დამთხვევით ბუ-  
ნების ლანდშაფტთან ორგანული კავშირი დაამყარა. ლევოს მიერ  
დაწყებულ სასახლის გადაკეთებას მანსარმა ბრწყინვალედ გაართვა  
თავი, არქიტექტურული ანსამბლი მნიშვნელოვნად განავითარა და  
შესანიშნავად დაასრულა.

1678—1687 წლებში მანსარმა ვერსალის სასახლეს ორი სარ-  
თული დააშენა, ხოლო გვერდით განშტოებებზე, სამხრეთისა და  
ჩრდილოეთის მიმართულებით, ორი უზარმაზარი 500-მეტრიანი  
კორპუსი მიუშენა. სასახლის პირველი სართული გამოირჩევა უბ-

რალო და სახიანი ქვის ლოდების წყობით, რომელიც ფაქტიურად ცოკოლის ხასიათს ატარებს, ხოლო მეორე სართულის ფასადი, რომელიც შედარებით მდიდრულადაა მორთული, კელის სვეტებით, უზარმაზარი სარკმელებით, პილასტრებითა და პროპორციულად მტკიცე არქიტექტურული ორდერებით. ამ ნაწილში არსებული პილასტრებისა და ორდერების მხატვრულმა მოკაზმულობამ ძირეულად გადაწვიტეს სასახლის არქიტექტურული სილამაზე. სასახლის მესამე სართული და შენობის მაკვირვებელი ნაწილი ატიკს წარმოაგენს. იგი სასახლის კარნიზის თავს ბალუსტრადებისა და ბალასინების ერთიანი სისტემით გასდევს, ხოლო მისი შემადგენელი ნაწილი, რითმულად განლაგებული ლარნაკები და დეკორაციული სკულპტურები შენობას უფრო მოხდენილსა და დიდებულს ხდის. ფრანგული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი შენობა-ნაგებობები მაღალი სახურავებით გამოირჩევა. ვერსალის სასახლეში ეს წესი დარღვეულია. სასახლის სახურავი დაბალია და პარაპეტის მიღმა საერთოდ გადამალულია.

მანსარმა სასახლის ცენტრალურა ნაწილი, რომელიც გვერდითი განშტოებების შეფარდებით გამოხნიქილია, ხელუხლებლად დატოვა. სივრცით პერსპექტივაში გვერდითი ფრთების მიშენებით სასახლის ფორმა დაგრძელდა. ამგვარად, შენობის ჰორიზონტალური ხაზები ადგილმდებარეობის სიბრტყეს დაემთხვა და პარკის საერთო ანსამბლში სასახლემ საპარკო ელემენტის სახე მიიღო, რითაც სასახლესა და პარკს შორის ორგანული კავშირი შეიქმნა. სასახლის ცენტრალური ნაწილი არქიტექტურული ფორმითა და დეკორაციული აღნაგობით გამოირჩევა, ხოლო გაადგილებით წინა პირზე გამოხნიქილია, რაც შენობის მთლიან კომპოზიციას მოცულობითი სიდიადისა და არქიტექტურული სილამაზის იერს ანიჭებს. 1671–1681 წლებში მანსარმა მინისტრების კორპუსი აავო და ეს უბანი მოქრული ღობით შემოფარგლა. ამ მოედანს „მინისტრების ეზო“ დაერქვა.

ვერსალის სასახლისა და პარკის შემოგარენი ვრცელი ფართობითაა შემოფარგლული. საფრანგეთის რევოლუციამდე ვერსალის არქიტექტურული და საპარკო ანსამბლი შედგებოდა სამი ნაწილისაგან, რომლებიც მცენარეული მასივებითა და შენობა-ნაგებობებით ერთმანეთთან იყვნენ შერწყმულნი.

პირველი ნაწილი — ვერსალის დიდი სასახლის მიმდებარე 95 ჰექტარი ფართობის ტერიტორიას აერთიანებდა, სადაც სასახლეს-

თან მიმავალი გზები და სამი უზარმაზარი მოედანი მდებარეობდა. ამ ნაწილშია მოთავსებული ქალაქის გარკვეული მონაკვეთი, რომელიც შემოფარგლულია: სენ-სირის ქუჩით, ტრიანონისა და მეზღვაურთა ხეივნებით.

მეორე ნაწილი — 1700 ჰექტარი ფართობი, სადაც განლაგებულია: შვეიცარული ტბა, დიდი წყლის არხი და ტრიანონები. ამგვარად ეს ნაწილი წარმოადგენს ვერსალის პარკის ოფიციალურ ტერიტორიას, რომლის გაგრძელებას დიდი და პატარა ტრიანონების ბაღები შეადგენდა.

მესამე ნაწილი — 6000 ჰექტარი ფართობი, რომელსაც დიდ პარკს ანუ სანადირო პარკს უწოდებდნენ. ამ მთავარ ნაწილში გაერთიანებულია ყველა დანარჩენი დეკორაციული განყოფილება და არქიტექტურული ძეგლი.

ამგვარად, ვერსალის არქიტექტურული საპარკო კომპოზიციის ანსამბლს არნახული და ძნელად წარმოსადგენი მოცულობები გააჩნია. ვერსალის პარკისა და შემოგარენის საერთო ფართობი 7795 ჰექტარს შეადგენს. რაც შეეხება ვერსალის პარკს, იგი ანდრე ლენოტრმა 6000 ჰექტარ ფართობზე დააგეგმარა და მსოფლიოში უდიდესი პარკის სახელი დაუმკვიდრა. დეკორაციული პარკი სამეფო ღობით 43 კილომეტრზეა შემოფარგლული და 22 სამეფო ჰიზონისაგან შედგება. პარკში ყოველდღიურ სამუშაოებს 2000 მებაღე და ხელის მუშა ასრულებდა.

ვერსალის არქიტექტურული ანსამბლის საკომპოზიციო ღერძი 1660 წ. უკვე დაზუსტებული და ჩამოყალიბებული არქიტექტურული კვანძი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად ვერსალის ქალაქის ოფიციალური საზღვრები უკვე გამოკვეთილი იყო, ხოლო ქალაქის გეგმა — დამთავრებული და განაშენიანებაც დაწყებული. ვერსალის ქალაქის სხივოსნური დაგეგმარება შემდგომში საფუძვლად დაედო კლასიციზმის ეპოქის ქალაქგანაშენიანების პრინციპებს. ქალაქის მშენებლობის შეფარდებით ვერსალის სასახლე და პარკის მშენებლობა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა.

ვერსალის პარკის საკომპოზიციო ღერძი სასახლეზე გადიოდა და პარკის გაგრძელებაზე იყო განლაგებული: ლატონის აუზი, მწვანე ხალიჩა, აპოლონის აუზი, დიდი წყლის არხი, რომელიც ჰორიზონტთან არსებული პერსპექტივით მთავრდებოდა. საკომპოზიციო ღერძი სასახლის პირითი ფასადის, ქალაქის მიმართულებითაც გრძელდებოდა. ვერსალის სასახლეს უკავშირდებოდა მზის სხივების

მსგავსად განშტოებული სამი ლარივით სწორი, მაგისტრალური ქუჩა, დაკავშირებული მოზრდილ პროვინციებთან სენ-კლუსა და სოსთან. შუა მაგისტრალური ქუჩა, ე. წ. პარიზის გამზირი, ვერსალს არა მარტო სწორი ხეივნით პარიზთან აკავშირებდა, არამედ ჰქონდა პირ ლუვრს უსწორდებოდა. აღსანიშნავია, რომ ვერსალში პარიზის გამზირის მშენებლობის დროს ერთდროული სამუშაოები ლუვრიდანაც იქნა დაწყებული და ლარივით სწორი გზა საკმაოდ ხანმოკლე დროში დამთავრდა.

მთავარი არქიტექტურული ღერძის ორიენტაცია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებითაა განლაგებული და ეს გადაწყვეტა შემთხვევით არაა გამოწვეული. აქ ლენოტრმა დიდი შინაარსი ჩააქსოვა. აღმოსავლეთის მხრიდან დაგეგმარებული პარიზის გამზირი სიმბოლურად გულისხმობდა მზის სხივების ამოსვლას ლუვრიდან, ხოლო მზე ჩადიოდა დასავლეთ ნაწილში განლაგებული დიდი წყლის არხისა და ჰორიზონტის მიღმა. ლუი XIV ხშირად სასახლის აივნიდან თვალს ადევნებდა მზის გადაწვევას და აღფრთოვანებას ვერ მალავდა, როდესაც წყლის დიდი არხის წარკულ ანარეკლში მზის დიდებული იერი აისახებოდა. ამ დროს მზის სხივები მწვანე ნარგავობის უზარმაზარ სივრცეში ნაწილდებოდა, ხოლო დიდი არხის წყლის ზედაპირზე სხივები და მზის დისკო ჰორიზონტში მდორედ იმალებოდა. შექმნილი ეფექტი ზღაპრულ ნაწარმოებს უახლოვდებოდა. ეს საპარკო ილუზია, რომელიც სიცხადეში იყო განხორციელებული, ანდრე ლენოტრის გენიალური ნიჭისა და ბრწყინვალე შემოქმედების შედეგი იყო.

ცნობილია, რომ ვერსალის სასახლის საკომპოზიციო ღერძზე დაგეგმარებული და შემდგომში დაკვალული იყო სამი მაგისტრალური ქუჩა, რომლებიც ვერსალის ქალაქს რადიალურად კვეთდა. პარიზის, სენ-კლუს და სოს მაგისტრალური გზებისა და ხეივნების შესაყრელთან ვრცელი მოედანია, რომელსაც არმიის მოედანი ეწოდება. ეს მოედანი სამხედრო აღლუმებისა და ჯარების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა და სახელწოდებაც აქედან წარმოდგება.

ვერსალის სასახლის გვერდით განშტოებებს არქიტექტორმა მანსარმა დამატებითი შენობები მიუშენა, რომელსაც შემდგომში მინისტრების კორპუსი დაერქვა. სასახლის ეს არქიტექტურული ნაწილი 1680 წ. დამთავრდა. კორპუსის წინ განლაგებულ მოედანს „მინისტრების ეზოს“ უწოდებდნენ.

საკომპოზიციო ღერძის გაგრძელებას მიეფის მოედანი წარმოადგენს, რომელიც სამეფო ეზოს სახელწოდებას ატარებს. მოედნის ცენტრში ლუდოვიკო XIV-ის ქანდაკებაა დადგმული.

ვერსალის სასახლესთან არსებული მოედნების კომპლექსი მთავრდება უძველესი ნაწილით, რომელსაც მარმარილოს ეზო დაერქვა. ეს უბანი დღემდის იმდროინდელი მონადირის სასახლის შემორჩენილი კედლებითაა შემოფარგლული. ვერსალის პარკში ლენოტრის ვრცელი სივრცეებისა და უზარმაზარი კომპოზიციების ხილვის შემდეგ, აქ, მარმარილოს მყუდრო ეზოში შემოსული მნახველი დიდ ინტიმურ სიმშვიდეს გრძნობს. სამი მხრიდან ქვითა და აგურის წყობით ნაგები ძველებური კედლები, რომელზედაც თაროები და ბიუსტები მოხდენილადაა გამოხუნეჭილი, ინტერიერის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ეზოს. წარსულში ეს მოედანი სცენის დანიშნულებას ასრულებდა და თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა. ამ მარმარილოს ეზოში პირველად დაიდგა მოლიერის „მიზანთროპი“.

1679—1686 წლებში ვერსალის ქალაქის მხრიდან, სასახლის მისასვლელებთან, მანსარმა დიდი და პატარა საჯინბოები ააგო.

დიდებული და მეტად ლამაზია ვერსალის სასახლესთან მიმდებარე მოედანი და ცენტრალური შესასვლელი. არმიის მოედანი, იქ, სადაც პარიზიდან ლარივით სწორი და ვრცელი გამზირი მოეპართება, ცენტრალურ შესასვლელს უერთდება. პარიზის გამზირის გეგმარების ღერძზე ვერსალის სასახლის მთავარი შესასვლელი და გვერდებში არსებული ორი დამხმარე მეორეხარისხოვანი ჭიშკარია განლაგებული. მთავარი და გვერდითი შესასვლელები სამეფო ღობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სამეფო ღობე მეტად ჰაეროვანია, რომელიც აქა-იქ ჩამოსხმული ჩუქურთმებითაა მორთული, წარმოადგენს რკინის გისოსს და მასიური რკინის ცოკოლს ებჯინება. ღობე შავადაა შეღებილი, ხოლო ჩუქურთმის სხმულ ვარდულებს მოოქრული ბრინჯაოს ფერი გადაჰკრავს. ღობის სიმაღლე 5 მეტრია, ხოლო ცენტრალური შესასვლელის ჭიშკარი 7 მეტრს აღემატება, რომელსაც თავზე გვირგვინის მსგავსად მთლიანობაში ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული საფრანგეთის სამეფო გერბი და მეფის გვირგვინი ადგას. ცენტრალური შესასვლელისა და ღობის არქიტექტურულ ანსამბლს ამშვენებს გვერდით დაბოლოებაში განლაგებული მცირე ნაგებობები, რომლებზედაც ქანდაკებების ჯგუფებია დადგმული. მარჯვენა ქანდაკებაში ცენტრალური ფიგურაა არწივზე მდგარი

ქალღმერთი, რომელსაც დაფნის გვირგვინი უჭირავს. იგი გამარჯვებისა და დიდების სიმბოლური განსახიერებაა; მარცხენა სკულპტურული ჯგუფი გვირობისა და მამაცობის სიმბოლური გამოსახულებაა, აქ ცენტრალური ფიგურა შემდგარია ლომზე, რომელსაც თავზე დაფნის გვირგვინი ადგას.

ვერსალის სასახლე სახელგანთქმული მოედნებით და ე. წ. მარმარილოს, სამეფოს, მინისტრებისა და არმიის მოედნებით ქალაქს შეჭყურებს. თუ წარსულში ვერსალის დასახლება მხოლოდ 500 მცხოვრებით განისაზღვრებოდა, სასახლის მშენებლობის მიხედვით ვერსალის სოფელი თანდათან ვითარდებოდა, კეთილმოწყობილი და ორგანიზებული ქალაქის სახეს ღებულობდა. ვერსალში სახლდებოდა სასახლის კარზე მომსახურეთა ოჯახები, შენდებოდა ხელოსნებისა და ვაჭრების სახლები.

1670 წლისათვის დაბა ვერსალი ქალაქის ტიპად გადაკეთდა. ლუი XIV-ის მეფობის ხანაში ვერსალის მოსახლეობამ 100 ათას მცხოვრებს გადააჭარბა. ლუი XIV-მ აქ მრავალი სამხედრო პირი ოჯახებით დაასახლა, ხოლო მოსახლეობის მოზიდვის მიზნით მაღალი წრის წარმომადგენლებისა და დიდებულ პირთათვის განსაკუთრებული შეღავათები დააწესა. მეფის სასახლისა და პარკის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება მიჩნეულ იქნა სამეფო გვარის მიმართ საპატივცემულო მოვალეობად. სასახლისა და პარკის მშენებლობის დამთავრების შემდეგ არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი თუ დიდებული პირი კვლავ განაგრძობდა სამეფო კარზე სამსახურს. ვერსალის სამეფო რეზიდენციაში ფართოდ დამკვიდრდა ლუდოვიკოსეული წესი. მაღალი წრის წარმომადგენლები ვერსალში ჩამოდიოდნენ და მეფის ამაღლაში ან სამეფო კარზე მუდმივად მუშაობდნენ. ამგვარი წესით, ლუდოვიკომ საფრანგეთის ყოველი კუთხიდან მიიზიდა მაღალი წოდების წარმომადგენლები. სამეფო კარზე და ადმინისტრაციულ-სამმართველო ქსელში მომსახურე პირნი დასაქმებულნი იყვნენ სახელმწიფო და სამეფო კარის საკითხებით.

ვერსალის სასახლეში ლუი XIV-ის კულტის ირგვლივ საკმაოდ მკაცრი რიტუალური ეთიკეტი იყო შექმნილი. იმ ხანად სასახლის სამმართველო სტატისტიკა აღნიშნავდა, რომ ლუდოვიკო XIV-ის სამეფო რეზიდენციის კარზე მუშაობდა 20 ათასი მოხელე. ვერსალის სასახლეში მეფეს, მის ოჯახსა და ახლობლებს სპეციალური გვარდია იცავდა, რომელშიც 100 ათასი კავალერისტი და

კარაბინერი იყო გაერთიანებული, ხოლო მოსამსახურე პირის ფარმთა და სეფექალების რაოდენობამ 4 ათასს გადააჭარბა.

ვერსალში მეფის ყოფითი ცხოვრების ყოველი მონაკვეთი საღვდესასწაულო რიტუალით მიმდინარეობდა. მეფის ლოგინიდან წამოდგომა, საუზმის შემდეგ აუდენციები და არაოფიციალური მიღებები გვიან ღამით გაუთავებელი დღესასწაულებით აღინიშნებოდა. მეფის ამაღლა და დიდებულნი ვალდებულნი იყვნენ მუდმივად დასწრებოდნენ მეფის ცხოვრების თითოეულ მონაკვეთს, თუნდაც იმ დროს, როდესაც მეფე კარტასა თუ ბილიარდის თამაშით იყო ვართული. ლუი XIV-მ საგანგებო თანამდებობები შემოიღო, მაგ., „მეფის ყელსაბამის ორდინალური მცველი“, ხოლო სამეფო რიტუალები, როგორც იყო მეფის დილის ტუალეტი, ტრაპეზი, ჩაცმა და მოკაზმვა წარმოებდა მაღალი წრის წარმომადგენლებისა და დიდებულ საგვარეულო პირთა თანდასწრებით. უმაღლეს პატივად ითვლებოდა აგრეთვე, დილით მეფისათვის პერანგის მიწოდება თუ საძინებელში გაცილებისას სინათლის მინათება. ამ ადგილს ეცილებოდნენ რჩეულთა შორის რჩეულნი, რომლებიც უმაღლესი სადიდებულო წოდებითა და განსაკუთრებული ნიშანთვისებებით გამორჩეული უნდა ყოფილიყვნენ. სამეფო კარის ცხოვრება გაუთავებელ თეატრალურ სანახაობად გადაიქცა. სამეფო კარზე საფრანგეთის საზოგადოების წარმომადგენლობა და მაღალი წრის პირები ომში გაწვეული სამხედრო არმიის მოხელეებს დაემსგავსნენ. სამეფო კარზე თავის დროზე გამოცხადება, განსაკუთრებულ ჩაცმულობა, თავის დაჭერა, ურთიერთდამოკიდებულება და ყოფითი განრიგი გამომდინარეობდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი სამეფო კარზე დაკანონებული შინაგანაწესიდან.

სასახლისა და პარკის მშენებლობის 50 წლის მანძილზე, ყოველდღიურად, 400 ხელის მუშა ეზიდებოდა მიწას. ამ შრომატევადი სამუშაოების შედეგად ვერსალის პარკის შუაგულში ბუნებრივი გორაკი ხელოვნურ ზეგნად გადაკეთდა, რომელზედაც მეფის სასახლეა განლაგებული. ეს ადგილი პარკის შედარებით მაღალ წერტილად ითვლებოდა, რომელიც ყველა კუთხიდან კარგად ჩანს. სასახლის ფასადი პარკისაკენ დასავლეთით არის მიმართული.

ვერსალის სასახლის სიგრძე ერთ კილომეტრს აღემატება, ხოლო სახურავების საერთო ფართობი 11 ჰექტარია. ვერსალის სასახლიდან საბალო-საპარკო ხელოვნების ულამაზესი პანორამაა გადაშლილი, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე არ შეცვლილა. სასახ-

ლე პარკის შემადღებაზეა განლაგებული და ფუნქციონალური და-  
ნიშნულებით უდიდესი არქიტექტურული ძეგლის შთაბეჭდილებას  
ტოვებს. მოედნიდან სასახლე დიდი გვეჩვენება, ხოლო შერეული  
ლიდან სივრცეში ვიწრო, ჰორიზონტალურ ზოლად წარმოგვიდგება.

1699 წ. სასახლის გვერდითი განშტოების ჩრდილოეთ მინაშენ-  
ში მანსარმა ააგო ეკლესია, ხოლო სასახლის ცენტრალურ ნაწილ-  
ში, დასავლეთი ფასადის გასწვრივ, მეორე სართულზე, ცნობილი  
სარკვებიანი დარბაზი მოათავსა. ეს უზარმაზარი ინტერიერი ომისა  
და მშვიდობის დარბაზებით დაასრულა. 1680-1686 წლებში მან-  
სარმა დარბაზებისა და ოთახების მშენებლობის გარდა ნაწილობრივ  
მხატვრულ-დეკორაციული გაფორმებითი სამუშაოებიც ჩაატარა.  
ინტერიერების შექმნისა და განაწილების დროს იგი რჩევას მეფისა-  
განაც დებულობდა. ამიტომაც, რომ სარკვებიანი დარბაზის გვერდით  
„მეფეთ-მზის“ საძინებელია მოთავსებული, რომელიც მარმარილოს  
ეზოს გასცქერის. მყუდრო ნაწილში, ინტერიერების გვემარების სა-  
კომპოზიციო ღერძიდან მოშორებით, დედოფლის საძინებელი მოა-  
თავსა, რომლის მშენებლობა და გაფორმება 1671 წ. დასრულდა.  
დედოფლის ოთახი მშვიდობის დარბაზის გვერდითაა. იგი ხმაური-  
საგან დაცულია და სილამაზით მეტად გამოირჩევა, ექსტერიერის  
ნაწილში ქალაქის ლანდშაფტზე შესანიშნავი ხედით ხასიათდება და  
ყველა ოთახს შორის გამოირჩევა. მანსარმა მეფის ოჯახის წევრთა  
საძინებელიც ახლო-მახლო მოაწყო, ხოლო მისაღები დარბაზები  
სასახლის სიღრმეში გადაიტანა. რაც შეეხება დაცვის და მოსამსა-  
ხურეთა ოჯახებს, ისინი სასახლის გვერდითი ფრთების მინაშენში  
გაანაწილა.

ვერსალის სასახლის უზარმაზარ კომპლექსში მანსარმა დარ-  
ბაზებსა და ოთახებთან დასაკავშირებლად სპეციალური მარშრუ-  
ტიც გამოიმუშავა. სასახლის მთავარ კორპუსში მოხვედრა შეიძლე-  
ბოდა მარმარილოს ეზოს საზეიმო კიბეებით. მეფე უმოკლესი გზით  
მარმარილოს ეზოდან ან დედოფლის კიბეებით თავის საძინებელში  
ხვდებოდა, ხოლო სხვა პირები, ვინაიდან სამეფო კიბე და შესასვ-  
ლელი მათთვის არ იყო განკუთვნილი, იძულებით ინტერიერების  
მწკრივს ჩაივლიდნენ და მხოლოდ ამგვარად ხვდებოდნენ მეფესთან.  
ეს ოფიციალური მარშრუტი ნახევარ კილომეტრს უდრიდა, ვინაი-  
დან. ლუი XIV-სთან შეხვედრა შეიძლებოდა მარმარილოს ეზოდან  
სამეფო კიბეების ავლით და ჰერკულესის, ვენერას, დიანას, მარსის,  
მერკურის, აპოლონის, ომის, სარკვებიანი დარბაზის, საბჭოს (საკ-

რებულო) ოთახების გაკლით. ამ ადვილზე მოხვლა შეიძლებოდა აგრეთვე სასახლის მეორე მხრიდან შემოვლით დედოფლის კიბეების ავლით და კეთილშობილთა, მშვიდობისა და სარკეებიანი ფარბაზების გაკლით. მართალია ეს მანძილი შემოკლებულია, მაგრამ ამ მარშრუტით მხოლოდ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირნი სარგებლობდნენ. არქიტექტორ შუაზის ნახაზით და მისი აღწერილობით ცნობილია, რომ ამ მრავალრიცხოვანი ინტერიერების დაუსრულებელი გადალახვა მანსარისა და ლუი XIV-ის განსაკუთრებული მოსაზრებებით აიხსნებოდა. ამ სამყაროს ფსიქოლოგიურ შთაბეჭდილებათა აფექტში მოხვედრილი მნახველი ძალაუნებურად მეფის სიდიადისა და სიძლიერის თაყვანისმცემელი ხდებოდა. ინტერიერების მდიდრული მოკაზმულობით შექმნილი შთაბეჭდილება მესხიერებაში ხანგრძლივი დროით სადგურდებოდა. ეს ეფექტი, რომელიც სამი საუკუნის უკან ლუი XIV-ის და იმდროინდელი საზოგადოებისათვის იყო შექმნილი, დღესაც ძალას არ ჰკარავს.

ვერსალის სასახლის დარბაზებისა და ინტერიერების არქიტექტურულ-დეკორაციული სამუშაოები, ისე როგორც სასახლის მშენებლობა, რამოდენიმე პერიოდში შეიქმნა. ინტერიერის გაფორმება განასახიერებს ლუი XIV-ის მეფობის დროს ფრანგული აბსოლუტიზმის არქიტექტურაში ბრწყინვალე სტილის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როდესაც კომპოზიციურმა სიცხადემ და მაღალმა მხატვრულმა ფორმებმა ხელოვნების უმაღლეს წერტილს მიაღწიეს. სასახლის შინაგანი იერი უზარმაზარი სიმდიდრისა და ჭეშმარიტად ფუფუნების საგნების თავისებურ კოლექციას წარმოადგენდა. დარბაზები და ოთახები გაცილებით მდიდრულადაა გაფორმებული და დიდებულად გამოიყურება, ვიდრე სასახლის გარეგანი ფასადი. სასახლის ინტერიერში უხვადაა გამოყენებული ე. წ. ფრანგული ბაროკოს მოტივები, როგორცაა: მრგვალ და ოვალურ ჩარჩოში მოთავსებული რელიეფური გამოსახულებები, კედლის რთული სკულპტურული სამკაულები, კარებისა და ტიშანის ორნამენტული მოკაზმულობანი, ჭერის მაღალმხატვრული მოხატულობანი, კედლის ჰორიზონტული ნაკეთობანი, რომლებიც დიდი გემოვნებითაა შეხამებული ძვირფას მასალასა და სახვითი ხელოვნების ნაკეთობებთან: ბრინჯაოს სხმულებთან, მარმარილოსა და ძვირფასი ქანებისაგან დაბეჭდულ ნაწარმოებთან, ჭედური და ხის ხურობით გამოყვანილ საგნებთან, მოოქრულ და მოჭიქულ მინის ჭურჭელთან, ძვირფასი ხის მოზაიკურ ნივთებთან, სარკეებიანი ავეჯის ნაკეთობებთან და ა. შ. დიდი ოსტატობით დამუშავებული ზემოჩამოთვლილი ნაკეთობანი

პარმონიული შეთანწყობით ეხამებიან სახვითი ხელოვნების ისეთ კომპონენტებს, როგორცაა: კელის მხატვრობა, ქანდაკება, საიუველირო ნაკეთობანი, საყოფაცხოვრებო ნივთები და მცირე ხუროთმოძღვრული ფორმები.

სასახლის ცენტრალური კორპუსის ინტერიერების მხატვრულ-დეკორაციული გაფორმება ეკუთვნის შარლ ლებრენს, რომელიც არქიტექტორ მანსართან შემოქმედებითი თანამშრომლობით და ხელოვან-დეკორატორების ძმებ ჰიეროს მუდმივი კონსულტაციით სასახლის დარბაზებისა და ოთახების მოხატვაზე მუშაობდა. ამ მიზნით ლებრენმა ვერსალში სახვითი ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალური სკოლაც შექმნა, რის დამთავრების შემდეგ დახელოვნებულ ოსტატებს მეფის კარზე ტოვებდნენ და ძირითადად ინტერიერის გაფორმებაზე ამუშავებდნენ. შემდგომში ლებრენის ხელმძღვანელობით ცნობილი გობელენების მანუფაქტურა შეიქმნა, სადაც 250 მქსოველი ლებრენის ნახაზებით სასახლის ინტერიერებს მხატვრულად აფორმებდა.

მანსარმა ვერსალის სასახლეში დარბაზები და ოთახები მეტად მოხდენილად გაანაწილა. სასახლის შენობა სამი ნაწილისაგან შედგება: ძირითადი ანუ ცენტრალური (ძველი შენობა) კორპუსი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენები. სასახლის ჩრდილოეთ მინაშენში ეკლესია და ოპერა მოთავსებული, ხოლო სამხრეთის მიშენებულ კორპუსში საბრძოლო ბატალიების გალერეა.

ვერსალის დარბაზებისა და ოთახების მხატვრულ-არქიტექტურული მოკაზმულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა საუკუნეების ფრანგული ხელოვნებისაგან. XVI ს. საფრანგეთის არქიტექტურის ტრადიციები საერთოდ მივიწყებულია და ხუროთმოძღვრების ახალი მიმართულება იწყებს განვითარებას. ამის ნათელი დადასტურებაა, რომ აღრინდელი ფრანგული სასახლე მეტად მყუდრო და ინტიმური ხასიათის ინტერიერით გამოირჩეოდა, ხოლო ლუი XIV-ის მეფობის ხანაში არქიტექტურის ინტერიერი ვრცელი, მდიდრულად მორთული და ერთ გრძივ ღერძზე განლაგებული ბრწყინვალე ანფილადების ფორმას ღებულობს. ასეთი დარბაზები ძირითადად სტუმრების მიღებასა და სადღესასწაულო ღონისძიებების ჩატარებას ემსახურებოდა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში დანიშნულებისამებრ მეფის კაბინეტიც იყო, სასადილოც, სათამაშო-გასართობიც და მრავალი სხვა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებამ არქიტექტურული ფორმების დახვეწა და ინტერიერის მხატვრულ შესაძლებლობათა მანერის

ცვლილება გამოიწვია. ვერსალის ინტერიერების მხატვრულ-დეკორაციულ გაფორმებაში ველარ შევზღვებით საფრანგეთის წარსული საუკუნეების ისეთი ინტერიერების არქიტექტურულ ელემენტებს, როგორცაა ჭერის მოჩუქურთმებული კოჭი, კედლის დამაგვირგვინებელი კარნიზი, ორნამენტული კონსოლი და სხვ. ვერსალის დარბაზებისა და ოთახების ჭერი სწორი ზედაპირით გამოირჩევა, თუმცა ზოგჯერ ოდნავად შეზნექილია. ჭერის სწორი ზედაპირი ალევორიული სიუჟეტებით ან ფერწერული ნაწარმოებებითაა მოხატული, ხოლო კედლისა და კარების ზედაპირი მარმარილოს, ბრინჯაოს, ხის ან თაბაშირის მოჩარჩობული ჩუქურთმებით გამოირჩევა. ასევე, თუ ადრინდელ ფრანგულ არქიტექტურაში პოლიქრომა იყო გამეფებული, ვერსალის არსებული ინტერიერების მოკაზმულობაში თეთრ ფონზე ოქროსფერი ტონი სჭარბობს და საყოფაცხოვრებო ნივთებს მოოქრული ტონი გადაჰკრავს.

შარლ ლებრენი და ვერსალის ინტერიერის მხატვარ-დეკორატორები ცდილობდნენ, რომ თითოეული დარბაზისა და ოთახის სადიდებულო იერი კომპოზიციურად დახვეწილი და თვალსაჩინოებისათვის ნათელ ფორმებში ყოფილიყო გამოსახული. ამიტომ, ოთახების კედლები მარმარილოს ფილებითაა შემოსილი, რომელსაც გეომეტრიული (კვადრატი, წრეხაზი, მართკუთხედი) და სწორხაზოვანი ზოლები დაჰყვება. ინტერიერის განუყოფელ ნაწილს მალაჩ-მხატვრულად გაფორმებული ჭერი და მდიდრული ჭადი შეადგენდა. დარბაზისა და ოთახების სარკმელებს რაფა გაუქმებული ჰქონდათ და კარების მსგავსად იატაკის პირს უსწორდებოდა.

ინტერიერის ცალკეულ ნაწარმოებთა გაფორმებით, მათი შნოსა და ლაზათის ცვალებადობასთან შეფარდებით, ზუროთმოძღვრულმა ელემენტებმაც ფორმა შეიცვალეს. ამის მკაფიო დასაბუთებაა ვერსალის სასახლეში დედოფლისა და მეფის კიბეები. წარსულში ფრანგული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი იყო ხვეული კიბეები, ხოლო ვერსალში კიბეები შედგება ერთი მიმართულების საფეხურების რიგისაგან. თვით დედოფლისა და მეფის კიბეები სწორი აღსავალით ხასიათდება. XVII ს. არქიტექტურაში კიბეების გარდა სხვა ელემენტებიც სახეს იცვლიან. კერძოდ, კიბის მოედანი შედარებით ფართოა, მის აუცილებელ კომპონენტს ბალუსტრადა წარმოადგენს, თუმცა იშვიათ შემთხვევაში რკინის მოჩუქურთმებულ მოაჯირსაც იყენებდნენ.

ვერსალის დიდი სასახლე შემდეგი დარბაზებისა და ოთახებისაგან შედგება: ჰერკულესის, ფაიფურის, ვენერას, დიანას, მარსის,

მერკურის, აპოლონის, ომის, სარკებიანი დარბაზი, ხარისთვალის სალონი, ლუდოვიკო XIV-ის საძინებელი ოთახი, საბჭოს კაბინეტი, მშვიდობის სალონი, დედოფლის საძინებელი ოთახი, კეთილშობილ პირთა სალონი, დედოფლის მისაღები, პირისფარეშო ოთახი, მარია ანტუანეტას კაბინეტი, დედოფლის კიბე, ნადირობიდან დაბრუნებულთა სასაძილო და ძაღლების ოთახი. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ლუდოვიკო XV-ის და XVI-ის წინამორბედთა მამისა და ბაბუის აპარტამენტები ნაწილობრივ გადააკეთეს. სასახლის ძირითად კორპუსში მათ რამოდენიმე დარბაზი და ოთახი დაუმატეს: ლუდოვიკო XVI-ის ოთახი, საათების სალონი, ლუდოვიკო XVI-ის კაბინეტი, ქალბატონ ადელაიდას მუსიკის კაბინეტი, ლუი XVI-ის ბიბლიოთეკა, ფაიფურის ოთახი და ლუი XVI-ის სათამაშო სალონი. თითოეულ დარბაზსა და ოთახს საკუთარი იერი გააჩნია, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შინაარსი და მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტა. ამის ნათელი დადასტურებაა ანტიკური ღმერთებისაში მოძღვნილი სახელობითი დარბაზები, როგორიცაა: აპოლონის, დიანას, მარსის, ვენერასა და მერკურის. ამ დარბაზებში გაფორმების შინაარსი ასახავდა იმ მითურ სცენებსა და ლეგენდებს, რომლებიც სიმბოლურად მეფისა და მისი ოჯახის წევრების განდიდებას ასახავდნენ. დიდი დღესასწაულებისა და სამეფო მეჯლისების მოწყობის დროს სასახლის თითოეულ დარბაზსა და ოთახში შინაარსობრივად განსაზღვრული ღონისძიებები ტარდებოდა. მაგალითად, სარკებიან დარბაზში ღზინი იმართებოდა, მარსის დარბაზში კონცერტები ეწყობოდა, მარია ანტუანეტას სალონში პოეზიისა და მხატვრული კითხვის საღამოები იმართებოდა, ხოლო სათამაშო სალონი ბილიარდს, კარტსა და სხვა გასართობ ღონისძიებებს ეთმობოდა.

ცნობილია, რომ არქიტექტორი მანსარი ვერსალის სასახლის ეკლესიის მშენებლობას 1689 წ. შეუდგა. იგი ვერსალის დასახლებაში მეხუთე ეკლესია იყო. 1708 წ. მანსარის სიკვდილის შემდეგ, მშენებლობა მისმა სიძემ რობერ დე კოტმა გააგრძელა, რომელმაც ეკლესიის მშენებლობა და ინტერიერის მოკაზმულობა 1710 წ. დაამთავრა. ეკლესია კრეტეილის თეთრი ქვითაა აგებული და სამი სართულისაგან შედგება. არქიტექტორების აზრით ეკლესიის ვარე იერი მთლიანი სასახლის ფასადში უცხო სხეულს უფრო წარმოადგენდა და დისჰარმონიულ შეუხამებლობას იწვევდა. ამიტომაც, სენსიმონი ამ ელემენტს კატაფალკას აღარებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მნა-



ხველი ამ განცდებს განსაკუთრებით მაშინ ივიწყებდა, როდესაც ინტერიერის მაღალმხატვრულ და არქიტექტურულ მოკაზმულობას ეცნობოდა.

ეკლესიის პრველი სართული მარმარილოს ფილებითა და მონაიკური იატაკითაა მოფენილი. აქ არსებული კვადრატული ფორმის თაღოვანი სვეტები მასიური ბურჯის დანიშნულებას ასრულებენ, ხოლო მათი ცოკოლი და ანტამპლემენტი მოხდენილი ბარელიეფის სკულპტურული ვგუფით გამოირჩევა. მეორე სართული კორინთული თეთრი ქვის კოლონადებისა და მოოქრული ფიგურული ბალუსტრადების რითმული ვგუფისაგან შედგება. ამ სართულზე მეფის, დედოფლის, ოჯახის წევრების, სამეფო ამაღლისა და დიდებული საგვარეულო პირების სავარძლები იყო განლაგებული. მეფისა და დედოფლის სავარძლები საკურთხევლის მობირდაპირე მხარესაა მოთავსებული. საკურთხევლის შესანიშნავი ხელოვნება ვან კლევოს ეკუთვნის. ამ სართულზე დამაგვირგვინებელ დეკორაციულ კუთხეს წარმოადგენს ორღანი, რომელიც ეკლესიის მომრგვალებულ ნაწილში მოხდენილადაა ჩასმული. ორღანი კლიკოსს მიერაა დამზადებული. ეკლესიის მესამე სართული გამოირჩევა კორინთულ კოლონადებზე დაყრდნობილი ჰორიზონტალური ანტამპლემენტით, რომელზეც ვრცელი სარკმელები რითმულადაა ჩამოყალიბებული. ჭერი შეხენქილ სიბრტყეში სასულიერო პირთა ფრესკებითაა მოხატული.

ეკლესიის თეთრი და ოქროსფერი ჰარმონია ინტერიერის საერთო სივრცეს მეტად ჰაეროვან იერს ანიჭებს, ხოლო თაღის მონახტულობა, რომელიც მხატვარ შარლ დე ლაფოსს ეკუთვნის და რომელზედაც ქრისტეს აღქმაა ასახული, ჭერის ერთ-ერთი კომპოზიციის დამაგვირგვინებელია. თაღის ცენტრში ასახულია მხატვარ ანტუან კუაპელის „ქრისტე, რომელიც ქვეყანას აუწყებს მესიის მოსვლას“. სამეფო ლოჟის თაღში მხატვარმა ჟან ჟოვენმა დახატა საერთო თემატური სურათები: „წმინდა სამების დღე“ და „წმინდა სულის მოსვლა წმ. მარიამთან“. მესამე სართულის სარკმელებს შორის სვეტების მოხატვა ეკუთვნის ფილიპ მანიუს.

1710 წ. ვერსალის ეკლესიის მშენებლობის, ინტერიერის მხატვრულ-დეკორაციული გაფორმებისა და ფრესკების მოხატვის დამთავრება საფრანგეთის სასულიერო დღესასწაულს დაემთხვა, რაც სამეფო კარზე დიდი ზემოთ აღნიშნეს.

სასახლის ძირითადი კორპუსისა და ჩრდილოეთი ფრთის შეყრის კუთხეში განლაგებულია ჰერკულესის სალონი, რომელიც ლუი

XIV-ის მეფობის ხანაში (1682—1710) ეკლესიის დანიშნულებას ასრულებდა. სასახლის ინტერიერებს შორის ჰერკულესის დარბაზი მხატვრული ფერწერის დიდი მონუმენტურობით გამოირჩევა. ამ უზარმაზარი დარბაზის ჭერის მოხატვა იმ დროის ცნობილ მხატვარს ფრედერიკ ლე მუანს დაევალა, რომელმაც ჰერკულესის აპოფეოზის სახეიმო და დიდებული ვითარება, ჰერკულესის ძლიერი პიროვნებითა და ირგვლივ განლაგებული 142 პერსონაჟით გამოსახა. დარბაზის პლაფონი 1733—1736 წლებში მოხატეს. ბერძნულ მითოლოგიასა და ლეგენდებში საყოველთაოდ აღიარებული გმირი ჰერკულესი დიდებულ ეტლშია აღმართული, რომელსაც სათნოებისა და კლდემამოსილების სულები გარს დასტრიალებენ და ოლიმპოს მთისკენ მიაქანებენ. აქვე, ღრუბლებიდან იუპიტერი მიემართება, რომელსაც ჰერკულესის დასაქორწინებლად პატარძალი მოჰყავს. ჭერის კუთხეებში ოლიმპოს დანარჩენი ღმერთების ფეოფური სიუჟეტებია გადმოცემული: მერკური-დაფნის გვირგვინით, ბახუსი-სიუზის რქით, ვენერა — სიყვარულის ანგელოზთა ამურების გარემოცვაში, დიანა — ნახევარმთვარით, მარსი და ნეპტუნი — სამკაპა ჭოგრით. ჭერის მოხატვა 1736 წ. დამთავრდა. აღფრთოვანებულმა ლულოვიკო XV-მ ლემუანი სამეფო კარის პირველ მხატვრად გამოაცხადა. სამწუხაროდ მხატვარი დიდ აღიარებას ვერ მოესწრო, ვინაიდან ნაწარმოების დასრულებიდან რამდენიმე თვეში თავი მოიკლა.

ჰერკულესის დარბაზის ერთ-ერთ კუთხეს ვენეციური სკოლის გამოჩენილი მხატვრის პაოლო ვერონეზის ორი სურათი ამშვენებს: საქვეყნოდ აღიარებული ფერწერული ტილო „ლზინი სიმონ ფარისეველთან“ და „ელიზერი და რებეკა“.

მარსის დარბაზი თავდაპირველად მცველებისათვის იყო განკუთვნილი, ამიტომ აქა-იქ დეკორაციულ გაფორმებაში საომარი ხასიათის კედლის ფერწერაა შემორჩენილი. ეს დარბაზი მოგვიანებით საკონცერტო და მუსიკალურ სალონად გადაკეთდა და მხატვრულ-დეკორაციულმა გაფორმებამაც სათანადო იერი შეიცვალა. ადრინდელი დარბაზი ვერცხლითა და შავი ებენის ხის ავეჯით იყო მორთული. ვარდისფერი და რუხი მარმარილოს ბუხარი ამჟამადც ამშვენებს დარბაზის ცენტრალურ ნაწილს, სადაც ორივე მხრიდან სახელდახელოდ გაფორმებულ ესტრადაზე მუსიკოსები თავსდებოდნენ. ბუხრის გვერდით კედლებზე ფრანგული გობელენების სამეფო მანუფაქტურის ორი ბრწყინვალე ნიმუშია მოთავსებული,



საქველ ზეგანა




სარკებიანი დარბაზი



სასახლის ოპერა



ბატალური სურათების გალერეა




სასახლის ეკლესია



მარსის დარბაზი




ომის დარბაზი




დედოფლის კაბინეტი



მერკურის დარბაზი



კეთილშობილთა სალონი



სამეფო დარბაზის მოსაცდელი




საათების კაბინეტი



სასახლას ზიმლიოთეკა



ტრიანონი, დედოფლის ოთახი



პატარა ტრიანონი, მარია ანტუანეტას ოთახი

რომლებზედაც მეფის ცხოვრებისეული ეპიზოდებია აღბეჭდილი. პირველ გობელენზე ასახულია მეფის დიუკერკში შემოსვლა, ხოლო მეორე გობელენზე ღუეს ალყა და საომარი მსვლელობა.

დიდებულად მოკაზმული ჭერი მხატვარ-მოქანდაკეებს: ოდრანს, უუვენესა და ჭუასის ეკუთვნით. ჭერი მართკუთხა მოოქრული ბარელიეფისა და ცენტრალურ ნაწილში მხატვრულად შესრულებული კომპოზიციისაგან შედგება. მხატვარმა ოდრანმა ომის ღმერთი მარსი დიდებული იერით წარმოადგინა; იგი ოთხი მგლისაგან შეკაზმული ეტლით გამარჯვებისაკენ მიილტვის.

კარების თავზე მოთავსებულია მხატვარ ს. ვუეს მიერ 1638 წ. შესრულებული ოთხი ალეგორიული სურათი, რომლებიც სიძლიერეს, თავშეკავებას, მოკრძალებასა და სამართალს გამოსახავენ. ამ დარბაზს ორი უზარმაზარი სურათი ამშვენებს: ბუხრის თავზე მოთავსებულია იტალიელი მხატვრის დომენიკო ზამპიერის „დავითის ქნარზე დაკვრა“ და XVIII ს. ცნობილი მხატვარი ქალის ვიჟე ლებრენის ფერწერული ტილო „მარია ანტუანეტა შვილებით“.

ომის დარბაზი მეფის დიდ აპარტამენტებს აკავშირებდა სარკეებიან დარბაზთან. იგი მდებარეობს სასახლის დასავლეთი ფასადის მარჯვენა კუთხეში, რომელიც მშვიდობისა და სარკეებიანი დარბაზების მწკრივში ერთი დიდი ინტერიერის ანსამბლს შეადგენს. ამ ინტერიერს სასახლის მთელი დასავლეთი ნაწილი უკავია, რომელიც (1686—1676 წწ.) არქიტექტორ მანსარისა და მხატვარ ლებრენის შემოქმედებას ეკუთვნის. კედლები თეთრი და ვარდისფერი მარმარილოს ფილებითაა შემოსილი, რომლებსაც მოოქრული ბრინჯაოს სკულპტურული გამოსახულებები ამშვენებს. მათი ავტორებია: ბუიერტი, ლესპინგოლა და ლადუარი. ჭერის მოხატულობა, რომელიც ლებრენს ეკუთვნის, საფრანგეთის გამარჯვებისა და განდიდების ალეგორიას ასახავს. ჭერის შეხენქილ ნაწილში ჩახატულია საფრანგეთის მოკავშირე სახელმწიფოები: გერმანია, პოლანდია, ესპანეთი და ომის ქალღმერთის მედიდური ფიგურა. აპოლონის სალონისა და სარკეებიანი დარბაზის ცრუ არქიტექტურულ კარებს შორის XVII ს. გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკის კვაზევოქსის ცნობილი რელიეფია: ლუდოვიკო XIV ცხენით მტერს მუსრაავს, ხოლო მშვიდობის ანგელოზი გამარჯვების ნიშნად თავზე დაფნის გვირგვინს ადგამს. ეს ბარელიეფი ვარდისფერი მარმარილოს ოვალურ ჩარჩოშია მოთავსებული, ქვემოთ კი ლუი XIV-ის ბიოგრაფის კლიოს სკულპტურული ბარელიეფია, რომელზედაც

კლიო ლუდოვიკო მეფის ისტორიის წერის პროცესშია გამოსახუ-  
ლი.

ვერსალის სასახლის დარბაზებისა და ოთახების არქიტექტურულ-კომპოზიციური გაფორმების შემოქმედებით გამარჯვებას სარკეებიანი დარბაზი წარმოადგენდა. იგი „სარკეებიანი ვალურეის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ვინაიდან ინტერიერის ერთი კედლის სიბრტყე სარკეებითაა მოპირკეთებული. თუ დანარჩენი დარბაზებისა და ოთახების კედლები ვიბელენებით, სურათებით, სკულპტურული ბარელიეფითა და კედლის მხატვრობითაა დაფარული, ამ შემთხვევაში სარკეებიანი კედელი, რომელიც დარბაზის მთელ სიგრძეზეა მოთავსებული, მხატვრული მოკაზმულობისა და თვალსაჩინოების ოპტიკური ილუზიის ერთ-ერთი კომპონენტია. დარბაზი ძირითადი კორპუსის დასავლეთი ფრთისა და სასახლის გამოხვეტილი ნაწილის მთელ სიგრძეზეა გადამლილი და ომისა და მშვიდობის დარბაზებს შორისაა განლაგებული. სარკეებიანი დარბაზის სიგრძე 73 მეტრია და გადახურულ გამზირს უფრო წააგავს, ვიდრე დღესასწაულების ჩატარებისა და სტუმრების მისაღებად განკუთვნილ უზარმაზარ მოედანს.

მანსარმა და ლებრენმა მეტად მოხდენილად გადაწყვიტეს სარკეებიანი დარბაზის არქიტექტურული გაფორმების საკითხი, ვინაიდან თვალის ერთი გადავლებით ნათელია, რომ დარბაზის სივრცე მხატვრულ-არქიტექტურულად და ინტერიერის აღჭურვილობით ნაკლებად გადატვირთულია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რათა ხალხის ნაკადის მოძრაობის დროს წინააღმდეგობა არ წარმოქმნილიყო. ამიტომაც მთელი ყურადღება ინტერიერის ჭერისა და კედლების დეკორაციულ მორთულობაზეა გადატანილი. თაღოვანი ჭერის კამარა ძლიერ შეზნექილია, ხოლო პარკის მხარეს ინტერიერის კედელი 17 მაღალი და თაღოვანი, საკმაოდ ჩაღრმავებული სარკმელისაგან შედგება, საიდანაც პარკში შესანიშნავი ხედია გადაშლილი. ვრცელი ფანჯრები იატაკამდეა დასული, ხოლო მოპირდაპირე მხარეს ზუსტად იგივე ფორმისა და ზომის სარკეებიანი მწკრივი მეორდება. ინტერიერის ორიგინალური გადაწყვეტა შემთხვევით ხასიათს არ ატარებს, ვინაიდან ფანჯრებიდან სინათლის შუქი და პარკის ლანდშაფტის არეკვლა სარკეებიან კედელზე ხდება, რაც ბუნებასა და ინტერიერის სივრცეს შორის ორგანული კავშირის დამყარების ერთ-ერთი რეალური საშუალებათაგანია.

თაღოვან ფანჯრებსა და მოპირდაპირე სიბრტყეში თაღოვან სარკეებს შორის რანსის მარმარილოდან დამზადებული პილასტრე-



ბია აღმართული. ეს დეკორაციული ელემენტი ყავისფერი მარმარი-  
ლოს ვერტიკალური სვეტია, რომელიც თეთრი მარმარილოს კედ-  
ლის სიბრტყიდან ოდნავადაა გამოშვერილი. დამავეიროვნებელი  
სვეტის თავი ბრინჯაოსა და მოოქრული ზვიებისა და მცენარეული  
ორნამენტებისაგან შედგება. ანტამპლემენტი ფრანგული ორდერის  
განსახიერებას წარმოადგენს, რომლის ფუძე და სვეტი კოჭოვანი  
სისტემა მოოქრული გირლიანდებითა და ვარდულებითაა მორთული.  
კაპიტელის მხატვრულ სახეს სამეფო გვირგვინისა და წმინდა მიხე-  
ილის არქიტექტურული ჩუქურთმები ამშვენებს. თაღოვან სვეტებს  
შორის რამდენიმე ნიშია, სადაც ლუი XIV საკუთარი კოლექციიდან  
განსაკუთრებულად საინტერესო ნაკეთობებს ათავსებდა. თითოეულ  
სვეტთან უზარმაზარი ვერცხლის ჩირადნებია განლაგებული. ვენე-  
ციელი ელჩი, რომელიც მეფის დარბაზობას ესწრებოდა, გაოცებუ-  
ლი აღწერდა სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზს: „დიდ დარბაზ-  
ში (იგულისხმება სარკეებიანი გალერეა — შ. ი.) ათასი სანთელი  
ინთებოდა, რომლებიც სარკეებიანი კედლის ანარეკლში ბრილიან-  
ტებით აფრქვევდნენ... სიკაშკაშე დღის შუქს აჭარბებდა, სილამა-  
ზე და სიდიადე ბრწყინავდა ვითარც სიზმარში თუ მოჯადობულ  
სამეფოში“.

სარკეებიანი დარბაზის ფერწერული კომპოზიციები ძირითა-  
დად ჭერზეა ასახული, რომელიც შარლ ლებრენის მიერაა შექმნი-  
ლი. ეს უზარმაზარი თაღოვანი ჭერი გამოირჩევა მხატვრულად და-  
ნაწევრებული 9 დიდი ფერწერული ნაწარმოებით, 18 მედალიონი-  
სა და 6 სკულპტურული რელიეფით, სადაც ლუი XIV-ის სამხედ-  
რო ლაშქრობები და საომარი ეპიზოდებია ასახული. აქვე ჭერის  
მრგვალ და ოვალურ ჩარჩოებში 1661—1678 წლების საფრანგე-  
თის დიპლომატიური და შინაგანი პოლიტიკის ეპიზოდებია ასახუ-  
ლი.

ვერსალის სასახლეში სარკეებიანი დარბაზი ხალხმრავალი თავ-  
შეყრის ადგილს წარმოადგენდა. აქ იყრიდნენ თავს: მეფის ამაღლა,  
დიდებული საგვარეულო წრისა და მაღალი საზოგადოების წარმო-  
მადგენლები; აქ ლეზულობდნენ უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ მაღა-  
ლი წოდების პირებსა და სრულუფლებიან ელჩებს. ამ დარბაზში  
იმართებოდა დღესასწაულები და სამეფო მეჯლისები; ლუდოვიკოს  
მემკვიდრეებმა აქ გადაიხადეს ქორწილი. ამ დარბაზში 1914—1918  
წლებში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, ე. წ. ვერსალის ზავს.

სარკეებიანი დარბაზი ფრანგული ინტერიერის მხატვრულად  
გაფორმებისა და შემოქმედებითი ხელოვნების დიდი გამარჯვება იყო.



ინტერიერის გაფორმებაში, მხატვარ-დეკორატორთა პროგრესული მოღვაწეობის გარდა, ქვეყნის ეკონომიური განვითარების სიძლიერეც აისახა. ამ დარბაზში ხელოვნების ოსტატები შუქ-ჩრდილებისა და განათების ილუზიების შეფარდებით ფრანგული მინის დემონსტრირებასაც ახდენდნენ, რათა ერთხელ კიდევ დაემტკიცებინათ საფრანგეთის მინის წარმოების გამარჯვება იმხანად ევროპაში ცნობილ ვენეციური მინის სახელგანთქმულ ნაწარმზე.

ვენერას დარბაზში ყველა კუთხე სახვითი ხელოვნების ნიმუშებით არის შევსებული. კედლის უზარმაზარი სიბრტყეების მოხატულობა და სურათების მოჭარბებული ოდენობა იწვევს ინტერიერის მხატვრულ-დეკორაციული გაფორმების გადატვირთვას, მაგრამ ინტერიერის ანსამბლის დარღვეულ წონასწორობას ავსებს ნიჭიერ შემოქმედთა ბრწყინვალედ შესრულებული ხელოვნების ნიმუშები. ვენერას დარბაზში ბერძნული მითოლოგიის ეპიზოდები და მიჯნურობის ისტორიული თემები უკავშირდება სიყვარულის ქალღმერთის ევენერას პიროვნებას. კედლის მოხატულობაში ვირტუოზულადაა გადმოცემული სიყვარულისა და მოტრფიალე წყვილთა ამსახველი სიუჟეტები, როგორცაა: მედეასა და იაზონის, ანტონიუსისა და კლეოპატრას, თესვისისა და არიადნას, ტიტუსისა და ბერენიკას და სხვ. ამ დარბაზის პორტრეტულ ტილოთა შორის მხატვარ ვარენის სურათი გამოირჩევა, რომელზედაც რომელიღაც მეომრის გმირული შემართებით გამოსახულია ლუდოვიკო XIV.

დელოფლის დარბაზი განლაგებულია ვერსალის სასახლის სამხრეთ ფრთაზე. მას მშვიდობის, მარია ანტუანეტასა და კეთილშობილთა დარბაზები ემიჯნება. დელოფლის დარბაზი შედგება: საძინებლის, სააბაზანოს, დიდი და საშუალო კაბინეტებისა და ბიბლიოთეკის ორი ოთახისაგან. მოგვიანებით ამ ოთახებს მარია ანტუანეტას დაკვეთით რესტავრაცია ჩაუტარდათ. ამჟამად ინტერიერის იერი შენარჩუნებულია იმდაგვარად, როგორც ეს 1789 წ. 6 ოქტომბერს იყო, ვერსალიდან სამეფო ოჯახის გამგზავრების პერიოდში. ამ ინტერიერების მორთულობას წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო და ოჯახის საგნები, რომელთა უმრავლესობა სამეფო ოჯახის საკუთრება იყო.

ვერსალის სასახლის ძველი კორპუსის ცენტრალურ ნაწილში მეფის დიდი საძინებელია განლაგებული. ზღაპრული სიმდიდრისა და დიდი გემოვნებით შექმნილი მეფის სარეცელი უზარმაზარი დარბაზის სივრცეში დაბალი ბალუსტრადითაა შემოსაზღვრული. ამ

ზღუდის გადალახვა, რასაკვირველია, ყველას არ შეეძლო. საზღვარი კიდევ ერთი გამოსატულება იყო ლუი XIV-ის განდიდებისა, ვინაიდან მეფის საძინებელ აპარტამენტში დიდებულ საგვარეულო პირებსა და მეფის ამაღლის თითოეულ წევრს გარკვეული ადგილი და კუთხე ჰქონდათ გამოყოფილი.

მეფის საძინებლის ახლოს დიდებულად მორთული აპოლონის დარბაზია, რომლის მხატვრული გაფორმება და დეკორაციული მოკაზმულობა სხვა დანარჩენ ინტერიერებს აჭარბებდა. ამ დარბაზის ჭერი შარლ ლებრენის საუკეთესო მოსწავლის, შემდგომში გამოჩენილი ფერმწერის შარლ დე ლაფოსის შემოქმედებას ეკუთვნის. აქაც ლუი XIV-ის განდიდების ალექსანდრიული სიუჟეტია გამოსახული. მხატვრულ კომპოზიციაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს აპოლონი, რომელიც მუზებითაა გარემოცული.

აპოლონის დიდ დარბაზში მთელი ყურადღება მიპყრობილია სამეფო ტახტისაკენ. იგი შემაღლებულ კვარცხლბეკს უფრო წააგავს, რომელზედაც მეფის სავარძელია განლაგებული. ძალზე მაღალი, მოჩუქურთმებული სავარძელი მთლიანად ვერცხლისაგანაა ჩამოსხმული. ამ დარბაზში მეფესთან შეხვედრას ასე აღწერდნენ: „მეფეთმხეს ელოდებოდნენ სამეფო ამაღა და დიდებული საგვარეულო პირნი, მაგრამ მათთან ერთად მოლოდინში იყო, აგრეთვე, ვერცხლის სამეფო სავარძელიცო“.

მერკურის დარბაზი შესრულების მაღალი ტექნიკითა და ალევგორიული სიუჟეტებით მეტად მომხიბლავია. ამ დარბაზშიც კედლის ფერწერულ მხატვრობას გაცილებით მეტი ადგილი უკავია, ვიდრე ქანდაკებისა და ძერწვის რელიეფურ ნიმუშებს. დარბაზის ჭერის მოხატვა გამოჩენილ მხატვარს ჟან ბატისტ შამპანს ეკუთვნის. მხატვრული ფერწერის ალევგორიული სიუჟეტი ანტიკურ ხელოვნებასთანაა დაკავშირებული, ხოლო ფერწერული შესრულების მანერა მეტად განსხვავებული და ნატიფი ფერების დიდი პალიტრით გამოირჩევა. კომპოზიციის მთავარი გმირებია: მერკური, მანათობელი ვარსკვლავისა და ქალების ფიგურები. ეტლში მერკურთან ერთად არიან ქალები, რომელთაც თავს დასტრიალებს მეგზური ცისკრის მანათობელი ვარსკვლავი. მაღალი ოსტატობით შესრულებული ქალების ფიგურები ალევგორიულად მეცნიერებისა და ხელოვნების განყენებულ გამოსახულებებს წარმოადგენენ. მერკური სწრაფად მიაქროლებს ეტლს, რომელსაც ქალების სიმბოლური სახით წინ მიუძღვის აბსოლუტიზმის განვითარების წარმომსახველი დარგები, როგორცაა: „მეცნიერება და ხელოვნება“.

ვერსალის სასახლის ჩრდილოეთ ფრთაში არქიტექტორმა მანსარმა საბალეტო დასის დარბაზი დააგეგმარა. ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა ლუი XIV-ის მეფობის წლებში გაუთავისებელმა ომებმა.

1748 წ. ლუი XV-ის მეფობის დროს არქიტექტორი გაბრიელი კვლაინდელ ადგილზე, ოპერის აგების ახალ გეგმას ადვენს, მაგრამ საფრანგეთის ახლად დაწყებულმა ომებმა მშენებლობა შეაჩერეს. 1768 წ. სამეფო ტახტის მომავალი მემკვიდრისა და მარია ანტუანეტას დაქორწინებამ ოპერის მშენებლობა მნიშვნელოვნად დააჩქარა. 1770 წ. გაზაფხულზე სამეფო კარმა დიდი დღესასწაულით აღნიშნა მშენებლობის დამთავრება და ოპერის დაარსება.

ოპერის დარბაზი სამი იარუსისაგან შედგება, რომელსაც ოვალური ფორმა გააჩნია. მისი არქიტექტურული დეკორი ოქროსფერი ხისაგანაა დამზადებული, ხოლო სვეტები და დარბაზის კედლები ცრუ მარმარილოს იმიტაციას წარმოადგენს, ინტერიერის საერთო ჰარმონია ცისფერია, რომელსაც უფრო აძლიერებს ოქროს ვარაყიით მოხატული სამეფოგერბიანი ცისფერი ფარდა. დარბაზის ვრცელ ინტერიერში ოქროსფერი და ცისფერი ტონები მოხდენილად ეხამებიან ოქროსფერ სავარძლებს, ხოლო წაგრძელებულ სკამებს ცისფერი ხავერდი აქვთ გადაკრული.

მოქანდაკე პაუემ ქანდაკებების დეკორაცია და სკულპტურული რელიეფები ახლებურად გააკეთა. პირველი სართული წარმოადგენს ლოჟას, რომლის მაღალდეკორაციული პანო ოლიმპიის ღმერთებითა და ქალღმერთების გამოსახულებებით შეავსო. მეორე სართულზე, იარუსის მთელ სივრცეზე, სკულპტურული გამოსახულებები და მოოქრული ორნამენტების ფრიზი სამეფო გერბითა და მედალიონებით არის მოკაზმული. ამ მედალიონებში ზოღიაქოს ნიშნების რელიეფური გამოსახულებებია. მესამე იარუსი მოოქრული და სკულპტურულად დამუშავებული ბალასინების მწკრივითაა შემოფარგლული, რომლებზედაც მძლავრი სვეტებია აღმართული. ეს მრგვალი სვეტი მოჩუქურთმებული კაპიტელის, თალის ქუსლისა და პლაფონის წარბის კომპლექსში არქიტექტურულად დამუშავებულ საყრდენ ელემენტს წარმოადგენს. ჭერი მხატვარ ღურამოს მიერაა მოხატული. მხატვრული კომპოზიცია მოთავსებულია ჩუქურთმებით მოოქრულ ჩარჩოში, საიდანაც ფრანგული მინისაგან ნაკეთი დაკიდებული ჭაღები მესამე იარუსს აღწევს. ამ იარუსის კედლები სარკეებითაა მოპირკეთებული, სადაც აირეკლება მოპირდაპირედ განლაგე-

ბული ჭაღების სინათლე. სცენის მოპირდაპირედ, მესამე იარუსის ცენტრალურ ნაწილში, სამეფო ლოჯა მდებარეობს, რომელიც შე მოფარგლულია მინისტრებისა და სამეფო რანგის წოდებულთა თანამიმდევრობით დაცული სახელობითი ლოჟებით.

ვერსალის სასახლის დარბაზებსა და ოთახებს შორის ყურადღებას იპყრობს საათების კაბინეტი. ამ ოთახის გარკვეული ნაწილი ლუი XIV-ის სამეფო კოლექციის იშვიათ ნივთებს აქვს დათმობილი. მოგვიანებით საათების კაბინეტის მხატვრულ-დეკორაციული გაფორმება ლუდოვიკო XV-მ მთლიანად შეცვალა. 1738 წ. ზეზე მხატვრული კვეთილობის ოსტატმა ვერბეკმა კედლების ერთი ნაწილი მოაპირკეთა და მოაჩუქურთმა ხით, ზოლო მეორე ნაწილი სარკეებით არის მოპირკეთებული. ოდესღაც ამ ოთახს ჰქონდა მომრგვალებული ფორმის ჭერი, სადაც მოხატული იყო ციფერბლატი, რომელიც მზისა და მთვარის ამოსვლასა და ჩასვლას უჩვენებდა. აქედან მიიღო ოთახმა საათის კაბინეტის სახელწოდება.

1760 წ. ამ სახელგანთქმულ ოთახში ცნობილი პასმანის ასტრონომიული საათი მოათავსეს. ლითონზე ჭედურობის უბადლო ოსტატის კაფიერის ქმნილებაა ოქროსფერი ბრინჯაოს სკივრი. ოთახში სამი მოოქრული მაგიდაა, რომელთა ზედაპირი ლუი XIV-ის სამეფო ნადირობის სიუჟეტებითაა მოხატული. ოთახის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს მარმარილოს ბუხარი, რომელზედაც მარია ლუკზინკას ბიუსტია განლაგებული. ამ კაბინეტის ცენტრში აღმართულია ლუი XV-ის ქანდაკების მინიატურული ბრინჯაოს მოდელი, რომელიც მოქანდაკე ლუი კლოდ ვასეს ეკუთვნის. იგი მოგვაგონებს პარიზში, სამეფო მოედანზე აღმართულ ბუშარდონის ქანდაკებას, რომელიც 1792 წ. განადგურდა.

დიანას დარბაზი მდებარეობს მარსისა და ვენერას ოთახებს შორის. ეს ვრცელი და მეტად თავისებური დარბაზი ნადირობის ქალღმერთის დიანას სახელს ატარებს. ინტერიერი გამოირჩევა კედლის მხატვრობის შესანიშნავი შესრულებით და რელიეფური გამოსახულებებით. მხატვრობა ძირითადად თაღოვან ჭერზეა ასახული, ზოლო კედლები მარმარილოს სხვადასხვა ქანის მოპირკეთებითა და მოოქრული რელიეფით გამოირჩევა. ერთ-ერთ კედელზე ბუხარი ყავისფერი მარმარილოს ჩარჩოებშია ჩასმული, რომელსაც ოქროს მოჩუქურთმებულ ჩარჩოში მოთავსებული შარლ დე ლაფონის სურათი ადგას. აქ არსებულ მხატვრულ კომპოზიციაში იაზონისა და არგონავტების ისტორიის ერთ-ერთი ეპიზოდია გადმოცე-

მული. გვერდითი კედლის გავრძელებაზე, ვარდისფერი მარმარილოს კვარცხლბეკზე ლუი XIV-ის მარმარილოს ბიუსტი, რომელიც ცნობილ მოქანდაკეს ბერნინს ეკუთვნის.

ლუდოვიკო XVI-ის ბიბლიოთეკა ვერსალის სასახლის დარბაზებსა და ოთახებთან შედარებით მოგვიანებითაა გაკეთებული. იგი ადვლადას ოთახის გავრძელებას წარმოადგენს და ადრე საძინებელ ოთახს შეადგენდა. ტახტის მემკვიდრედ გახდომის შემდეგ ლუი XVI-მ მოისურვა ამ საძინებელი ოთახის ბიბლიოთეკად გადაკეთება.

არქიტექტორი გაბრიელი სამეფო კარის მიტოვებამდე ერთი წლით ადრე შეუდგა ამ ინტერიერის დამუშავებას, რომელიც პრაქტიკულად ანტუან რუსოს მიერაა შესრულებული. ოთახის მხატვრული სახე ძალზედ მდიდრულადაა შესრულებული. სამი კედლის სიბრტყე მოქრულ ჩარჩოში ჩასმულ უნიკალური წიგნების თაროებს უჭირავს. ბიბლიოთეკის არქიტექტურული დეკორი გამართივებულია და სხვა დარბაზებთან შედარებით ჭერი სადა ზედაპირით გამოირჩევა. ეს შემთხვევით არაა მოფიქრებული, ვინაიდან არქიტექტორსა და დეკორატორს სურდათ ინტერიერის დანარჩენი არქიტექტურული ელემენტების უფრო მოხდენილად გამოჩენა. თეთრი მარმარილოს ბუხარი ბუახოს ნაკეთობაა, რომელიც გუტიერის ბრინჯაოთია მორთული. ბუხარს სარკე ადგას, ხოლო მის ზემოთ ბრინჯაოს ბარელიეფი სიმბოლურად საფრანგეთს განასახიერებს, რომელიც ახალგაზრდა მეფის მედალიონს შესცქერის. ოთახში სხვადასხვა ეპოქისა და დროის სამეფო ავეჯია. ოთახის კუთხეს ამშვენებს საწერი მაგიდა, რომელიც ლუი XV-ს ბურგუნდიის სახელმწიფომ უბოძა. ოთახის შუაგულში აკაჟუს (წითელი ხე) მრგვალი მაგიდაა, რომელიც რიეზენერის ნახელავია. აქვეა ბენემონტის კარადა, პროვანსის გრაფის ვენზილებითა და ბრინჯაოს მოჩუქურთმებული არშიებით. იატაკზე ლურჯი და ოქროსფერი სამეფო ხალიჩაა დაგებული.

XVII ს. მეორე ნახევარში საფრანგეთის აბსოლუტიზმის მონარქიამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. სამეფო კარისა და სახელმწიფო მთავრობის ერთ-ერთ ამოცანას აბსოლუტიზმის იდეური პოზიციების გამაგრება შეადგენდა. მართალია, იმხანად იდეოლოგიურ საკითხებს თეორიული მიმართულებები ეძლეოდათ, მაგრამ მდგომარეობა მოითხოვდა, რომ აბსოლუტიზმის იდეები საზოგადოებამდე დაყვანილიყო. ამ საპასუხისმგებლო მისიისა და მიზნების



პრაქტიკულად განსორციელებას კათოლიკური ეკლესია ახდენდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. შექმნილი ვითარებისათვის აუცილებელი იყო ამ იდეების მოსახლეობის ფართო მასებში გავრცელების შედარებით პროგრესული და თვალსაჩინოებისათვის ძლიერი ფორმების გამოჩახვა და დანერგვა. ამიტომ სამეფო კარმა და სახელმწიფო მთავრობამ ხალხური შემოქმედებითი და ყოფითი ხელოვნების განვითარებას მიჰყვეს ხელი. ეს იყო თავისებური ნიღაბი, რომლის მიღმა ამ დარგის მოღვაწენი და ნდობით აღჭურვილი პირნი თავიანთი შემოქმედებითი პროდუქციითა და ხელოვნების ნაწარმოებებით საზოგადოებასა და მოსახლეობაში აბსოლუტიზმის იდეების ორიანტაციას ახდენდნენ და ფაქტიურად სამეფო ინტერესების არა მარტო მქადაგებლნი, არამედ დამცველნიც გამოდიოდნენ.

საფრანგეთში ამდაგვარმა მიმართულებამ საკმაოდ და საფუძვლიანად გაიღვა ფესვი. სახელმწიფოს აბსოლუტიზმის იდეები ღრმად შეიჭრა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, მრეწველობასა და ლიტერატურაში, მხატვრობასა და ქანდაკებაში. ლიტერატურულ ნაწარმოებებსა თუ მხატვრულ ტილოებში სამეფო კარის პირნი და ლუდოვიკო XIV მითურ გამრებად და ნახევრად დმერთებად იყვნენ განსახიერებულნი. ამგვარ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნოდნენ ნიჭიერი პეიზაჟისტი კლოდ ლორენი (1600—1682) და გრავიურის უბადლო ოსტატი ჟაკ კოლო (1593—1633).


ეს მეტად თავისებური მიმართულება ფრანგულ პოეზიასაც არ ასცდა. ამ პერიოდში სამეფო კარის დიდ ნდობას იმსახურებდა პოეტი შამპლენი, რომელიც ლუდოვიკოსა და სამეფო ამალის რჩეულ პოეტად ითვლებოდა. შამპლენის წარდგინებით მრავალ ხელოვანს პენსია ენიშნებოდა, ხოლო ბევრ მწერალსა და მხატვარს სამეფო პრემია ჰქონდა მიღებული. სამეფო კარის ამდაგვარი ნდობის შემდეგ და მეფის წინაშე თავისებურ ვალში ჩაეარდნილი ხელოვანი იძულებული ხდებოდა პირადი შემოქმედება და ხელოვნება სახელმწიფო ინტერესების განსავითარებლად წარემართა და მეფის სამსახურში ჩაეყენებინა. მრავალი ხელოვანი სამეფო კარზე იწყებდა სამსახურს, და სამეფო დღესასწაულების დროს მეფისა და მისი ამალის გამართობი იყო, ხოლო მათ მოღვაწეობაში მეფის განდიდება და მონარქიული აბსოლუტიზმის იდეების სიძლიერის ასახვა მტკიცე კანონად დადგინდა. ამგვარი პრივილეგიებით სარგებლობდნენ მუსიკათმცოდნენი, როგორცაა: კომპოზიტორი აბატ პერენი, რომელმაც მეფის პროტექციით 1668 წ. ოპერა შექმნა. 1672 წ. დაი-

დგა კომპოზიტორ ლულის ნაწარმოები. ასევე მეფის ნდობით სარგებლობდა მეორეხარისხოვანი დრამატურგი და ლიბრეტოს ავტორი ფილიპ კინო.

XVII ს. საფრანგეთს ამშვენებდა ლიტერატორთა და მწერალთა გარკვეული ჯგუფი, რომლებმაც არ გაიზიარეს და გადაუხვიეს აბსოლუტიზმის იდეოლოგიას. მათ თავიანთი თვითმყოფადი და საკუთარი სტილით, ხოლო ზოგიერთმა კლასიკური მიმართულებით ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ასეთი ლიტერატორები იყვნენ: ნიკოლა ბუალო (1636—1711), ჟან რასინი (1639—1699), მოლიერი (ჟან ბატისტ პოკლენი 1622—1673), ჟან ლაფონტენი (1621—1695) და ჟან ლაბრიუიერი (1645—1696).

ლუდოვიკო XIV-ის მეფობის პერიოდში ხელოვნებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ლუდოვიკოს ყოველდღიური ზრუნვის საგანს განსაკუთრებით წარმოადგენდა სახვითი ხელოვნება და მისი შემდგომი ბედი. ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან საფრანგეთის მეფეს სახვითი ხელოვნება წარმოადგენილი ჰქონდა, როგორც მისი პიროვნების განდიდებისა და სახელმწიფო სიძლიერის ასახვის ერთ-ერთი საშუალება. ამიტომ XVII ს. საფრანგეთის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების ბრწყინვალე პერიოდად ითვლებოდა. ლუი XIV და კოლბერი არ შემოიფარგლნენ ერთეული მხატვრებისა თუ მოქანდაკეების ხელისშეწყობით. მათ ფრანგული ხელოვნება განვითარების ფართო გზაზე დააყენეს და არნახული მასშტაბები დაუსახეს. კოლბერი ერთმანეთისაგან არ ანსხვავებდა ხელოვნებასა და მრეწველობას. იგი ამ გარემოებას იმდაგვარად ხსნიდა, რომ მრეწველობის განვითარებას სამეფო მანუფაქტურები მოახდენდნენ, ხოლო ხელოვნების ცალკეული დარგების აყვავებას საგანგებოდ შექმნილი სამეფო აკადემიები. იმხანად ხელოვნების მიმართ მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ თუ ლუდოვიკო XIII-ის დროს ხელოვნებას და მის მიმართულებებს მეფის პირველი მხატვარი ხელმძღვანელობდა, შემდგომში გარემოებამ მოითხოვა და ლუი XIV-ის საგანგებო ბრძანებით ხელოვნების შემოქმედებითი დარგები ერთ სისტემაში გააერთიანეს, რომელსაც სათავეში სამეფო აკადემია ჩაუდგა.

XVII ს. 40—50-იან წლებში საფრანგეთში შეიქმნა სამხატვრო და ქანდაკების აკადემიები. კერძოდ, 1648 წ. 20 იანვარს საფრანგეთის სამეფო საბჭომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა 10 წლის ლუ-



დოვიკო XIV, მხატვრებისა და მოქანდაკეების პეტიცია მოიხმინა. ამ კოლექტიურ წერილში ძირითადად ასახული იყო მხატვრების თხოვნა და სურვილი, რათა ჩამოყალიბებულიყო სამხატვრო აკადემია, რომელიც მხატვრებისა და მოქანდაკეების შემოქმედებით ინტერესებს დაიცავდა. 1648 წ. 1 თებერვალს შეიქმნა საფრანგეთის სამხატვრო აკადემია. მისი საბჭო 12 წევრისაგან შედგებოდა და აერთიანებდა იმ დროის ცნობილ მხატვრებს, როგორცაა: ლებრენი, ლესიურერი, ბურდონი, ლა გირი და სხვ. სამხატვრო აკადემიას სამეფო კარი მფარველობდა, რომელმაც შესანახი თანხები გამოუყო, საჭირო აღჭურვილობა, შენობა და, რა თქმა უნდა, ზედამხედველობითი კონტროლი დაუწესა.

შარლ ლებრენი (1610—1690), ფერწერის ოსტატი, დაიბადა პარიზში, მოქანდაკის ოჯახში. სიჭაბუკეში ვუეს სახელოსნოში დაეწაფა მხატვრობას. 1642 წ. მხატვარს პუსენთან ერთად რომში მიემგზავრება და სწავლობს ბოლონიის მხატვრების შემოქმედებას. ევროპული ბაროკოს შესწავლის საფუძველზე იგი მოხდენილად უჩამებს სასახლის ინტერიერის გაფორმებას, ხოლო კორთონისა და რუბენსის ხელოვნებათა ზეგავლენით დეკორაციული ფერწერის ხერხებს ხვეწავს. 1668 წ. იტალიიდან დაბრუნებული ლებრენი მეფის პირველი ფერმწერის წოდებას ღებულობს, მოგვიანებით სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი და გობელენების მანუფაქტურის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი.

მხატვარი-აკადემიკოსი შარლ ლებრენი სამხატვრო აკადემიის სულისჩამდგმელი და დიდი ორგანიზატორია. სამხატვრო აკადემიის დაარსების დღიდანვე ის მოსახლეობაში ხატვის ხელოვნების საფუძვლებზე საჯარო ლექციებსაც კითხულობდა. მისი შემოქმედება ღრმად გააზრებულ და ნაწილობრივ ფილოსოფიურ საფუძველზეა დამყარებული. ლებრენის კომპოზიციები მაღალი გემოვნებით გამოირჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შემოქმედებითი შემართება ხალიჩებისა და გობელენების წარმოების პერიოდში, სადაც მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მრავალრიცხოვანი ნახატები შესრულდა.

ლებრენის ხელმძღვანელობით XVII ს. 60—70-იან წლებში ვერსალის ინტერიერების მოხატვა განხორციელდა. მან შექმნა ნიჭიერ შემოქმედ ხელოვანთა და ოსტატთა დიდი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ: მხატვრები, დეკორატორები, მოქანდაკეები, იუველირები, გრავიორები და გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენ-

ლები. ამ უზარმაზარმა შემოქმედებითმა არმიამ ლებრენის ჩანა-  
ფიქრსა და მოსაზრებებს ხორცი შეასხა, რამაც განაპირობა და და-  
საბამი მისცა ვერსალის ინტერიერების მაღალმხატვრული „დიდი  
სტილის“ შექმნას.

პიერ მინიარი (1612—1695) ფრანგული სახვითი ხელოვნების  
გამორჩენილი მოღვაწეა. იგი აკადემიური მიმართულების ტიპიური  
წარმომადგენელია. მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაი-  
კავეს ისტორიული სიუჟეტების ამსახველმა ნაწარმოებებმა. მისი  
ფუნჯით შესრულებულია მოლიერის ცნობილი პორტრეტი, რომე-  
ლიც ამჟამად ლუერშია გამოფენილი.

ვერსალის ინტერიერში საომარ ბატალურ თემატიკას მნიშ-  
ვნელოვანი ადგილი უკავია. ამ ჟანრის უბადლო შემსრულებლად  
ითვლებოდნენ: ვან დერ მეილენი (1632—1690) და ჟაკ კურტუა (ბურ-  
გინიონი 1621—1675). მათი ბატალური კომპოზიციები დიდი სიცი-  
ხადითა და მონუმენტურობით გამოირჩევა, სადაც სამხედრო ლაშ-  
ქრობები და საომარი სიტუაციები უკანა პლანზეა ასახული და  
ერთგვარი ფონის შემქმნელია, ხოლო კომპოზიციის წინა პლანზე  
მეფეა გამოსახული, ერთგული მხედართმთავრების გარემოცვაში.

XVII ს. დასავლეთ ევროპის კულტურაში პორტრეტული ხე-  
ლოვნების განვითარების პერიოდადაა მიჩნეული, რომელშიც მრავ-  
ალრიცხოვანი ეროვნული სკოლები და პორტრეტისტ-ხელოვანთა  
ცალკეული ჯგუფებია გაერთიანებული. პორტრეტული რეალისტურ-  
ი ხელოვნება განსაკუთრებით მკაფიოდ ჰოლანდიასა და ესპანეთში  
განვითარდა. ამ ხელოვნების ჟანრმა თავისებური ჩასახვა და განვი-  
თარება ჰპოვა ავრეთვე იტალიაში, ფლანდრიასა და საფრანგეთში.

ფრანგული პორტრეტული ფერწერა მნიშვნელოვნად განსხვავ-  
დება სხვა ქვეყნებში არსებული ამ ჟანრის ხელოვნებისაგან. XVII ს.  
მეორე ნახევრის ფრანგული პორტრეტული ხელოვნება ჩამოყალიბ-  
და წინამორბედი პერიოდიდან და უკვე იმხანად განვითარებული სა-  
დარბაზო პორტრეტული ფერწერის საწყისებზე, რომლის მამამთავ-  
რები ევროპის სახელმძღვანელო მხატვარ-პორტრეტისტები რუბენ-  
სი და ვანდეიკი იყვნენ.

XVII და XVIII სს. მიჯნაზე ფრანგული პორტრეტული ფერ-  
წერა საქვეყნო აღიარებას პოულობს. ხელოვნების ამ ჟანრში გან-  
საკუთრებული ადგილი ნიკოლა ლარჟილერის (1656—1746) და  
ჰიაციენტ რივოს (1659—1743) შემოქმედებას უკავია. ამ ორმა მხა-  
ტვარმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თვითმყოფადი და თავი-

სებური ტექნიკური შემოქმედებით პორტრეტული ხელოვნების ბრწყინვალე გალერეა შექმნეს, რომელიც საფუძვლად დაედო ფრანგული სადარბაზო პორტრეტის ჩამოყალიბებას.

ნიკოლა ლარჟილერი გამოჩენილი პორტრეტისტი იყო. იმხანად საფრანგეთის დიდებულთა საგვარეულო წრეებში მოღადა აღიარებული მხატვრის შემოქმედებას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ლარჟილერმა ბავშვობა ანტვერპენში გაატარა. სიჭაბუკეში მხატვრობამ გაიტაცა და პირველი ნათლობა ფლამანდრიელი მხატვრების სახელოსნოში მიიღო. ადვილი შესაძლებელია, რომ მუშაობისა და მეცადინეობის ამ მონაკვეთმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, რაც ესოდენ ვირტუოზული შესრულებით აისახა ლარჟილერის შემდგომ შემოქმედებაში, მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდება და ლონდონში აგრძელებს სწავლას, ცნობილი მხატვრის პიტერ ლელის სახელოსნოში. 1678 წელს საცხოვრებლად პარიზში გადადის და მისი პორტრეტული შემოქმედება შარლ ლებრენის ყურადღებას იპყრობს. 1686 წელს ლარჟილერი ლებრენის პორტრეტზე მუშაობს, რომელიც ამჟამად ლუვრის მუზეუმში ინახება, მას სამხატვრო აკადემიის წევრად ირჩევენ და ლებრენის რეკომენდაციით სამეფო კარზე მუშაობას იწყებს. ლარჟილერი მრავალი სადარბაზო პორტრეტის ავტორია. ვერსალის სასახლის ოთახებს ამშვენებს მაღალი ოსტატობით შესრულებული მისი პორტრეტები.

პიაცინტი რიგო საფრანგეთის ბურჟუაზიულ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი შემოქმედება XVIII ს. პირველ ნახევარში უმაღლეს წერტილს აღწევს, მაგრამ მისი შესრულების მანერა და ტექნიკა XVII ს. ფრანგულ ხელოვნებასთან უფრო ახლოა. რიგოს პორტრეტული ნაწარმოებები დიდი დამაჯერებლობით ასახავენ პერსონაჟის ხასიათს, მის ბუნებას, ზნე-ჩვეულებებს და მრავალრიცხოვან სპეციფიურ თვისებებს. ნაწარმოების რთულ კომპოზიციაში მხატვარი დიდი გემოვნებით აზავებს ფერებს, ტიპაჟური ჟანრის და ანსამბლში ჩართულ ყოფით საგნებს აკავშირებს ერთმანეთთან და მთლიანობაში ფერწერული ტილო რეალურად დასრულებული და მაღალმხატვრული იდეალების გამომსახველია.

რიგოს პორტრეტული გმირები შინაგანი ბუნებისა და ინდივიდუალური ხასიათის დიდი გამომხატველობით გამოირჩევიან. 1668 წ. იგი მიიწვიეს სამეფო კარზე, სადაც მაღალი საგვარეულო წრის წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო. რიგოს შემოქმედების ერთი ბრწყინვალე ქმნილებაა ლუი XIV-ის უზარმაზარი პორტრე-

ტი, რომელიც ვერსალში მეფის მისაღების ინტერიერის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს. ამ პორტრეტში მეფე მის დიდებულ აქსესუარებში მთელი ტანითაა გამოსახული, მისი სადღესასწაულო იერი და რეალისტური გამოხატულება მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. რიგო მაღალი ოსტატობითა და დიდი გემოვნებით უხამებს ფერთა ტონების პალიტრას, ხოლო დახვეწილი ფორმები და კომპოზიციის ეფექტური შეთანწყობა პორტრეტს დასრულებულ შნოსა და ლაზათს ანიჭებს. ეს ნაწარმოები ტიპიური მაგალითია იმ კლასიკური ხელოვნებისა, რასაც რიგო სადარბაზო პორტრეტების სახით ქმნიდა. იგი ამ დროს 40 წლისა იყო. ეს ასაკი დიდი ხელოვნის შემოქმედებითი სიმწიფისათვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ რიგომ ხანდახმულობამდე კიდევ მრავალი საუკეთესო შედევი შექმნა და ფრანგული პორტრეტული ხელოვნების შემოქმედებით საგანძურს დაუტოვა.

რიგოს ლუი XIV-ის პორტრეტმა ლუვრის მუზეუმში გადაინაცვლა და ამჟამად ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია, სამაგიეროდ ვერსალის სასახლეში რიგოს სადარბაზო პორტრეტები შემორჩა, რომელიც ინტერიერის გაფორმების ერთ-ერთი მხატვრული ფერწერული სამკაულია.

ვერსალის პარკის მშენებლობის პრაქტიკულ საქმიანობას წინ უსწრებდა ბუნებრივი პირობების საფუძვლიანი შესწავლა, ხოლო შემდგომში ბუნებრივი ფაქტორების გარდასაქმნელად კონკრეტული ღონისძიებების დასახვა. იყო შემთხვევები, როდესაც არახელსაყრელი ადგილმდებარეობა დაუმუშავებლად და ხელუხლებლად დარჩენილი ბუნების საერთო ლანდშაფტში და მერქნიან მცენარეთა კომპოზიციაში მოხდენილად იყო ჩართული. ამის დადასტურებაა ლატონის აუზთან მიმდებარე ტერიტორია. ეს ადრინდელი უბანი განსხვავებულ დონეთა სხვაობით გამოირჩეოდა. აქ არსებული ჩავარდნილი ადგილების ნაწილი მიწით ამოივსო, ზოგიერთ მონაკვეთში კი აუზები მოეწყო. თვით სასახლე შემადგენულ უბანზეა განლაგებული, ხოლო პარკის შემადგენელი განყოფილებები: წყლის ელემენტები (დიდი არხი, შადრევანი, ტბა, აუზი), პარტერი, დამხმარე შენობები, ორანჟერია, მცირე არქიტექტურული ფორმები შედარებით ქვედა სივრცეში, ვრცელ ბაქანზე ან მოედანზეა განლაგებული. ყველა ელემენტს თავისი კუთხე აქვს მიჩენილი და, რაც მთავარია, ადგილმდებარეობის რელიეფი მაქსიმალურადაა გამოყენებული. განსაკუთრებით ეს იგრძნობა პარკის ყველა-

ზე შემადლებული ადგილიდან, კერძოდ პარკის ტერიტორიაზე გადაშლილი საპარკო ელემენტები გეგმაზომიერადაა განაწილებული. რაც მთავარია, ვრცელ ბაქანზე განლაგებული მცენარისა და არქიტექტურული კომპოზიციები ტერასებად ეშვება და ჰარმონიულადაა განწყობილი უზარმაზარ მცენარეულ მასივში. მართალია პარკის შემადლებიდან განყოფილების ცალკეული ელემენტები დიდი სიციხადით მოჩანს, მაგრამ საკმარისია ამა თუ იმ საპარკო ელემენტს მიუვახლოვდეთ, რომ იგი სახეშეცვლილი იქნება. ამის მკაფიო დადასტურებაა, რომ სასახლის აივნიდან თუ პარკის შემადლებული ბაქნიდან წრიული აუზი ან კვადრატული ყვავილნარი წაგრძელებული რომბის ან ტრაპეციის ფორმას ღებულობს. ასევე ზედხედვაში, წყლის პარტერს გეომეტრიული ფორმა გააჩნია, ახლოდან კი, მართალია პარტერს არ დაუკარგავს გეომეტრიული ფორმის სილამაზე, მაგრამ მისი სახეშეცვლილი და წაგრძელებული ფორმა ბუნებასთან გვაახლოებს და ორგანული კავშირი იქმნება. ასეთი ფორმების ცვლილებითა და დინამიურობით გამოირჩევა ერთსა და იმავე ელემენტებზე სხვადასხვა ადგილიდან შექმნილი ხედვის ილუზია, რასაც პარკის ტერიტორიაზე მერქნიან მცენარეთა კომპოზიციებში ხშირად ვხვდებით. ტერიტორიის მაქსიმალური გამოყენების გარდა ვერსალის პარკი და მისი ცალკეული განყოფილებები შესანიშნავად აღიქმებიან, რაც ადვილმდებარეობით, ხელოვნური მოსწორებით, ნიადაგის მოშანდაკებითა და ღია სივრცის კონტა დაგეგმარებითაა გამოწვეული.

ვერსალის პარკის დაგეგმარების საკომპოზიციო ღერძი სასახლეს გასდევს და პარკის ტერიტორიას ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს. არქიტექტურული დაგეგმარებით პარკი რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. პირველი განყოფილება ვერსალის სასახლიდან ჯვრისებური ფორმის დიდი წყლის არხამდე გრძელდება. სასახლის ფასადის დასავლეთით რვაკუთხა ფორმის ორი უზარმაზარი აუზია განლაგებული, რომლებსაც წყლის პარტერს უწოდებენ. თავდაპირველად ამ ადგილას ლენოტრმა მერქნიანი მცენარეები დარგო, მაგრამ უნაყოფო და მლაშე ნიადაგმა ნარგაობათა დაღუპვა გამოიწვია, ვინაიდან უზარმაზარ ტერიტორიაზე მიწის შეცვლას აზრი არ ჰქონდა, ხოლო გაუთავებელ დარგვას ხეების ხმობა მოსდევდა, ლენოტრმა ამ მწირ ტერიტორიაზე წყლის პარტერები აავო. ამ უზარმაზარი წყლის ზედაპირის სარკულ ანარეკლში ცა, შემოგარენი და სასახლის შესანიშნავი არქიტექტურული ფორმაა გამოსახული.

აქვე, მოქანდაკე ჟირარდონის და ტუბის „ომისა და მშვიდობის“ მარმარილოს ლარნაკები დგას, ხოლო მახლობლად კვახვეთის, ტუბის, გონგრასა და რენოდენის სკულპტურებია განლაგებული, რომლებიც სიმბოლურად საფრანგეთის მდინარეების სახელწოდებითაა ცნობილი. წყლის პარტერის აუზები გრანიტისა და მარმარილოს ჩარჩოებითაა შემოფარგლული. წყლის პარტერებს გვერდებიდან ვრცელი ყვავილნარებისა და ხალიჩის უზარმაზარი ნაკვეთები აკრავს, რომლებიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის პარტერებადაა ცნობილი.

ლუი XIV-მ ბაღის ჩრდილოეთი უბანი მრავალჯერ გადააკეთებია, რომლის საფუძველზე იცვლებოდა არა მარტო იერსახეობა, არამედ ნაკვეთის სახელწოდებაც. ამ უბნის მშენებლობის ქრონოლოგიური თანამიმდევრობა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა; 1660 წელს გადაკეთდა კვადრატული ფორმის ვრცელი კლუმბი, რომელზედაც გართხმული ბზის ჩუქურთმა იყო გამოყვანილი, ხოლო 1664 წელს კვადრატული ფორმის ნაკვეთი — წყლის პარტერად. მოგვიანებით მან ორი უზარმაზარი მოლის (ვაზონი) სახე მიიღო, რომელიც მრგვალი აუზითა და ბზის არშიით შემოიფარგლა. აქ არსებული მაღალტანიანი ხეებიდან წიფლის ვერტიკალური კედელი გამოირჩეოდა, რომელიც ვრცელი ყვავილნარებისა და საპარკო ნაწილის საზღვარზე იყო აღმართული. სამწუხაროდ ეს კომპოზიციაც არ იყო შენარჩუნებული. 1671—1672 წლებში მეფის მითითებით ჩრდილოეთის ეს ნაკვეთი რამდენჯერმე გადაკეთდა.

1672 წელს ლენოტრმა ყვავილნარებისა და მოლის ელემენტები გააუქმა და აუზის ანსამბლი შექმნა. ცენტრალური პარტერი გადაკეთდა წყლის პარტერად. 1680—1682 წლებში პარტერის კონფიგურაცია კვლავ განიცდის ცვლილებას და მხოლოდ 1685 წელს საბოლოო ფორმით გამოიკვეთა. ამგვარად წყლის პარტერი 23 წლის მანძილზე დეკორატიულ სახეს იცვლიდა და დღემდე 1685 წელს გამოკვეთილი ფორმითა და სახესხვაობით მოაღწია.

ვერსალის სასახლის მარჯვნივ ჩრდილოეთის პარტერია დაგეგმარებული. ეს უბანი სიმბოლურად საფრანგეთის ჩრდილოეთ მხარეს გამოსახავდა, რომელსაც ოკეანე ესაზღვრებოდა და პირქუში ბუნებით ხასიათდება. მართლაც ეს უბანი წყლის უხვი ელემენტებისაგან შედგება. აქ მოქანდაკე ჟირარდონის პირამიდული შადრევანია, რომელიც 1669—1670 წლებში ააგეს და უძველეს შადრევანად ითვლება. იგი შადრევნების ხეივნებით ურჩხულის შადრევანს უკავშირ-



დება, ხოლო პერსპექტივის დასასრულს ნეპტუნის აუზი წარმოადგენს. პარკის ეს უბანი წყლის სივრცით კომპოზიციებს შორის ელენოტრის უდიდეს ღირსებადაა აღიარებული. წყლის ხეივანის საერთო ანსამბლში ჩართულია ორი ბოსკეტი: „ტრიუმფალური თალი“ და „სამი შადრევნის აუზი“. უზარმაზარ აუზში ფლეთილ ლოდებზე ზღვის დმერთებია განლაგებული. მარჯვნივ, ჟ. ლემუანის სკულპტურა „ოკეანეა“, მარცხნივ ბუშარდონის „პროტეის“ ფიგურა, ხოლო შუაში სიგიზმუნდ ადამის „ნეპტუნისა და ამფიტრიდის“ ჯგუფია.

სამხრეთის პარტერი დიდი სასახლის მარცხნივია განლაგებული. იგი სიმბოლურად საფრანგეთის სამხრეთ მხარეს ასახავს, რომელიც ხმელთაშუა ზღვის თბილი ჰავით გამოირჩევა. სამხრეთის ლანდშაფტს იქვე არსებული ორანჟერეისა და უხვად წარმოდგენილი სუბტროპიკული მცენარეები აძლიერებს. სამხრეთის პარტერიც, ისე როგორც ბაღის მრგვალი ელემენტი, მრავალჯერ გადაკეთდა. იგი ძველი პარტერის სახით, მარტივი ყვავილოვანი ჯგუფებისაგან შედგებოდა და შემდგომ დურუას პარტერად იყო ცნობილი, თუმცა ხანმოკლე დროში გადააკეთეს და ამურის პარტერი დაერქვა. იგი წარმოადგენდა ცენტრალური აუზისა და ყვავილნარის პარტერების ჯგუფს, რომელიც სამხრეთიდან ორანჟერეის ბალუსტრადას ემიჯნებოდა. 1684 წლიდან სამხრეთის პარტერმა მიიღო ის საბოლოო გარემოწერილობა, რომელიც შემდგომში ხელუხლებლად იქნა დატოვებული. ანდრე ლენოტრმა სამხრეთის პარტერი კლასიკურ სტილში გადაწყვიტა. ამ პერიოდში დაკვალული ლენოტრისეული პარტერის ხაზები დღემდეა შემორჩენილი. იგი ხასხასა მოლზე ყვავილნარისა და ბზის არშიითაა გარშემორტყმული. ამ საპარკო ელემენტებს რითმულად განლაგებული მარმარილოს დაფები ამშვენებს, რომელზედაც XVII საუკუნის ცნობილი ოსტატის ბაღენის ლარნაკებია დადგმული. ამჟამად ამ ლარნაკებში ნემსიწვერას (პელარგონიუმი) ხანგრძლივად მოყვავილე მცენარეებია ჩარგული.

ლენოტრისეული ხერხით აგებული ჩრდილოეთის პარტერი გარემო ბუნებასთან ორგანულ კავშირშია და პარკის საერთო ანსამბლში სამხრეთის პარტერს იდენტურად ერწყმის. ამ ორ თარგს შორის საპარკო წონასწორობაა დამყარებული, თუმცა თითოეული განსხვავებული ხასიათის ელემენტებისაგან შედგება.

ჩრდილოეთის პარტერთან ორი უზარმაზარი მოლის თარგია გადაშლილი, რომელსაც ნეპტუნის აუზამდე მიყვავართ. აქვე ახლოს

მარაოსებური ფორმის აუზია, შემდეგ მწვანე ამფითეატრი და ქანდაკებათა ჯგუფი „დიდება მეფეს“ სახელწოდებით, რომელიც ლებრენის ნახატით მოქანდაკე დ. გიდის შექმნილია. ამ უბანზე მცირე არქიტექტურული ფორმების ორიგინალური შეხამება ხდება. ხასხასა მოლზე აღარ ვხვდებით ბზით გამოკვეთილ ჩუქურთმებს. თვით ჩრდილოეთის პარტერი ხუთი სზვადასხვა გეომეტრიული თარგისაგან შედგება. მართალია XVII საუკუნეში ეს უბანი ბევრჯერ გადაკეთდა, მაგრამ ხელუხლებელი დარჩა წყლის ხეივანი, რომელსაც ადრე მარმუზიეს ხეივანი ეწოდებოდა. აქ წყლის ელემენტები საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი. ხეივნის ანსამბლში წითელი მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული 22 აუზია ჩართული, რომლებიც წყლის სავალ ნაწილს ორგანულად ერწყმიან. აქვე მოლზე განლაგებულია ბრინჯაოდან ჩამოსხმული ბავშვების პლასტიკური ჯგუფები. ნებტუნის აუზთან დამაკავშირებელ დეკორაციულ ხეივანში 1669 წელს მოქანდაკე მარმუზიეს მიერ შესრულებული 14 ქანდაკებაა განლაგებული, რომლებიც პარკის ტერიტორიაზე 1670 წელს განალაგეს. ქანდაკებათა ჯგუფი ფოლადის, თუთიისა და ტყვიის შეზავებული მასალითაა დამზადებული, რომლის ზედაპირი მოოქრული მასითაა დაფარული. ქანდაკებათა ჯგუფები განალაგეს პირამიდული შადრევანისა და ჩრდილოეთის პარტერის ორი დამატებითი აუზის აგებისთანავე. აქვე ხასხასა მოლზე გემოვნებით განლაგებული 204 სპილენძის ლარნაკში გაკრეჭილი უთხოვარის (წითელი ხე) ნახევრად ხისებური ნერგები იყო ჩარგული. 1678 წელს ქანდაკებათა რაოდენობის გადიდება გადაწყვიტეს, ვინაიდან ლენოტრმა მომიჯნავე, ქვედა ბაქნების კეთილმოწყობას მიჰყო ხელი.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის პარტერებსა და წყლის პარტერებს შორის გეოდეზიურ დონეთა დიდი სხვაობაა. მართალია, ყველა ეს ელემენტი პარკის საერთო ანსამბლშია თავმოყრილი, მაგრამ თითოეული ელემენტი ცალკე დამოუკიდებელი იერის ამსახველია. ჩრდილოეთისა და სამხრეთის პარტერებთან შედარებით წყლის პარტერები ერთი ბაქნით მაღლაა განლაგებული. ეს უკანასკნელი შეიქმნა იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც სასახლის პირველი სართულის დახურულ შენობაში იმყოფებოდნენ და დროის უქონლობის გამო პარკის ლანდშაფტით ფანჯრებიდან ტკბებოდნენ.

სამხრეთის პარტერს ორანჟერეა ესაზღვრება, რომელიც ყვავილნარებითა და ვრცელი პარტერიითაა შემოფარგლული. მას გვერდით 100 საფეხურიანი კიბეები ჩაუდის, ხოლო შორიახლოს შვეი-

ცარული ტბაა განლაგებული. ეს უბანი დიდხანს ხელუხლებლად იყო დატოვებული, ვინაიდან სასახლისა და პარკის საამშენებლო მასალის შესანახი საკანი და საწყობები იყო მოწყობილი, მაგრამ ლენინის იტალიაში მოგზაურობის დროს მანსარმა ამ ადგილზე არქიტექტურული ნაგებობები ააგო. ორანჟერეა ყვავილნარებით წრიული ფორმის აუზთანაა დაკავშირებული. ეს ნაკვეთი წმინდა გეომეტრიულ სტილშია გადაწყვეტილი. თითოეული თარგის გვერდები ყვავილნარებითა და ვაკრეჭილი ბზის ბორდიურითაა შემოფარგლული: ამ უბნის გზა-ბილიკები ყვეთელი ქვიშითაა დაფარული, ხოლო ცენტრალური გზა ტბის სანაპიროს უერთდება, რომელსაც შვეიცარიული ტბა უწოდეს, ამ ტერიტორიაზე განლაგებული მეფის არმიის შენაერთის გამო, რომლის ძირითადი შემადგენლობა შვეიცარიელი მეომრებით იყო დაკომპლექტებული. 1682 წელს მეომრებმა ტბის ქვაბული გათხარეს და მისი შემოგარენი კეთილმოაწყვეს.

სამხრეთის პარტერიდან შვეიცარიულ ტბასა და ტერასებზე შესანიშნავი ხედია გადაშლილი. ხედვის კომპოზიციას (დეკორაციული ფაქტორების გარდა) ხელს უწყობს რელიეფური ადგილმდებარეობის ღონეთა სხვაობა, ვინაიდან სამხრეთის პარტერთან შედარებით ორანჟერეის მოედანი 15 მეტრით დაბლაა განლაგებული. ამ უბანზე 1684—1686 წლებში არქიტექტორმა ჟულ არდუენ მანსარმა ორანჟერეა განალაგა და 100 საფეხურიანი ორიგინალური კიბეები და საყრდენი კედლები მიუშენა, რომლებიც ორანჟერეას ემიჯნება და შვეიცარიულ ტბასთანაა დაკავშირებული. კიბესთან პარკის საზღვარს დეკორაციული ღობე გასდევს, სადაც ორი მხრიდან ქანდაკებებით შემკული შესანიშნავი პილონებია აღმართული. ღობის პილონებზე ქვის ლარნაკებია შედგმული, რომლებიც ლესპინოლას მიერაა შექმნილი, ხოლო ჭიშკრის პილონების ჯგუფზე ლე გრო და ლე გონგრა მუშაობდნენ.

ორანჟერეის მოედანი ვრცელი ტერიტორიისაგან შედგება, სადაც მაისიდან-ოქტომბრამდე 1000 ძირი საორანჟერეო და ტროპიკული მცენარე გამოაქვთ. ხმელთაშუა ზღვის მცენარეები, რომლებიც რაოდენობით ტროპიკულ მცენარეებს ჭარბობენ, ორანჟერეის მოედანზე გეომეტრიული წესითაა განლაგებული. მრგვალი აუზის გარშემო მათი განწყობა მეტად რითმულია და ამ კანონზომიერებას უფრო აძლიერებს ერთ სიმაღლეში შერჩეული ეგზემპლარებისა და უზარმაზარი თეთრი კასრების ურთიერთგანწყობა. ოქტომბერში, შემოდგომის პირველი ყინვების დადგომამდე, 1000 მცენარეს კვლავ

ორანჟერეაში აბინავებენ, ვინაიდან საფრანგეთის სუსხიანი ზამთარი ზოგჯერ მცენარეებზე დამლუპველად მოქმედებს.

ლუდოვიკო XIV-ის მეფობის პერიოდში ზამთრის ხანის ორანჟერეების მშენებლობა თავისებურ არქიტექტურულ „მოღაღ“ გადაიქცა. პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლები უზარმაზარ თანხებს ხარჯავდნენ, რათა იტალიიდან ფორთოხლის კულტურა გამოეწერათ, რომელიც სურნელოვანი ყვავილებითა და სასიამოვნო, არომატული ნაყოფით გამოირჩეოდა. ცხადია, სითბოს მოყვარულ მცენარეებს სასიცოცხლო ფაქტორების უზრუნველსაყოფად, მათი ბიოლოგიური და ეკოლოგიური პირობების გამო, შესაბამისი ნაგებობა სჭირდებოდათ. დიდებული საგვარეულო პირნი და კერძო მესაკუთრეები გამოიჩინეს არქიტექტორებს ლამაზი და სასიამოვნო ფორმის კონსტრუქციის ორანჟერეებს უკვეთავდნენ, რომელთა ფასადი სამხრეთი ექსპოზიციისაკენ იყო მიმართული და კოხტა ბალებით იყო გარემოცული.

ცნობილია, რომ ორანჟერეა მინის ნაგებობას უნდა წარმოადგენდეს, მრავალრიცხოვანი სარკმელებითა და მინით მოპირკეთებული კედლებით. ზამთრის პირობებში მზის სხივები და განათება ასეთი ტიპის ნაგებობებში უზვად უნდა ყოფილიყო თავმოყრილი. პარიზში XVII საუკუნის ორიგინალურად აგებული ორანჟერეები ტუილრისა და ლუქსემბურგის ბალებში შემორჩა, სადაც ამჟამად მუზეუმებია გახსნილი.

ვერსალის ორანჟერეა ფაქტიურად არქიტექტურული ნაგებობაა, რომელიც უზარმაზარ შენობას წარმოადგენს. ის არის არა მარტო ზამთრის ბაღი, არამედ ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეებისათვის საუკეთესო სამყოფელია. ორანჟერეაში ლუდოვიკო XIV-ის უზარმაზარი ქანდაკება აღმართული, რომელიც მოქანდაკე მ. ლეჟარდენმა შექმნა.

ვერსალის ორანჟერეა სიგრძით 400 მეტრამდეა და 3 განყოფილებისაგან შედგება. მთავარი და ცენტრალური ნაგებობების სიგრძე 156 მეტრს აღემატება, მისი სიმაღლე 12, ხოლო სიგანე 21 მეტრია. ცენტრალური ნაგებობების განშტოების გვერდით ფასადები სიგრძით 100 მეტრია. ორანჟერეის კედლები სისქით 5 მეტრია. მონუმენტური კარების მსგავსი 12 უზარმაზარი სარკმელი ორმაგადაა შემინული, რაც სუსხიანი ზამთრისა და მაღალი ყინვების დროს მნიშვნელოვნად იცავს მცენარეებს დალუპვისაგან.

1664 წლიდან, ორანჟერეის კონსტრუქციით შემოსვის შემდეგ, ნაგებობა არასოდეს არ გაუთბიათ, მიუხედავად ამისა სუსხიანი

ზამთრის გავლენით, რომელსაც დიდი ყინვები მოჰყვა, არც ერთი აქ არსებული ასეულობით ტროპიკული ხე-ბუჩქი და სუბტროპიკული მცენარე არ დაზიანებულა; უფრო მეტიც, ალბათ სწორი აგროტექნიკური პირობებისა და ეკოლოგიური ფაქტორების დაცვამ განაპირობა, რომ იქ არსებულ მცენარეულობაზე მავნებლები ან ავადმყოფობა შენიშნული არ ყოფილა. მართალია ზოგიერთი მცენარისათვის აქ იდეალური პირობები არაა შექმნილი, მაგრამ ორანჟერეის კონსტრუქციული საშუალება დღის სინათლის შეღწევას მხოლოდ ერთი მიმართულებით ახდენს, რაც პირდაპირი ექსპოზიციით სასარგებლოა ჩითილებისა და ნორჩი ნაზარდებისათვის, ხოლო ასეულობით ხე-ბუჩქოვანი მცენარისათვის სინათლის უკმარისობას იწვევს. ვერსალის მებაღეები და ორანჟერეის მუშები აგროტექნიკას უტარებდნენ ტროპიკულ და სუბტროპიკულ მცენარეებს. მაგალითისათვის, ზამთრის პირობებში ნარგაობის ორანჟერეაში მოთავსება მცენარეთა სავეგეტაციო მოსვენების პერიოდს ემთხვეოდა; ამ დროს მცენარეს ძალზედ ფაქიზად ეპყრობოდნენ, საკმარისია რეჟიმის დარღვევა, რომ მცენარეს ნაადრევი ვეგეტაცია ეწყება. ამიტომ მცენარეებს გრილ ადგილას ათავსებდნენ. რწყვასაც მეტად ზომიერად უტარებდნენ. ძლიერ ნოყიერ და საკვები ნივთიერებით მდიდარ ნიადაგში ფესვთა სისტემა ნესტიან გარემოში იყო, ხოლო ღია გრუნტში გადმოტანის წინა დღეებში (მაისი), როდესაც მოსალოდნელი იყო დაბალი ჰაერის ტემპერატურა, მცენარეები ნაკლებად ირწყვებოდა, რითაც მყარდებოდა მცენარის ნორმალური განვითარების რითმი.

მაღალტანინი მცენარეები ჩარგული იყო მოზრდილ 2-3 ტონიან კასრებში, მათი ორანჟერეიდან გამოტანა და გადაადგილება მეტად შრომატევადი პროცესი იყო და, როგორც წესი, სათანადო დანადგარებითა და მოწყობილობებით სრულდებოდა.

ვერსალის ორანჟერეებში დაახლოებით 700-მდე ფორთოხლის ხეა. აქედან 100 ძირი 200 წლისაა, უმრავლესობა კი 100 წელს ითვლის. საოცრებაა, მაგრამ ფაქტია, რომ ფორთოხლის 12 ეგზემპლარს „პატრიარქს“ უწოდებენ, ვინაიდან ლუდოვიკო XIV-ის მეფობის პერიოდიდანაა შემორჩენილი. დეკორაციულ მცენარეთა კოლექციაში ესტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ხეებიც, როგორიცაა: ევროპული არაუკარია, რომელიც დედოფალ მარია-ანტუანეტას საჩუქრად მიართვეს; ორანჟერეის გრილ განყოფილებაშია მოთავსებული ტუილრის ბაღიდან შემოტანილი 100-წლოვანი

ფინიკის პალმები და ვო-ლე-ვიკომტის სასახლიდან, კონფისკაციის შედეგად გადმოტანილი ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეები.

ციტრუსოვანი კულტურები ჭარბობენ სხვა საორანჟერეო მცენარეებს. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა და მრავალი სახესხვაობითაა ფორთოხლის ხეები. ლიმონის, მანდარინისა და ფინიკის მცენარეები ორანჟერეის მოედანზე განლაგებისას ორანჟერეის პეიზაჟს ეგზოტიკურ იერს ანიჭებენ. ორანჟერეის მოედანზე უხვადაა თეთრი და ვარდისფერყვავილოვანი ოლეანდრი, იაპონური ზღმარტლი ანუ მუშმულა, ვერცხლისფერფოთოლა ეკალიბტი, ნაწყვავილებიანი მიმოზა, პალმების უამრავი ფორმა და მონათესავე ჯიშები, როგორცაა: ციკასი, ხამეროპსი, კოკოსი, კენტია, ჰოვეა, თუიოპსისი, ქინაქინის ხე, ირმის რქა ანუ ლაგერშტრემია, კამელია, ზეთის ხილის ხე, პოდოკარპუსი, ფიკუსი, ჟასმინი; ხვიარა მცენარეებიდან: კანაღური სურო, ბუგენვილია, დეკორაციული კატაბარდა, პასიფლორა, ავსტრალიური ფიკუსი.

მანსარის 100-საფეხურიანი კიბეების ავლით პარკის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში აღმოჩნდებით. ამ მოედანზე სრულიად სხვა ლანდშაფტია გადაშლილი. ამავე კიბეების ბოლო საფეხურებიდან თანდათან მოჩანს სასახლის ფასადი, ხოლო უკან ნიხედვისას — მერქნიან მცენარეთა მასივში ჩასმული უზარმაზარი ტბა, რომლის დასასრულს მოქანდაკე ბერნინის მარმარილოს ჯგუფია აღმართული. აქვე მოედნის სიბრტყიდან ოდნავ ჩაუარდნილი მცირედი პარტერია გადაშლილი, რომელსაც მარმარილოს პარაპეტი არტყავს, სადაც მოქანდაკე სარაზენისა და ლერამბერის სფინქსები და ლარნაკებია განლაგებული.

1668—1670 წლებში ააგეს ვერსალის პარკის ცენტრალური უბანი — ლატონის აუზის მიმდებარე ტერიტორია და სათანადოდ კეთილმოაწყვეს. ვერსალის დიდი სასახლის მოედანზე, სადაც წყლის პარტერები მთავრდება ტერიტორიის კომპოზიციური სიბრტყე ნაღისებური რკალითაა დაგეგმარებული. უზარმაზარი აუზის მოედანს მარცხნივ და მარჯვნივ მარმარილოს ფართო საფეხურიანი კიბეებით ვუკავშირდებით. ეს ცნობილი ლატონის შადრევანი აუზია, რომელიც 1670 წელს ააგო მხატვარ-მოქანდაკეების დიდმა ჯგუფმა: ლებრენის, კვაზევოკის, ჟირარდონისა და ტუბის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით. აუზის ცენტრში აღმართულია ქალღმერთ ლატონას ქანდაკება შადრევნებით, ხოლო იარუსიანი

აუზები ერთ საერთო აუზში იყრის თავს, რომელიც სკულპტურული ჯგუფებითაა გაფორმებული.

ბერძნული მითოლოგიური თქმულებით ტიტან კრონოსი და ფებეს ქალიშვილი ქალღმერთი ლეტო (იტალიელები მას ლატონას უწოდებენ) ზევსის ერთ-ერთი მეუღლე იყო. მას ჰერაზე ადრე ზევსისაგან ტყუბი ბავშვები ეყოლა: მეცნიერებისა და ხელოვნების ღმერთი აპოლონი და ნადირობის ქალღმერთი დიანა. ლატონა მუდმივ დევნას განიცდიდა ეჭვიანი ჰერასაგან და მიწაზე მშობიარობის უფლებას არ აძლევდა. მხოლოდ ზევსის მიერ შექმნილმა პატარა მცურავმა კუნძულმა დელოსმა მიიღო დევნილი ქალღმერთი, სადაც ტყუბი ქალ-ვაჟი შეეძინა.

ლატონის შესანიშნავი აუზი შედგება ხუთიარუსიანი აუზისაგან, რომლის ცენტრალურ ნაწილში ქალღმერთ ლატონას ქანდაკებაა აღმართული და გვერდს უმშვენებს ტყუბი ქალ-ვაჟის აპოლონისა და დიანას სკულპტურები. მომდევნო იარუსებიან აუზებში მითოლოგიური სცენაა გამოსახული. მსახურებისადმი უპატივცემულად განწყობილი და განრისხებული ქალღმერთი ლატონა თხოვს იუბიტერს დაიცვას მისი პატივმოყვარეობა. ლატონას თხოვნა დაკმაყოფილებულია და დიდებული სავარძლიდან დასცქერის ბაყაყებად და ხვლიკებად გადაქცეულ ურჩ მსახურებს. იარუსებიდან ვაღმოსული ოთხი წყლის ნაკადი კასკადური წესით თავს იყრის ვრცელ აუზში, რომელიც სკულპტურული ანსამბლისა და საერთო არქიტექტურული კომპოზიციის თავშემკრებია.

დადგენილია, რომ პარიზში არსებული საფრანგეთის არქიტექტურის ინსტიტუტში, შემონახულია გეგმა, რომელიც დამაჯერებლად გვაუწყებს ლატონის აუზის მშენებლობის თანამიმდევრობას. ლატონის აუზი და ირგვლივ დაგეგმარებული ვრცელი ნალისებური ფორმის ბაქანი (ტერასა) პირით დიდი სასახლისაკენ იყო მიპყრობილი. მხოლოდ 1664—1665 წლებში ლენოტრმა შეუცვალა ლატონის აუზსა და ნალისებურ მოედანს ორიენტაცია, რათა მოგვიანებით გაშენებული პარტერები და გამწვანებული უბნები საპარკო არქიტექტურის ძეგლთან (ლატონის აუზი) მოხდენილად ყოფილიყვნენ შერწყმულნი.

ვერსალის პარკში ლატონის აუზი ერთ-ერთი მთავარი განშტოებაა. აქ გადის გეგმარების მთავარი ღერძი, ხოლო თვით ლატონის აუზი საკომპოზიციო ცენტრია, რომლის გარშემო საპარკო ანსამბლებია შექმნილი. აუზს ვრცელი მოედანი აკრავს, საიდანაც

პარკის ქვედა ნაწილსა და შორეულ ჰორიზონტზე შესანიშნავი ხედ-  
ლია გადაშლილი, ხოლო საწინააღმდეგო მხარეს ვრცელ ნაღისებურ  
ბაქანს საყრდენი კედელი და გაკრეჭილი ცოცხალი ღობე  
ელემენტით ჩაკეტილია პარკის ნაწილი, საკმარისია ოდნავ მოშორე-  
ბა, რომ ჩვენს წინაშე გადაიშლება ნაღისებური ფორმის ბაქანი  
ფართო კიბეებითა და სასახლის ფასადით. ლატონის აუზის ამ  
უბანზე მცირე არქიტექტურული ნაგებობანი მწვანე ნარგაობასთან  
გარკვეული კანონზომიერებითაა შეხამებული. ამ მოედანზე ქვის  
საყრდენი კედელი გაკრეჭილი თელის ნარგაობითაა დაფარული და  
სივრცის ჩამკეტი ფაქტიურად მწვანე ვერტიკალური სიბრტყეა,  
რომლის შეზნექილ ადგილებში ქანდაკებები და მარმარილოს სკამე-  
ბია მოთავსებული. მოედნის გვერდით ფრთებს პანდუსის მსგავსად  
საბალო გზა ჩაუდის, ხოლო იქ, სადაც გზა საყრდენ კედელს ებჯინე-  
ბა, რითმულად განლაგებული უთხოვარის პირამიდული ფორმებია  
დარგული. ჩუქურთმებიანი თეთრი მარმარილოს სკამები ჩასმულია  
გაკრეჭილი ცოცხალი ღობის ჯიბეში (თარგში მცირე არქიტექტუ-  
რული ფორმისათვის შეზნექილი ადგილი), რომელიც ხუროთმოძ-  
ღვრული ფორმითაა და დამახასიათებელი ფერით ნარგაობების მწვა-  
ნე კედელს ეხამება. ვრცელი მოედანი თეთრი მარმარილოს  
მსხვილმარცვლოვანი ქვიშითაა დაფარული. მართალია პარკში არ-  
სებული ცენტრალური ადგილები და განყოფილებები დამოუკიდე-  
ბელი და ცალკეული კომპონენტის სახითაა განლაგებული, მაგრამ  
ყველა ეს ელემენტი დიდი გააზრებით დაკავშირებულია სასახლეს-  
თან, ლატონისა და აპოლონის აუზებთან. სწორედ ეს ორგანული  
კავშირი განაპირობებს პარკის საერთო მთლიანობაში აღქმას, რაც  
მსოფლიო საპარკო ხელოვნებაში ლენოტრისეული გენიის დამახა-  
სიათებელი ხერხითა და თავისებურებებითაა ცნობილი.

მიმდებარე ტერიტორიის ვრცელ უბანზე არ შეიძლება უყუ-  
რადღებოდ დარჩეს მარმარილოს კიბეებიდან ორთავე მხარეს ჩამა-  
ვალი გზით გეომეტრიულ სტილში გამოსახული მოედნები, რომელ-  
თა ცენტრში მომცრო აუზებს მოქანდაკე გუზოს ცხოველთა ფიგუ-  
რები ამშვენებს. ამ პარტერიდან ცხენის წაბლის ხეივანს „სამი შად-  
რენის“ აუზამდე მიყვავართ, ხოლო ჩრდილოეთის მხარეს ცაცხვე-  
ბის ხეივანს — „აპოლონის აბანოების“ ბოსკეტსა და საზაფხულო  
მწვანე თეატრამდე. ამ ხეივანში სახვითი ხელოვნების ხელთუქმნე-  
ლი სკულპტურებია განლაგებული, როგორცაა: დეჟარდენის „დიანა  
მშვილდით“, მოქანდაკე მარსის „ვენერა“, „ჭაერი“ და „დაისის“

სკულპტურები, რომლებიც ჰარმონიულად და მაღალდეკორაციული პროპორციებით ტანმადალი ცაცხვების მასივს ერწყმიან.

ლატონის აუზის მოედნიდან ცენტრალური ხეივნის მხარეს მოწყობილ შესასვლელებში დამატებითი ხეივნებია მოწყობილი, რომლებსაც პარკის სიღრმეში შევყავართ. აქ 1668—1681 წლებში ბაროკოს სტილში ბოსკეტები და წყლის არქიტექტურული ელემენტები გაკეთდა. საპარკო ანსამბლის ამ განყოფილებებში მწვანე თაღები და კონტად გაკრეჭილი ბოსკეტები უხვად იყო წარმოდგენილი. ამდგვარი საპარკო კომპოზიციების სივრცე, როგორც წესი, მერქნიანი ტანმადალი მცენარეებით იყო შემოფარგლული. ვერსალის პარკის ერთ-ერთი უნიკალური ბოსკეტი „ნიჟარებიანი დარბაზის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. სადღესასწაულო მეჯლისის ჩატარებისას აქ მონაწილენი რკალისებური მოედნის პირსა და სადიდებულო მარმარილოს საფეხურებზე განლაგდებოდნენ ხოლმე, ხოლო ირგვლივ შადრევნები, კასკადები და დეკორაციული აუზის შადრევნები წყლის ნაკადს სხვადასხვა მიმართულებით კონტად აფრქვევდნენ. „ნიჟარებიანი დარბაზის“ დეკორაციულ მოკაზმულობას 1683 წელს დამზადებული ლარნაკები და კანდელაბრები ამშვენებდა, რომლებიც მოქანდაკეების: ლე კონტის, ლე გროს, ლე-გონგრომის, მასსუს, მაზელინისა და ჟუვენის მიერ იყო შექმნილი. ეს ნიჟარებიანი დარბაზი მაღალტანიანი გაკრეჭილი ხეების რკალში იყო მოქცეული. ხეებისაგან შედგენილი იარუსები ტოპიარიის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა.

1685 წელს მანსარმა კლასიკურ სტილში გადაწყვეტილი დამატებითი სამეჯლისო მოედნები მოაწყო. ერთ-ერთ ამგვარ არქიტექტურულ უბანს ცნობილი კოლონადის ბოსკეტი წარმოადგენდა, რომლის მშენებლობა 1685 წლით თარიღდება. კოლონადის პავილიონი იისფერი და ლურჯი მარმარილოს 32 სვეტისაგან შედგება, რომელზედაც თეთრი მარმარილოს არკადაა შემდგარი. სვეტებს შორის ქანდაკებებია განლაგებული, ხოლო არკადებს შორის თეთრი მარმარილოს აუზიდან შადრევნები ჩქეფს. აქ არსებული ქანდაკებების შექმნაში მონაწილეობდნენ: კვაზევოკსი, რენოდენი, ვანკლევო, ტიუბი, ლე კონტრა და ლე გონგრა. ამ ბიუსტების შუაგულს აგვირგვინებს ჟირარდონის გენიალური ქმნილება „პროზერპინას გატაცების“ ჯგუფი. ამ უბანში სტუმრებს უმასპინძლებოდნენ და მუსიკალურ კონცერტებს ატარებდნენ.

საპარკო ანსამბლის ერთ-ერთ განყოფილებაში მოოქრული თაღები და ტოპიარიის ნიმუშებია წარმოდგენილი. მცენარეებს ჰარ-

მონიულად ერწყმოდა საფრანგეთის არმიის ძორივ გამარჯვებათა სა-  
პატივცემულოდ აგებული ბრინჯაოს პლასტიკური ჯგუფები, მოე-  
დანს ამშვენებდა ხასხასა ხალიჩა და მასზე დიდი გემოვნებით გამო-  
ყვანილი ორნამენტული ყვავილნარები. ზოგიერთ ადგილას მწვანე  
მოლზე აქა-იქ იყო ფაიფურისაგან გაკეთებული ხელოვნური ყვა-  
ვილნარები. აქაურ ლანდშაფტს დიდებულ იერს მატებდა გზა-ბილი-  
კები, რომლებიც ფერადი ქვიშით იფარებოდა, ხოლო მოედნების  
მოკირწყვლა ფაიფურის ფილებით ხდებოდა.

პარკის ამ განყოფილებაში ბოსკეტები უზვადაა წარმოდგენი-  
ლი, თუმცა დეკორაციული ელემენტების უმრავლესობას დღემდე  
არ მოუღწევია. აქ არსებობდა „დელოფლისა“ და „დოფინას“ ბოს-  
კეტები, რომლებიც შემდგომში ცხენის წაბლის ბოსკეტებმა შეცვა-  
ლეს. მოედანი, სადაც „პირამიდის“ შადრევანია აღმართული, 200  
წვრილი მილისაგან შედგება, რომლებიც წყლის ნაკადს სხვადასხვა  
სიმაღლეზე აფრქვევენ და ერთ მთლიანობაში წყლის ობელისკი იქმ-  
ნება. ლენოტრის ხელთუქმნელ ხელოვნებას მიაწერდნენ „წყლის  
თეატრის“ ბოსკეტს, რომელიც სამწუხაროდ უკვალოდ გაქრა. დღემ-  
დე შემორჩენილი რამდენიმე გრავიურა ზღაპრულ სანახაობას აგვი-  
წერს. ნახევრად რკალისებური მოედანი, სადაც თეატრი იყო განლა-  
გებული, უზარმაზარი ზეების მასივში იყო მოქცეული, რომელსაც  
სამი ზეივანი უკავშირდებოდა. ეს ზეივნები სცენის ფონი იყო და  
წარმოდგენის დროს დეკორაციის სახეს ღებულობდნენ. ზეივნები  
ქანდაკებებითა და შადრევნებით იყო მორთული. გადმოცემით  
„წყლის თეატრი“ უფრო მოზდენილად და დიდებულად გამოიყურე-  
ბოდა, ვიდრე „ნიჟარებიან დარბაზი“.

ვერსალის ორი ცნობილი ბოსკეტი „სარკე“ და „მეფის კუნ-  
ძული“ მთლიანობაში წყლის უზარმაზარ სივრცეს ქმნიდა. „სარკის“  
ბოსკეტსა და მარაოსებური მოყვანილობის აუზში სამი შადრევანი  
ჩქეფდა. ამ აუზიდან წყალი ქვის ლარნაკებში იღვრებოდა და სა-  
ფეხურებზე მდორე დინებით „მეფის კუნძულის“ ბოსკეტს უერთ-  
დებოდა. ეს კუნძული თეატრალურ სანახაობათა დროს სახელდახე-  
ლო სცენას წარმოადგენდა. ბოსკეტები ცაცხვებისა და თელის მასივ-  
ში იყო მოთავსებული. ტანმაღალი ცაცხვები ერთგვარ კულისებს  
წარმოადგენენ, ხოლო ვაკრეჭილი თელები კუბური და თაღოვანი  
ფორმის ინტერიერის კედლებს უფრო წააგავდნენ.

გარემო ბუნების ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა იყო „ჭაობის“  
ბოსკეტი, რომელიც ქალბატონ მონტესპანის იდეით იყო აგებული.

ამ ბოსკეტს ამშვენებდა ლითონისაგან დამზადებული ხე, რომლის თუნუქის ფოთლებიდან წყალი ცრემლებივით წვეთდა. ეს არაბუნებრივი ბოსკეტი მანსარმა „აპოლონის აბანოს“ ბოსკეტით შეცვალა. მოგვიანებით 1778 წელს არქიტექტორმა რობერტმა ეს ბოსკეტიც გადააკეთა.

მწვანე ხალიჩის ჩრდილოეთით „პავილიონების“ ბოსკეტებია განლაგებული. ეს შადრევანი ერთმანეთში ჩასმული ორი აუზისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა ფერის მარმარილოებითაა შექმნილი. 1684 წლამდე შუა აუზში მოქანდაკე მარსის „დიდების“ ფიგურა იყო აღმართული, რომელიც მოხსნეს აპოლონისა და ნიმფების სკულპტურათა დადგმის შემდეგ. მანსარმა მწვანე ვერტიკალური კედლების წინ ხუროთმოძღვრული ფორმები აღმართა და არქიტექტურული მოკაზმულობანიც დაუმატა, ხოლო სკულპტურულმა ფიგურებმა (ლე გინგრა, მაზელინი, ბირეტა და ლესპინოლა) კიდევ უფრო მოხდენილი გახადეს „პავილიონის“ ბოსკეტი. ბედის უკუღმართობით ეს ბოსკეტიც დაიშალა, მოგვიანებით აპოლონისა და ნიმფების ფიგურებმა „აპოლონის აბანოების“ ბოსკეტებში გადაინაცვლეს. „პავილიონის“ ბოსკეტისაგან დარჩა მხოლოდ ნაშთი აუზის მოაჯირის, შუათანა შადრევნისა და რამდენიმე ფიგურის სახით. ეს ფიგურებია: ტუბის „ჰალატეა“ და „აცისი“, მანეს „ავრორა“, ლე გროს „გარიჟრაჟი“, ვეოლას „ლეიკოტოე“ და ა. ფლამენის „ნიმფა“. აქ არსებული ბოსკეტები პერიფერიულ ადგილებში ბალუსტრადითაა შემოფარგლული, სადაც მარმარილოს სკამებზე ჟირარდონის შესანიშნავი რელიეფებია ასახული. ამ ბოსკეტსაც, ისე როგორც სხვა დანარჩენს, მაღალტანიანი ხეები აკრავს. უნდა აღინიშნოს, რომ ლენოტრი უზარმაზარ წრეებსა და ნახევრად რკალებში თავის ცნობილ შედევრებს იმიტომ ათავსებდა, რომ უფრო მყუდრო და მოხდენილი კომპოზიციები შექმნილიყო.

დეკორაციულად მოხდენილ იერს იძლეოდა წაგრძელებული ბოსკეტებიც. მისი მსგავსია „სამი შადრევნის ბოსკეტი“. ამ უბანზე დიდი სიმეტრია სუფევს. თვით შადრევნები განლაგებული იყო ბოსკეტის ღერძზე, ხოლო შადრევნების წყლის ნაკადი საფეხურებიან კასკადებზე იფრქვეოდა და ქვედა ბაქანზე იყრიდა თავს. „წყლის ხეივანი“ ანუ „ანტიკურა დარბაზი“ ბოსკეტში გათხრილი მოგრძო არხისაგან შედგებოდა, რომლის შუა წელში კუნძული იყო განლაგებული, ხოლო რითმულად განლაგებული ანტიკური ბიუსტები ხეივანს დიდებულ იერს აძლევდა.

ბოსკეტების უმრავლესობა მერქნიან მცენარეთა უზარმაზარ მასივშია მოქცეული. ასე, რომ ძნელია მათი მიგნება, მით უმეტეს რომ ასეთ საპარკო ელემენტებს შორი მანძილიდან ხედი არც გააჩნდათ. როგორც გამოთვლისი, მწვანე ხალიჩის ხეივნიდან „კოლონადა“ და „პაეილიონის“ ბოსკეტები ნაწილობრივად მოჩანს, ხოლო ძნელად მისაგნებია „ნიჟარებიანი დარბაზი“, ვინაიდან მისადგომი გზა ხეივნის რთული აგებულებით გამოირჩევა.

ლატონის აუზის მოედნიდან ცენტრალური ხეივანია გადაშლილი. ამ კუთხეებში ბოსკეტებისა და ქანდაკებების მცირე არქიტექტურული ფორმები მოხდენილად ერწყმიან მერქნიან მცენარეთა კომპოზიციებს. ლატონის აუზთან ორი გვერდითი განშტოებით გადაშლილია ფართო ხეივნები, რომელთა სივრცე ბოსკეტებითაა ჩაკეტილი. მოპირდაპირე მხარეს (დასავლეთით) მწვანე ხალიჩაა. ამ მოედანზე და მთავარ ხეივანში მერქნიან მცენარეთა კომპოზიციებს ქანდაკებები და ხუროთმოძღვრული ფორმები ჰარმონიულად ეხამება. აქ არსებულ ქანდაკებებს ახლო მანძილზე ადამიანის მასშტაბური ზომები გააჩნიათ, თანდათან მოშორებით კი მაღალტანიანი მცენარეების ფონზე მცირდებათ, თუმცა ბოსკეტთან თუ ვერტიკალურ სიბრტყესთან ჰარმონიულად არიან შერწყმულნი. მცენარის (ბოსკეტი) და ქვის (ქანდაკება) დეკორაციული კავშირი შედარებით მაღალმხატვრულია, ვინაიდან თეთრი მარმარილოს ქანდაკებებით თითოეულისათვის განკუთვნილ ნიშშია მოთავსებული.

ცნობილია, რომ ამ უბნის მთავარ ღერძზე დაგეგმარებულია ისეთი ელემენტები, როგორცაა მწვანე ხალიჩა ანუ სამეფო ხეივანი. ეს ერთი და იგივე სახელწოდება წარსულში სამეფო ხეივნი იყო ცნობილი, ამჟამად კი მწვანე ხალიჩის სახელწოდებით შეიცვალა, რაც პარკის თაყვანისმცემლების სინანულს იწვევდა; ვინაიდან წინანდელი სახელწოდება როგორც დეკორაციული და სადიდებელი მნიშვნელობით, ასევე არქიტექტურული ფორმითა და ფუნქციონალური დანიშნულებით მეფის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ასახავდა. მაგალითად, ხეივნის დასაწყისში ლატონის აუზია განლაგებული, ხოლო ხეივნის დასასრულს ლატონას ვაჟიშვილის — მეცნიერებისა და ხელოვნების ღმერთის აპოლონის ქანდაკებაა, რომელიც ფაქტიურად ლუდოვიკო XIV-ს განასახიერებდა.

ვერსალის არქიტექტურულ მოკაზმულობაში მზის კულტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. თვით ლუი XIV-ს მზესა და ღმერთს უტოლებდნენ და „მეფე-მზე“ ცდილობდა ვერსალის სასახლისა და



პარკის ღმერთის სამყოფელად გადაქცევა. მზის სიმბოლური გამო-  
სახლება და ლუდოვიკოს პიროვნება განყოფილად ერთმანეთს ერ-  
წყმის. სასახლისა თუ პარკის უმეტეს განყოფილებებში, სადაც დე-  
კორაციულ სამკაულად მზეს იყენებდნენ, ლუი XIV იყო ნაგუ-  
ლისხმევი, ხოლო იქ, სადაც მეფის სურათი ან ლუდოვიკოს ფიგურ-  
ააა შექმნილი, სიმბოლურად მზის დიდებასთანაა შედარებული. თვალ-  
საჩინოებისათვის ეს თემა ძალზედ მკაფიოდაა გამოსახული რო-  
გორც სასახლის ინტერიერში, ასევე პარკის ელემენტებშიც. მაგა-  
ლითად, ლუი XIV-ის ცხოვრებას სიმბოლურად მზის ღმერთი აპო-  
ლონის შადრევანი ასახავდა. სასახლის მოკაზმულობის მთავარი სა-  
მკაულია მეფის ემბლემა, რომელიც ჰელიოსის პირისახეს გამოხა-  
ტავდა; დიდებული ლატონის შადრევანი მზის ღმერთთანაა დაკავ-  
შირებული; სამეფო ხეივანი დიდებული იერით მეფის განდიდებათან  
ეყო დაკავშირებული; ერთ-ერთ სკულპტურულ კომპოზიციაში ურ-  
ჩხული ღმერთის მშვილდითაა განგმირული. სეირნობის შემდეგ მე-  
ფის დასასვენებელი ადგილი „აპოლონის აბანოები“ იყო; ვერსალში  
საბი მაგისტრალური გზა უერთდება იმ მოედანს, რომლის ცენტრ-  
ში ცხენზე შემჯდარი ლუდოვიკოს ფიგურაა აღმართული; მზის  
ღმერთის აპოლონის სხვადასხვა დეკორაციულ და ისტორიულ ჟანრ-  
ში გამოსახვა იდურად ლუდოვიკო XIV-ის პიროვნების განდიდე-  
ბასთან იყო დაკავშირებული.

სამეფო ხეივანი, ე. ი. მწვანე ხალიჩა, მაღალტანიანი კოხტად  
გაკრეჭილ ხეივანშია მოქცეული. ხეივანს რითმულად განლაგე-  
ბული მარმარილოს ქანდაკებები ამშვენებს. პარკის ეს ცენტრალურ-  
ი ნაწილი მწვანე მოლის მთავარ ღერძზეა განლაგებული და მცი-  
რე არქიტექტურული ფორმების შეთანაწყობით, პლასტიკურობითა  
და სინაზით გამოირჩევა. სამეფო ხეივანსა და მწვანე ხალიჩას  
ვევრდებზე პერპენდიკულარულად და პარალელურად მრგვალი ხეი-  
ვანი ჩაუდის, რომელიც ცალკეულ ბოხკეტებს აკავშირებს. მათ გა-  
დაკვეთაზე, როგორც წესი, შადრევანი ან მცირე არქიტექტურული  
ფორმებია აღმართული. ერთ-ერთ ასეთ გადაკვეთაზეა მომცრო შად-  
რევნები, რომელთაც ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სკულპტურები ამ-  
შვენებს. ოთხი ნიჭიერი მოქანდაკის სკულპტურები წელიწადის  
დროთა ხასიათს გადმოგვცემენ. მაგალითად: ტუბის ქმნილება „გა-  
ზაფხული — ფლორა“, რენოდენის „ზაფხული — ცერერა“, მარსის  
„შემოდგომა — ვაკნი“ და ჟირარდონის „ზამთარი — სატურნი“. შად-  
რევნები იმდენად პატარაა, რომ შორიდან მნელად გასარჩევია. მიუ-

ხედავად მასშტაბური სიმცირისა შადრევნები მოხდენილად აღ-  
ლაგებული ბოსკეტების სივრცეში. რაც შეეხება ბოსკეტებამდე არ-  
სებულ ცაცხვის, წაბლისა და თელის ხეივნებს, ისინი უნდა შეიწარ-  
მონენ ერთმანეთს, რომ მწვანე გვირაბის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

სამეფო ხეივანი, რომელსაც რაბატის სახის მწვანე ხალიჩა გას-  
დევს, სიგრძით 600 მეტრია, ხოლო სიგანით 60 მეტრი. მწვანე ხა-  
ლიჩის დასასრულს ვრცელი მოედანია გადაშლილი, სადაც ცნობი-  
ლი აპოლონის აუზია განლაგებული.

აპოლონის აუზი ოვალური ფორმისაა. მისი კომპოზიცია მხატ-  
ვარმა ლებრენმა შეადგინა, ხოლო 1670 წელს მოქანდაკე ტუბიმ  
აპოლონის ფიგურა და შემადგენელი სკულპტურები გამოქმნა.  
აპოლონის აუზი ვერსალის პარკის ქანდაკებათა შორის ერთ-ერთ  
შედევრს წარმოადგენს. წყლის ზედაპირიდან აღმართულია ოთხი  
ცხენისაგან შეკავშულ ეტლში მჯდომი აპოლონი, რომელსაც საყვი-  
რითა და ნიჟარებით მოღერებული ტრიტონები გარს არტყია. აუზის  
გვერდებიდან შადრევანი ჩქეფს, ხოლო აპოლონის უკან თითქოს  
ზღვა არის გადაშლილი — ცისფერი წყლის ხალიჩა მოხდენილ ფონს  
ქმნის. ვერსალის სკულპტურული ანსამბლების მწკრივში აპოლონის  
შადრევანი ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია.

აპოლონის აუზის მოედნიდან დიდი წყლის არხი იღებს საწყ-  
ისს. იგი 1600 მეტრზე ცისფერი წყლის ხალიჩის იერს ქმნის,  
რომელიც ცის ჰორიზონტს უკავშირდება და ჰაეროვანი ხედი განუ-  
სახვლველ სიღრმეში იკარგება. ამ ხედის ერთადერთი ჩამკეტი  
ელემენტი ალვის ხეები, რომლებიც ჰორიზონტის ფონზე ამყაფა  
დგანან. ამ ალვის ხეების ჯგუფს „სამეფო ცხაურები“ შეერქვა.

ვერსალის სასახლიდან 3-კილომეტრიანი ჰაეროვანი პერსპექ-  
ტივის ხილვისას მართალია ჰორიზონტის მიღმა აღარაფერია, მაგ-  
რამ აქაც ლენოტრის შემოქმედების წყალობით სასახლიდან მთე-  
ლი სამყაროა გადაშლილი. მსოფლიო ბაღ-პარკების ხელოვნებაში  
ასეთი უნიკალური ხედი ვერსალის პარკის გარდა არსად მოიძებ-  
ნება.

ვერსალის ხეივნებში სეირნობის დროს ლაფონტენი თავის ნა-  
წარმოებს ფსიქეასა და კუპიდონის სიყვარულს უკითხავდა მეგო-  
ბრებს: ბუალოს, რასინსა და მოლიერს. გრანდიოზული შადრევნე-  
ბისა და ბოსკეტების მშენებლობით აღფრთოვანებული ლაფონტენი  
საერთოს პოულობს პარკში გამეფებულ განათებასა და ლუდოვიკო  
XIV-ს შორის, რომელმაც თავის სიმბოლურ გამოსახულებად და დე-  
ვიზად მზე შეარჩია.



აპოლონის აუზს მოლის წარბი დაჰყვება, რომელიც კლასიკური გეომეტრიული ფორმის გამოსახულების გაძლიერებას იწვევს. აპოლონის აუზს უზარმაზარი მოედანი აკრავს, რომელიც მსხვილმარცვლიანი ქვიშითაა დაფარული. უნდა აღინიშნოს, რომ პარკის გზა-მოედნების აღსადგენად ყოველწლიურად დიდი რაოდენობის ინერტული მასალა შეჰქონდათ, ვინაიდან ტერიტორიის დიდი ადგილი ჭაობს ეკავა და ამოშრობის შემდეგ მიწის ჰორიზონტი კვლავ ქვევით იწვედა. საჭირო იყო ქვიშის სისტემატურად შეტანა. ამიტომ, რომ ყოველ გაზაფხულზე გზა-მოედნებზე და ხალხის თავშეყრის ადგილებში უამრავ მსხვილმარცვლიან ქვიშას ყრიან, მაინც პარკის მიდამო გაჟღენთილია ტენით და აქა-იქ სპეციფიური სუნიც სუფევს. მიუხედავად არასასიამოვნო შეგრძნებისა მნახველის ყურადღებას იპყრობს აპოლონის აუზის ირგვლივ ვრცელი, ნახევარწრიული მოედანი, რომელიც მერქნიან მცენარეთა რკალშია მოქცეული. ამ მცენარეების ფონზე მოედნის პერიფერიულ რკალს დაჰყვება რითმულად განლაგებული ჰერმების სკულპტურული ჯგუფი, რომელიც თემატურად წელიწადის თვეებს ასახავს. ჰერმები მხატვარ ნ. პუსენის ესკიზებითაა შექმნილი. თითოეული ჰერმა პატარა ტუმბზეა განლაგებული და ქვიშიდან ამოზრდილი სკულპტურული სამკაულის შთაბეჭდილებას ტოვებს.


1663 წ. არქიტექტორმა ლევომ პარკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სამხეცე მოათავსა. შენობა რვასვეტიან უზარმაზარ ოთახს წარმოადგენდა, რომელშიც გარეული ცხოველებისა და ფრინველების ვოლიერები იყო განლაგებული. მოედანი მარაოსებურად იყო დაგეგმარებული, რომელიც რადიალურად განლაგებული შვიდი ეზოსაგან შედგებოდა. სამხეცეს ესთეტიკური დანიშნულების გარდა ნაწილობრივ სამეცნიერო დანიშნულებაც ჰქონდა. აქ არა მარტო ზრდიდნენ და უვლიდნენ ეგზოტურ ცხოველებს, არამედ ნაკლებად ცნობილ სახეობებზე დაკვირვებასაც ახდენდნენ. ამ კუთხის ზშირი სტუმრები იყვნენ, მოქანდაკეებიც, რომლებიც ცხოველურ ქცევებს აკვირდებოდნენ და ნატურაში აღქმული მომენტები თავიანთ შემოქმედებაში გადაჰქონდათ. მოვლიანებით ტერიტორიის გადაკეთებამ ცხოველთა კოლექციის გადატანაც გამოიწვია მით უმეტეს, რომ ამ კუთხის ხილვით დიდად სტკებოდა ბურგუნდიის ჰერცოგის ახალგაზრდა ასული. ამიტომ მეფემ გასცა განკარგულება სამხეცე ახალ ადგილზე აეშენებინათ. ორი შესანიშნავი პავილიონი აიგო დიდი წყლის არხის პატარა შენაკადის სამხრეთით.

ვერსალის პარკის მეორე განყოფილება უზარმაზარი ჯვრისებური ფორმის წყლის დიდი არხიდან იწყება. აქ მთავრდება საპარკო ნაწილი (პირველი განყოფილება) და მერქნიან მცენარეთა კონტაკომპოზიციები ბუნებრივი შეთანაწყობით ტყე-პარკის ლანდშაფტურ ნაწილში გადადის. ამ ადგილებში მუხნარის დიდი მასივებია და უზარმაზარ მცენარეულ დაჯგუფებაში სკულპტურები და მცირე არქიტექტურული ფორმები აღარ შეიმჩნევა. ახლაც შემორჩენილია გზა-ბილიკები და სპეციალური მოედნები, რომლებიც ცხენით მოსიარულეთათვის იყო განკუთვნილი. აქ არსებული რადიალური ხეივნები და მათი ურთიერთგადაკვეთები, რომლებიც პროპორციული სიგრძე-სიგანით გამოირჩეოდნენ და რომლებიც ევროპის პარკმშენებლობაში ადრე არსად არ ყოფილა გამოყენებული, ლენოტრმა ვერსალის პარკში პირველად მოხდენილად ადგილმდებარეობას შეუხამა. თითოეული გადაკვეთილი ხეივანი საპარკო განყოფილებებს უკავშირდება და ისევე ხალხის თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. ასეთი მყუდრო მოედნები და მცენარეული ფანჯატურები გარემო ბუნებას ინტიმურს ხდიდა.

1671 წელს პარკის შუა ტერიტორიაზე, იქ, სადაც საკომპოზიციო ღერძი აპოლონის აუზს შუაში ჰკვეთს, ჯვრისებური ფორმის წყლის დიდი არხი იქნა აგებული. არხის სიგრძე 1600 მეტრია, ხოლო სიგანე 120 მეტრი. წყლით კვება 50 კილომეტრით მოშორებული სენისა და ეროს მდინარეებიდან ხდებოდა. წყალს ქანავდნენ 221 მექანიკური ტუმბოს საშუალებით, რომლებსაც მოქმედებაში მოჰყავდა შადრევნები. ასეთი დიდი დანადგარის ამუშაება იმ დროისათვის უზარმაზარ ტექნიკურ მოვლენად ითვლებოდა. წყლის არხი გემარების საკომპოზიციო ღერძზეა განლაგებული და პარკის უკიდევანო სივრცის ერთგვარი გაგრძელებაა. არხს ტექნიკური დანიშნულების გარდა დეკორაციული მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი პარკის ძირითადი ელემენტია. მისი წყალობით ჰორიზონტალური წყლის სიბრტყე ჰარმონიულად ერწყმოდა ბუნებას და შორეული სივრცით პერსპექტივას ქმნიდა, რაც მეტად აუცილებელი პირობა იყო პარკის მთავარი არქიტექტურული ელემენტების თვალსაჩინოებისა და საპარკო ილუზიების შესაქმნელად. მიუხედავად მნიშვნელოვანი მანძილით დაშორებისა, არხიდან სასახლემდე ვრცელი მწვანე მოლი, აპოლონისა და ლატონის შადრევნები, მცირე არქიტექტურული ფორმები შესანიშნავად ერწყმიან მცენარეულ საფარს და, რაც მთავარია, ვერსალის სასახლეზე ბრწყინვალე ხელია გადაშლილი. რაც



ვერსალის სასახლე



ყვეილნარის პარტერი



ქართული  
ენათმეცნიერება



წყლის პარტერი



სამხრეთის პარტერის შესასვლელთან



ლატონის აუზი




აპოლონის აუზი



ორანჟერის მოედანი და შვეიცარული ტბა




პირამიდული შადრევანი



მარია ანტუანეტას სოფელი, დედოფლის სახლი




წისქვილი ლანდშაფტური პარკის ნაწილში




ბელედერი პარკის ლანდშაფტში



დიდი ტრიანონის სსსახლე



დიდი ტრიანონის პარტერი



სიყვარულის სასაუბრო



მცირე არქიტექტურული ფორმა



პატარა ტრიანონის დიდი ღარბაზი

შეეხება ხედს, რომელიც სასახლიდან შეინიშნება, უზარმაზარ მცენარეულ საფარში ჯვრისებური ფორმის არხი შუალედ ღერძზეა დადგენილი და იმდაგვარადაა განლაგებული, რომ მისი სივრცის სივრცეს უახლოვდება და ცის უსასრულობას ერწყმის.

დიდი წყლის არხის სანაპირო მარმარილოსა და გრანიტის ფილებითაა მოპირკეთებული. იგი იმდენად ღრმა იყო, რომ მდინარის ტიპის ხომალდები დაცურავდნენ. არხზე სეირნობისათვის სპეციალურად ვენეციიდან გონდოლები გამოიწერეს და ამ ევზოტიკის გასაძლიერებლად გონდოლიორებიც კი მოიწვიეს. ვერსალის დღესასწაულები და სამეფო მეჯლისები ხშირად არხზე სეირნობით გრძელდებოდა.

აპოლონის აუზთან ვრცელ მოედანს რვაწახნაგოვანი აუზი ემიჯნება, რომელიც წყლის დიდი არხის საწყისი ელემენტია. ამ რვაწახნაგოვანი აუზის სიგრძე 620 მეტრია, ყველაზე ვიწრო ყელში სიგანე 62 მეტრს აღწევს, ხოლო დიდი არხის დასასრულს 124 მეტრია, რათა სამეფო გემები სანაპიროს თავისუფლად მიახლოვებოდნენ. დიდი არხის შუა წელში შედარებით პატარა (75 მეტრის) მართკუთხად განლაგებული მეორე არხია. წყლის უზარმაზარ ანსამბლში დიდი არხი ჯვრისებური ფორმისაა და სანაოსნო გზით მეზობლად მდებარე მენაჟორისა და ტრიანონის პროვინციებს აკავშირებდა.

ლენოტრის გენიის გამარჯვებას მიეწერებოდა დიდი წყლის არხის შექმნა და პარკის უზარმაზარ მცენარეულ საფარში მისი მოხდენილად განლაგება. ვერსალის პარკის ტერიტორიაზე ჯვრისებური დიდი წყლის არხს 23 ჰექტარი უკავია და 441 ათასი კუბ. მეტრი წყალტევადობისაა. ამდაგვარი მოცულობის წყლის სივრცე მსოფლიოს არც ერთ პარკში არ მოიპოვება.

ვერსალის პარკში წყლის პარტერისა და აუზების შესავსებად სპეციალური აკვედუკი იყო მოწყობილი. პარკის უამრავი შადრევანისა და კასკადის ასამოქმედებლად უზარმაზარი წყლის ნაკადისა და გარკვეული მექანიკური წნევის შექმნა იყო საჭირო. ამიტომ, წყლის მომარაგება ვერსალთან ახლოს მდებარე კლანის პროვინციიდან გადაწყვიტეს, რომელსაც მდინარეები ჟუინი და ლუარა ჩაუდის. რადგან პარკიდან წყლის კვების კერა გარკვეული მანძილით იყო მოშორებული, ამიტომ უშუალოდ პარკის ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილას მაღლივი წყლის კოშკის რეზერვუარი დადგეს,

რომელსაც მოქმედებაში მოჰყავდა ვერსალის პარკის 1400 შადრევანი და ამდენივე აუზი.



## დიდი ტრიანონის სასახლე

ვერსალის სასახლე და პარკი დღესასწაულებისა და საზეიმო ცერემონიალთა ჩატარებას ემსახურებოდა, სადაც გაუთავებელი ორგეები ხშირად რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ამიტომ ლუდოვიკო XIV-მ განიზრახა ვერსალის ახლოს მყუდრო პარკისა და სასახლის აგება. მშენებლობა მეზობლად მდებარე ტრიანონის პროვინციაში გადაწყდა.

1670 წელს არქიტექტორმა ლევომ ტრიანონის ადგილზე პატარა სასახლე ააგო — ფაიფურის ტრიანონი (ტრიანონ დე პორსლიენი), რომელიც ლუი XIV-მ ქალბატონ მონტესპანს უსახსოვრა. ეს არქიტექტურული შედეგრი ფრანგული ხუროთმოძღვრების დიდებულ ტრიუმფს წარმოადგენდა. გადმოცემით, ზღაპრული შენობა მეტად ჰაეროვან და მომხიბლავ შთაბეჭდილებას ტოვებდა, შენობის სახურავი მოოქრული თუთიით იყო გადახურული, ხოლო კედლის დეკორაციული მოკაზმულობა და მთლიანად შენობა თეთრი, ცისფერი და ყვითელი ფაიფურისაგან იყო აგებული. სასახლის ინტერიერისა და ექსტერიერის გარკვეული ნაწილი ფაიანსის მინით იყო მოპირკეთებული. ლარნაკები და სკამები მოხდენილად ერწყმოდა ბუნებას, ხოლო მცენარეული მასივების ინტიმურ კუთხეებში მცირე არქიტექტურული ფორმები გვეგმაზომიერად იყო განლაგებული. აქვე, ღამაზად აგებულ ორანჟერეაში მრავალი იშვიათი მცენარე იყო. ამ კუთხეს „ფლორას პავილიონს“ უწოდებდნენ. სამწუხაროდ, დროის ბედუკუდმართობით ეს შენობა დაინგრა.

მოგვიანებით, 1687 წელს, ლუდოვიკოს მითითებით ეს ადგილები მნიშვნელოვნად გადაკეთდა, პატარა სასახლის ნაცვლად ერთსართულიანი სასახლე ააგეს, რომლის ფასადი სვეტებისა და თაღოვანი სარკმელების დეკორაციული მწკრივისაგან შედგებოდა. ეს შენობა ფრანგული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლია, ხოლო დიდი ტრიანონის პარკი — საფრანგეთის საპარკო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში. სასახლის ავტორებმა მანსარმა და დე კოტმა შენობის ფასადი ვარდისფერ და მწვანე მარმარილოში ჩასვეს, რომელიც ზოგიერთ ადგილას ხელახლა ფაიფურით მოაპირკეთეს. ფერადი სამშენებლო მასალის გამოყენებამ სასახლე კიდევ უფრო მოხდენილი



გახდა. ამით, ნაგებობამ დიდად მოიგო და სპეციალისტების უმრავ-  
 ლესობა უპირატესობას დიდ ტრიანონს ანიჭებდა, ვიდრე საქვეყნო  
 აღიარებულ დიდი ვერსალის სასახლეს. ტრიანონის სასახლეს  
 დენილად ეხამებოდა მცირე არქიტექტურული ფორმები, როგორი-  
 ცაა: ლარნაკები, ქანდაკებები, რომლებიც ჩინურ სტილში ფაიანსით  
 იყო მოჭიქული. არქიტექტურული კომპოზიციითა და მცენარეული  
 საფარის მხატვრული დაჯგუფებით დიდი ტრიანონის სასახლესა  
 და პარკში ინტიმური ხასიათი უფრო მეტად იგრძნობოდა, ვიდრე  
 ვერსალის დიდ პარკში.

დიდი ტრიანონის სასახლის გადაკეთების დროს ლენოტრის  
 მიერ პარკის რეკონსტრუქციაც მიმდინარეობდა. თუ გავეცნობით  
 დიდი ტრიანონის გეგმას, დავრწმუნდებით, რომ პარკი წმინდა გე-  
 ომეტრიულ ანუ ფრანგულ სტილშია დაგეგმარებული. რაც მთავა-  
 რია, თუ ვერსალის პარკი სასახლისაგან სიგრძეშია გადამლილი,  
 დიდ ტრიანონში პარკის დაგეგმარება სიგანეში მოხდა. ეს შეგნე-  
 ბულად არ გაკეთებულა, ვინაიდან ტრიანონის პარკი დაიკვალა  
 ვერსალის ორ რადიალურ ხეივანსა და მაგისტრალურ გზებს შო-  
 რის, ხოლო სამხრეთიდან დიდი არხი და ხეივნები გაფართოების  
 საშუალებას აღარ იძლეოდა.

ქალაქ ვერსალიდან დიდი ტრიანონის სასახლემდე ლარივით  
 სწორი ქუჩა მიემართებოდა, რომელსაც ტრიანონის გამზირს უწო-  
 დებდნენ. ბაღის მხრიდან სასახლეზე შესანიშნავი პერსპექტივა  
 გადამლილი. სასახლის წინ ორი კვადრატული ფორმის უზარმა-  
 ზარი ყვავილნარი ოღნავ შემადლებულ რელიეფზეა მოწყობილი და  
 სასახლეს გვერდით ფრთებამდე მიჰყვება. ყვავილნარების მოპირ-  
 დაპირედ მაღალტანიანი ცაცხვების ხეივანია გადამლილი, რომე-  
 ლიც წყლის აუზთან აკავშირებს. აუზს ზოგჯერ წყლის სარკეს უწო-  
 დებენ, ზოგჯერ კი მანსარის პლაფონსაც. აუზის გვერდები პატარა  
 პარაპეტებით არის შემოფარგლული. ამ აუზის ირგვლივ უზარმაზა-  
 რი უბანი შედგება ოთხი ტოლფარდოვანი, გეომეტრიული ფაგუ-  
 რით გამოსახული ნაკვეთისაგან, რომლებსაც ლარნაკები და მცირე  
 არქიტექტურული ფორმები ამშვენებს.

პარკის დაგეგმარების დერძი სასახლეს პარალელურად ჩაუდის  
 და საწყის მდგომარეობას ბაღის ღობიდან ღებულობს. ირგვლივ  
 წარმტაცი ბუნება მოხდენილად ერწყმის მცირე არქიტექტურუ-  
 ლი ფორმების ანსამბლს. აქ კვლავ აუზია შადრევნით, რომელსაც  
 ნახევრად მწოლარე ნიმფები ამშვენებს. ადგილმდებარეობა ოღნავ

შემადლებულია, ხოლო პარტიული მოლი გაკრეჭილი ბუნებითა და ჰერმეტიკითაა გაფორმებული. აუზის სამხრეთით, ცაცხვების ხეივანში, ბალუსტრადისა და ბალასინების მწკრივია, საიდანაც დიდი წყლის არხის ცისფერი ხალიჩაა გადაშლილი. დიდი დღესასწაულების დროს, როდესაც ვერსალის დიდი სასახლიდან ხომალდებით, გონდოლებითა და ნავებით მეფე და მისი ამაღლა მიემართებოდა, ამ ნავსადგურს მიადგებოდნენ ხოლმე. ვერსალის დიდი სასახლიდან ამ მარშრუტით იმოგზაურა პეტრე დიდმა, როდესაც რეზიდენციად დიდი ტრიანონი ჰქონდა გამოყოფილი.

დიდი წყლის არხიდან ტრიანონის პარკის შესასვლელში ნახევრად წრიული მოედანია. ნავსადგური ორი ფართო მარმარილოს კიბით უერთდება მოედანს, სადაც ნახევრად წრიულ აუზში სამი შადრევანი წყლის მაღალ ნაკადს აფრქევს. მანსარმა და ლენოტრმა ღრმად გააზრებული არქიტექტურული დეკორით მორთეს ეს უბანი, ვინაიდან იგი დიდი არხიდან პარკში შესასვლელ ჭიშკარს შეადგენდა, ხოლო არქიტექტურულად — პარკის ლანდშაფტურ ნაწილთან შემაერთებელ დეკორს.

ვერსალის სასახლიდან დიდ ტრიანონამდე სანაოსნო მანძილი 2 კმ-ს აღემატება. დიდი და პატარა არხების გავლით შესანიშნავი ბუნება იშლება. წყლის არხი კეთილშობილი ქვის ქანებით იყო მოპირკეთებული, რომელსაც გზადაგზა სანაპიროზე დარგული დეკორაციულ მცენარეთა კომპოზიციები ამშვენებდა.

ლენოტრმა დიდი ტრიანონის სასახლესთან მდებარე პარკში მერქნიან მცენარეთა მხატვრული ჯგუფები მოაწყო, რომლებიც მყუდრო კუთხეებით გამოირჩეოდა. პარკის სიმყუდროვემ საბოლოოდ განსაზღვრა ინტიმური იერის გარეგანი სახე, რომელსაც დახურული საპარკო კომპოზიციებიც აძლიერებდა. მნახველი მოწმე ხდებოდა მოულოდნელად გახსნილი, ზოგჯერ დახურული ჰაეროვანი პერსპექტივებისა. ეს ახალ-ახალი, სრულიად განსხვავებული ხე-ბუჩქნარი და ყვავილოვანი მცენარეების განწყობა ლამაზად ერწყმოდა საპარკო არქიტექტურულ ფორმებს, რაც საერთო ჯამში ერთგვარ გაოცებას იწვევდა. ლენოტრის მიერ შექმნილი ასეთი მოულოდნელი კომპოზიციები ემოციურად დიდ ზეგავლენას ახდენდნენ მნახველებზე, ამიტომ ამდაგვარ ლენოტრისეულ უბნებს საპარკო სიურპრიზები („ახ, ახ“) დაერქვა.

ლენოტრის შემოქმედებაში დიდი ტრიანონის პარკი გადაიქცა ფრანგული საპარკო ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლად. იმხანად გან-

ვითარებულ ქვეყნებსა და სახელმწიფოებში ტრიანონის პარკის მასობრივი მიბაძვა დაიწყო. საქვეყნოდ აღიარებული იყო, რომ მსოფლიოში არსად არ მოიპოვებოდა მცენარეული ფორმებისა და შენობის ბუნებასთან ჰარმონიული ერთიანობა, ხოლო არქიტექტურასა და უბნების ელემენტებს შორის შესანიშნავი შერწყმა იმდგვარად, როგორც ეს ბრწყინვალედ ჩამოყალიბდა და აისახა დიდი ტრიანონის პარკში.

## მარლის სასახლე

დიდი ტრიანონის წყნარი, დასვენებისათვის განკუთვნილი სამეფო რეზიდენცია გაუთავებელი დღესასწაულებისა და დათვალეერებების კუთხედ გადაიქცა. ლუი XIV დიდ ტრიანონშიც ვერ პოულობდა სულიერ სიმშვიდეს, რომელსაც ესოდენ ამონდომებით ეძებდა შესანიშნავად აგებულ სასახლესა და პარკში. ამიტომ, იგი განკარგულებას იძლეოდა პირადი და ოჯახის წევრთა სარგებლობისათვის პარიზის ახლოს გააშენონ მარლის სასახლე და ბაღი. მარლის ბაღი უნაყოფო და ჭაობიან ტაფობში გაშენდა, სადაც ბუნებრივი მცენარეულობა ნაკლებად იყო გავრცელებული და აქა-იქ გორაკებით იყო შემოფარგლული. ჭაობებს შორის დარჩენილ ველმინდვრებზე საკმაოდ მუნწად მოჩანდა ბუჩქისა და ხის ნარგაობა. სენ — სიმონის გადმოცემით, ლუდოვიკომ მიზნად დაისახა ამ უნაყოფო არემარის ვაკეთილშობილება და მასზე გამარჯვება. მარლის სამეფო რეზიდენციაში, ვერსალის სასახლის სამეფო კარისაგან მოშორებული, ის სულიერ სიმშვიდეს პოულობდა. ლენოტრმა და მანსარმა გადაწყვიტეს ბუნებისა და არქიტექტურის ერთ მთლიანობაში მოქცევა. მარლის ბაღი მართლაც დიდებულია, ხოლო პატარა სასახლე არქიტექტურული პავილიონის ელემენტს უფრო წააგავს.

მარლის ბაღის დაგეგმარება გეომეტრიულ სტილშია გადაწყვეტილი. მისი დაგეგმარების საკომპოზიციო ღერძი ტერიტორიის შუა წელში გადის, სადაც არქიტექტურული ძეგლები და საპარკო ანსამბლის ელემენტებია თავმოყრილი. აქედან იწყება შენობისა და ბაღის განყოფილებების კანონზომიერი განაწილება, რომელიც ბაღის არქიტექტურული და საპარკო ანსამბლის მთლიანობას დამთავრებულ იერს აძლევს. მომავალი ბაღის აგება მანსარსა და ლენოტრს ღრმა გაანალიზებით გადაუწყვეტიათ, ენაიდან მთავარი საკომპოზიციო ღერძი ბაღის ცენტრალური ზოლია, რომელზედაც აგებულია: სასახ-

ლე და მისი დამხმარე ნაგებობები, ცენტრალური აუზი და მთავარი შადრევნები, პარალელურად განწყობილი ხეივნები, მცირე არქიტექტურული ფორმები, ცენტრალური პარტერი და მთავარი ყვავილნარები, ხოლო ტერიტორიის საკომპოზიციო მთავარ წერტილს სასახლე წარმოადგენს, სადაც თავს იყრის ყველა ძირითადი და შემადგენელი ელემენტი. ბაღის საერთო ანსამბლში საკომპოზიციო ღერძმა და წერტილმა ორგანული კავშირი დაამყარა, იგი საერთო მთლიანობაში შეკრულია და საბალო არქიტექტურული კომპოზიციით დასრულებულ სახეს ღებულობს.

ნახევრად ელიფსური გარშემოწერილობის ველზე ძველი სასახლეა განლაგებული. აქ არსებული მთა-მალლობი ადგილებიდან ფართო კასკადური არხით ჩაედინება წყალი, რომელიც ნახევრად მომრგვალებულ აუზში იყრის თავს. ამ აუზის გარშემო ყვავილნარები და მცირე არქიტექტურული ფორმები მეტად სასიამოვნო კუთხეს ქმნიან. სასახლის მეორე მხარეს ვრცელი მოედანი და წყლის პარტერებია გადაშლილი. ექვს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ტერასზე განლაგებული ეს ელემენტები თანდათან ქვევით ეშვებიან, ხოლო მარმარილოთი მოპირკეთებული აუზები ერთმანეთთან საფეხურიანი კასკადებითაა დაკავშირებული. თითოეულ შადრევანსა და კასკადს თავისი სახელები ერქვა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა აგრიპინის შადრევანი, თეატრი და სოფლის კასკადი.

მარლის სასახლე მცირე ტერასზეა განლაგებული, რომელსაც გვერდებზე ორი ცაცხვის ხეივანი ჩაუდის. აქვე თითოეულ მხარეზე ექვს-ექვსი პროპორციულად ნაგები სამომსახურებო შენობაა, რომლებიც ერთმანეთს სქელვარჯიანი გაკრეჭილი ბოსკეტებით უკავშირდება. სასახლიდან კარგად ჩანს მთავარ ღერძზე განლაგებული საპარკო ელემენტები და უკანასკნელი ტერასის ბალუსტრადებიც. ამ ბალუსტრადის მოაჯირთან უკანასკნელ ტერასაზე ფიგურულ აუზს სამი შადრევანი ამშვენებდა. აქედან წყალი ტბაში იღვრებოდა, სადაც წყლის დასაღვრად ცხენები მოჰყავდათ. ამ უბანზე მოქანდაკეების კვაზევოქსისა და კუსტუს ქმნილებებია აღმართული.

ყვავილნარები და ვრცელი მოლის პარტერები სასახლისა და ბაღის ცალკეულ უბნებს დიდებულ იერს ანიჭებდა. ბაღის დაგეგმარება, იმდენად კარგად იყო გადაწყვეტილი, რომ წყლის ელემენტები, რომლებიც უხვად იყო წარმოდგენილი აუზების, წყალვარდნილების, კასკადებისა და შადრევნების სახით, ცალკე ფორმით კი არ იყვნენ გადაწყვეტილნი, არამედ ჰარმონიულად ერწყმოდნენ და

არქიტექტურულ საპარკო ანსამბლს აერთიანებდნენ. მიუხედავად სასახლის პატარა მოცულობისა და ბაღის ტერიტორიაზე გაბნეული დამხმარე შენობა-ნაგებობებისა, მერქნიან მცენარეთა უზარმაზარ მასივში პროპორციული და თანაფარდობითი წონასწორობა იყო დამყარებული. შენობები ერთმანეთთან ტოპიარული ხელოვნებით სქელვარჯიანი გაკრეჭილი მცენარეების ბრწყინვალე ნიმუშებით იყო დაკავშირებული, რომლებსაც დიდი გემოვნებით განლაგებული მცირე არქიტექტურული ფორმები ამშვენებდა. მარლის სასახლის ფასადს შუა ღერძზე გასდევდა 40-მეტრიანი ყვავილნარის პარტერები. ბაღი ყვავილნარების დიდი ნაირფეროვნებით გამოირჩეოდა, რომლებსაც ხე-ბუჩქების ხელოვნურად გაკრეჭილი ბოსკეტები ენაცვლებოდა. ვინაიდან სასახლე და ბაღი აგებულია ტყის მეჩხერი მასივის გვერდით, პატარა ტერასზე, საერთო კომპოზიციაში არ შეიმჩნეოდა დიდი სივრცითი და ხაზოვანი პერსპექტივები. საკომპოზიციო ელემენტებიც, როგორცაა: ხედვის მოედნები და წერტილები ნაკლებად იყო გამოყენებული. საპარკო კომპოზიციებისა და ელემენტების ნაკლებობამ და გადაუტვირთველობამ მარლის ბაღს ინტიმური და მყუდრო იერი მისცა. თუმცა, ბედის უკუღმართობით და დროის ჟამბედობით ბაღს მოგვიანებით აღრინდელი სახე დაეკარგა, ხოლო რევოლუციის დღეებში ამბოხებული ხალხის ნაკადმა პარტერის დიდი ნაწილი გათელა და ბაღი გააპარტახა. მხოლოდ აქა-იქ შემორჩა ხეივნები, ნაშთი ძველი საბაღო ძეგლისა, რაც მიგვანიშნებს, რომ წარსულში არსებობდა საპარკო ხელოვნებისა და ფრანგული არქიტექტურის განუმეორებელი ნიმუში.

## ტოპიარული ხელოვნება

ვერსალის პარკის მცენარეული საფარი დიდი სახესხვაობითა და ნაირფეროვნებით ხასიათდებოდა. საფრანგეთის ენდემურ და ბუნებრივ ჯიშებს მრავალი საბაღო ფორმა და უცხოეთის ქვეყნებიდან აკლიმატიზებული ხე-ბუჩქები ენაცვლებოდა. ხასხასა და ვრცელი მოლი ნაირფერადოვანი ყვავილებით იყო დამშვენებული. ყვავილნარები ფრანგულ საბაღო ხელოვნებაში უკვე დანერგილი ასორტიმენტისაგან შედგებოდა. ტანმაღალი მერქნიანი მცენარეებისაგან პარკის უზარმაზარი მასივები და ხეივნები იქმნებოდა. საპარკო ნაგებობებთან ხშირად ტანმაღალი ხეები მერქნიან მცენარეთა კომპოზიციების, დეკორაციული იარუსებისა და მოხდენილი მხატვრული

ჯგუფების სახით ირგებოდა. უყურადღებოდ არ იყო დატოვებული კრეჭვის ამტანი და ხშირფოთოლებიანი ვარჯიანი ხეები და ბუჩქები, როგორცაა: ბზა, უთხოვარი, ჭანჭყატი, კვილო, ტუია, ~~დეიანი~~ და სხვ. ტოპიარული ხელოვნების გამოყენებით ბოსკეტიბი-გეომეტრიული ფიგურები და ამ ხელოვნებისათვის დამახასიათებელი შესანიშნავი ნიმუშები შეიქმნა.

ტოპიარული ხელოვნება დეკორაციული მებაღეობის ერთ-ერთი დარგთაგანია, რომელიც უხსოვარი დროიდან იტალიაში ჩაისახა. ტოპიარული ხელოვნების სამშობლოდ უძველესი რომი ითვლებოდა, სადაც მებაღეობისა და მებოსტნეობის ოსტატები მოხდენილი კრეჭვის შედეგად ხშირ დატოტიანებულ მცენარეებსა და სქელვარჯიან ნარგაობას ნაირგვარ დეკორაციულ ფორმებს ანიჭებდნენ. ზოგიერთი მცენიერი ტოპიარულ ხელოვნებას მცენარეთა არქიტექტურის დარგს აკუთვნებდა და მცენარეთა ქანდაკების ხელოვნების სახელწოდებით იყო ცნობილი.

საბალო-საპარკო ხელოვნებამ რომის იმპერიის განვითარების პერიოდში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. განსაკუთრებით ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო რომაელების საბერძნეთსა და ზოგიერთ აზიურ ქვეყნებზე გამარჯვებამ. ამ სახელმწიფოებიდან უამრავი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში თავს იყრიდა იტალიაში. იმხანად რომის პარკები და ბაღები ბერძნული ხუროთმოძღვრული ელემენტებითა და მცირე არქიტექტურული ფორმებით იყო დამშვენებული, ხოლო ზოგიერთი ღია ცის ქვეშ მოწყობილი მუხეუმის ბაღები მხოლოდ ბერძნული სკულპტურებისაგან შედგებოდა. ამრიგად, საბალო ხელოვნების პარკებში ხელოვნური კრეჭვის შედეგად საფუძველი ჩაეყარა (ქანდაკებების ნიმუშების შეფარდებით) ბოსკეტების, ვერტიკალური სიბრტყეების, ცოცხალი ღობის სხვადასხვა გეომეტრიული ფორმებისა და მრავალი ცხოველური ფიგურის გამოყენას. ეს მცენარის ხელოვნური ნაკეთობა საპარკო ანსამბლის განუყოფელ კომპონენტად გადაიქცა.

ცნობილია რომში არაჩვეულებრივი ხუროთმოძღვრული წესით აგებული სასახლეები, მედიჩის, ლუდოვიზის და ღორია პამფილის სახელწოდებით, რომლებიც ბრწყინვალე პარკებსა და მცენარულ მასივებში იყვნენ ჩასმულნი. ყველა ეს სასახლე და ბაღი კერძო მფლობელებსა და დიდებულ საგვარეულო პირებს ეკუთვნოდათ.

მსოფლიოში ცნობილი ლუკულის, ანტონიუსის, ცეზარისა და სხვათა სახელმძღვანელო ბაღებზე საკმაოდ ძუნწი ცნობები შემორჩა

ჩა. ძველი რომაული საბალო-საპარკო ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ლუკულს, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მოღვაწეობდა. მან მეზობელი ქვეყნებიდან და აზიის სახელმწიფოებიდან იშვიათი და ძვირფასი მცენარეები ჩამოიტანა, რომლებიც დეკორაციული ნიშნისთვის იყენებოდა და ბუნებრივი ამტანობით გამოირჩეოდნენ. მან ამ მცენარეების გადმოტანასთან ერთად ზოგიერთი ნაკლებად ცნობილი დეკორაციული მებაღეობისა და საპარკო მშენებლობის პრინციპიც გადმოიტანა. ლუკულმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 74 წელს მთორიდატეზე გამარჯვების შემდეგ, კერაზუნდიდან ძვირფასი დეკორაციული მცენარეები და მათ შორის ალუბლის ხეები წამოიღო.

რომში ამჟამად არსებობს აღორძინების ეპოქის შემორჩენილი და განახლებული ბაღი, რომელიც სამედიცინო სასახლის სახელწოდებითაა ცნობილი. იმდროინდელი მემკვიდრეების გადმოცემით რომში ლუკულმა შექმნა პირველი საზოგადოებრივი პარკი, რომლითაც ქალაქის ყველა მცხოვრებს შეეძლო ესარგებლა.

მსოფლიოში ცნობილი რომაული პარკები გამოირჩეოდნენ ბრწყინვალე არქიტექტურული დაგეგმარებითა და მერქნიან მცენარეთა კომპოზიციებით. მცენარულ საფარში ყვავილნარებს გარკვეული ადგილი ეკავათ და ხე-ბუჩქებს მოხდენილად ეხამებოდნენ. ცენტრალური ადგილი დათმობილი ჰქონდა მცირე არქიტექტურულ ფორმებს, განსაკუთრებით ქანდაკებებს, რომლებიც ბერძნული სახეითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენდნენ. ამ საპარკო ელემენტებს შორის დიდი ჰარმონია და კანონზომიერება სუფევდა, ვინაიდან მათი დეკორაციული თვისებები დიდი გემოვნებით იყო შეხამებული და დაკავშირებული გარემო ბუნებასთან, როზარაიუმებთან, წყლის სივრცის, აუზისა და შადრევნის ელემენტებთან. ამ საბალო ანსამბლში ტოპიარული ხელოვნების ნიმუშებსაც გარკვეული ადგილი ჰქონდათ დათმობილი. ბაღ-პარკების მფლობელნი ამყობდნენ არა მარტო დიდებული ბაღის იერით თუ ძვირფასი ხე-ბუჩქებით, არამედ სქელვარჯიანი ფოთლოვანი და მარადმწვანე მცენარეებითაც, რომელთაც მაღალოსტატური ხელოვნური კრეჭვის შედეგად სხვადასხვა გეომეტრიული (სფერო, ოვალი, კვადრატი, მართკუთხედი, სამკუთხედი) ფორმა ჰქონდათ მიღებული.

რომაულ ბაღებში დეკორაციული მცენარეებიდან „მერწავდნენ“ და გამოჰყავდათ სხვადასხვა ნიმუში; როგორც იყო: გემი, ცხოველი, ფრინველი, სახლი და სხვ.

საბაღო-საპარკო ხელოვნებაში დეკორაციული მცენარეების ხელოვნური კრეჭვის მამამთავრად მათი ითვლება, რომელიც რომის იმპერატორის ავგუსტუსის დროს მოღვაწეობდა. მათი მუშაობა მცენარეთა კრეჭვისა და ფორმირების ტექნიკა. მისი მოღვაწეობის შემდეგ, დეკორაციული მებაღეობის ამ თავისებურმა მიმართულებამ დიდი განვითარება და გავრცელება ჰპოვა. მათი მამდევარი მცენარეებს ფანტასტიკურ ნაირსახეობას ანიჭებდნენ.

შემდგომ პერიოდში, ვერსალის პარკის შექმნამდე გაცილებით ადრე, ტოპიარული ხელოვნების გამოყენება არნახულ მასშტაბებს აღწევს. მისი ცოდნა, როგორც წესი, სავალდებულო იყო თითოეული მებაღისათვის.

1664 წელს ვერსალის პარკში 3 ათასზე მეტი სხვადასხვა სახეობის და ძვირფასი ჯიშის მცენარე დაირგო. მცენარეულ მასივებისა და ხეივნების შესაქმნელად გამოყენებულ იქნა მერქნიან-ფოთლოვანი ჯიშები: ცაცხვი, თელა, წაბლი, მუხა, იფანი. მარადმწვანე მერქნიანი ხეებიდან დიდი რაოდენობით ირგებოდა: ნაძვი, უთხოვარი, კვიპაროსი, სოჭი, კედარი. აქ ჩამოთვლილ მცენარეთა უმრავლესობა სიმწიფის ასაკში, სიმაღლით 8—12 მეტრისა ირგებოდა. მაგალითად, ვერსალის სასახლესთან ბუნებრივად არსებული მეჩხერი ტყე გაიკაფა და ნორმანდიასა და ფლანდრიიდან გამოწერილი 5-მეტრიანი სიმაღლის რცხილების ხეივნები და ბოსკეტები მოეწყო. მოგვიანებით რცხილის ნარგაობა გაიკრიჭა, რის საფუძველზე მწვანე ვერტიკალურმა კედლებმა და ბოსკეტებმა სასახლის მიმდებარე მოედნები და ხეივნები დაამშვენა.

1668 წელს შეიქმნა სამეფო ხეივანი, სადაც იარუსებისა და ვერტიკალურად გაკრეჭილი კედლებისათვის გამოიყენეს მერქნიანი მცენარეები, როგორცაა: თელა, მუხა, წაბლი და ცაცხვი. სასახლის საანგარიშო წივნის მიხედვით ამ უბანზე მცენარეული მასივების შესაქმნელად დაურგიათ: 47800 თელის ნორჩი ნერგი, 14300 წაბლი, 6350 მუხა და მოზრდილი 4-მეტრიანი სიმაღლის 10340 თელის ნარგაობა.

1668 წელს საფრანგეთის ფლანდრიაზე გამარჯვების აღსანიშნავად ლუი XIV-მ ვერსალის დაუმთავრებელ პარკში სამეფო დღესასწაული მოაწყო. სამი დღე გრძელდებოდა ნადიმი, რომელიც ღია ცის ქვეშ გაიმართა. იქვე შადრევნები ჩქეფდა, ისმოდა სიმღერები, რომელსაც ცეკვები ცვლიდა, ხოლო საღამოობით ფეიერვერკის ზღაპრული სანახაობა იმართებოდა. ერთ-ერთ ბოსკეტში მო-

ლიერის კომედია „უორჟ დანდენი“ უჩვენებს, რომელსაც კომპოზიტორ ლიულის მუსიკა და საბალეტო ინტერმედია ახლდა. თეატრალური სცენა და მაყურებელი ლენოტრისეულ ზღაპრულად გაფორმებულ ბოსკეტში იყო განლაგებული. დღესასწაულმა დიდოფურის მოაზრება, ვინაიდან სტუმრებს, დიდებულთა საგვარეულო პირებსა და მეფის ამალას არ ჰქონდათ დავიწყებული ვერსალის წარსული და ეს მშვენიერი, უკაცრიელ და უწყლო ადგილზე გაშენებული პარკი დიდ აღტაცებასა და გაოცებას იწვევდა. საპარკო ხელოვნების ჯადოქრის ანდრე ლენოტრის სახელი ყველას პირზე ეკერა. დღესასწაულით და ვერსალში მიღებული ეფექტით კმაყოფილი იყო თვით ლუდოვიკოც, რომელიც შემდგომში პარკის ახალ და ახალ უბნებს ამშვენებდა. დღესასწაულის საანგარიშო წიგნში აღნიშნულია, რომ წინასადღესასწაულო ღონისძიებათა მომზადებისათვის ლატონის აუზის, სამეფო ხეივანისა და აპოლონის აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე დაურგიათ 8400 თელა და 7000 სოჭი.

1683 წელს პარკის უმეტეს ნაწილში, დაახლოებით 6614 ჰექტარზე, მასიური დარგვა დაიწყო. ამავე წელს ტყიდან 2322800 ახალგაზრდა მუხის ნერვი გადმოირგა; ამდენივე დაირგო შემდეგ წელსაც. მოგვიანებით წაბლის ნარგაობა შეემატა, რომელიც საფრანგეთში 1615 წელს იყო ინტროდუცირებული.

მცენარეული საფარის დიდი ნაირსახეობითა და დეკორაციული ნაირფეროვნებით გამოირჩეოდა ლაბირინთი. ეს გენიალური ქმნილება ლენოტრის მიერ იყო გამოგონებული. მან ბოსკეტებისა და ხეივანების შესაქმნელად დეკორაციული მცენარეების განსაკუთრებული ასორტიმენტი გამოიჭყო. ეს ყოველივე (გზა-ბილიკები) იმდაგვარად იყო გადაგრეხილი და გადახლართული, რომ იქ მყოფი ადვილად იკარგებოდა, ხოლო თავის დაღწევა ძლიერ რთული იყო. საპარკო ნარგაობის ელემენტების განუყოფელ კომპონენტებს ამშვენებდა მოხდენილად განლაგებული ეზოების არაკების მიხედვით შექმნილი სკულპტურები. ტყვიისაგან ჩამოსხმული ნატურული ზომის ცხოველები ბუნებრივად იყვნენ განაწილებული 32 შადრევნის ჯგუფთან და ბუნებასთან ჰარმონიულად იყვნენ შეხამებულნი. ჩიხში აღმოჩენილ დამსვენებელს ზოგჯერ წყლის ნაკადს აფრქვევდნენ ცხოველური სკულპტურები, რითაც ლაბირინთში დაკარგულს ამცნობდნენ, რომ თავის დაღწევა სხვა გზით შეუძლებოდა. სამწუხაროდ ლაბირინთი დღეისათვის აღარაა შემორჩენილი, მხოლოდ ცხოველთა ფიგურები გადარჩა, რომლებიც თავის დროზე ვერსალის მუზეუმის საცავებში იყო გადატანილი.

ლენოტრმა ამ საინტერესო საპარკო უბნისათვის განსაკუთრებული ნარგაობა შეარჩია. ლაბირინთი შეიქმნა 1668 წელს, ლუი XIV აჩქარებდა ლენოტრს სადღესასწაულო ლაბირინთის დამთავრებას, მისთვის მცენარეები უცხოეთიდანაც კი გამოიწერეს. იმ დროისათვის ცნობილი სწავლული მებაღე ფილიბიერი ამ ნაკვეთის აღწერისას გადმოგვცემს, რომ ლაბირინთი მრავალი ხეივნის რთულ სისტემათა ქსელს წარმოადგენდა. ლაბირინთში ძირითადად ხეხილოვანი მცენარეები ჭარბობდა და თითოეული ხეივნის მონაკვეთში ერთგვაროვანი ჯიში ირგვებოდა. მაგალითად, ლაბირინთის ერთი ხეივნის მონაკვეთი შედგენილი იყო პორტუგალიიდან საგანგებოდ გამოწერილი ფორთოხლის ხეებით, მეორე ხეივანი — მწკრივად დარგული ალუბლის ხეებით, მესამე ხეივანი — მსხლის სხვადასხვა ჯიშებით, მეოთხე — ვაშლის საბაღო ფორმებით, მეხუთე — ჰოლანდიური მოცხარით და ა. შ. ამ საოცარი ნაკვეთის დაკვალვასა და გაშენებაში უშუალო მონაწილეობას ღებულობდა სამეფო ხეხილოვანი ბაღებისა და ბოსტნეულის მთავარი დირექტორი ლა კინტინი.

ფრანგული ბაღების მცოდნე მარკ სალტე ნაშრომში „ვერსალი და პარკის მცენარეულობა“ წერს: „ყველაზე ლამაზი ჩვენს ეროვნულ საკუთრებათა შორის — ვერსალია... მისი არქიტექტურის, წყლისა და პარკის შესანიშნავი ურთიერთშეხამება, ხელოვნურად შერჩეული ყველა ეს ელემენტი განსაკუთრებული და საოცარი ჰარმონიულობით პასუხობენ ერთმანეთს“.

1776 წელს ლუდოვიკო XVI-მ ვერსალის პარკი ახლებურად გადააკეთა. საფრანგეთის ეროვნებათა არქივებში შემორჩა მეფის განკარგულება, რომელიც ლუი XIV-ის დროს დარგულ ნარგაობაზე მიგვითითებს. ამოსაძირკვი ხეების სია ითვალისწინებდა ისეთ ჯიშებს, როგორცაა: წიფელი, იფანი, რცხილა, ნეკარჩხალი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყო თელა და წაბლი. 1770—1775 წლებში აღწერილია თითოეული მერქნიანი ჯიშის რაოდენობა, საერთოდ კი 23946 მცენარე იყო ამოძირკვეული.

საფრანგეთის საბაღო ხელოვნებისა და მეყვავილეობის გამოჩენილი მოღვაწე კლედ მოლე გადმოგვცემს, რომ ვერსალის პარკში მერქნიან მცენარეებს ვარჯის მოყვანილობის ფორმირებისათვის წელიწადში ორჯერ, ხოლო სიმაღლეში ერთხელ კრეჭდნენ. ლუი XVI-ის მეფობის დროს საბაღო-საპარკო ხელოვნების ეს აუცილებელი პროცედურა მიივიწყეს და ცნობილმა ვერსალის ბოსკეტებმა, ხეივნებმა და ვერტიკალურმა კედლებმა პირვანდელი სახე დაჰკარ-

გეს. ლუი XVI-ის პერიოდში ლანდშაფტური სტილი უფრო ჭარბობდა, ვიდრე გერმეტრიული (ფრანგული). ლანდშაფტურ ბაღებში მცენარეები თავისუფლად ვითარდებიან და ბუნებრივი იერიში გამოიხატა. ჩვეიან, ხოლო ის საბაღო სტილი და „მოლა“, რაც წარსულში ლუი XIV-ის ეპოქას ახასიათებდა, მივიწყებას მიეცა. ამიტომაც ვერსაღის პარკში მრავალი მცენარე გადაიხარდა. პარკის ცალკეული კუთხის კომპოზიციებმა და დეკორაციულმა სივრცეებმა დაჰკარგეს ლენოტრისეული სტილი. ამის ნათელი დადასტურებაა მეფე ლუი-ვიკო XVI-ის გამეფების დროიდან ვერსაღის პარკის დაკნინება. იმხანად პარკის მერქნიან მცენარეთა დიდი ნაწილი გადაგვარებისა და დაღუპვის პირზე იყო მისული. მაგალითად, ლენოტრის მიერ სიმწიფეში დარგულმა ცაცხვებმა ვეღარ გადაიტანეს გადარგვა და ნაადრევად გადაბერებული ეგზემპლარები ამოძირკვეს კიდეც. ასეთი ბედი ეწვიათ რცხილისა და თელის ხეივნებს, მუხისა და წაბლის მასივებს, რომლებიც მერქნიან მცენარეთა ისეთი ასორტიმენტით შეცვალეს, რომლებიც ვერსაღის ნიადაგისა და ჰავის ამტანი იქნებოდნენ, ყინვასა და გვალვას, განსაკუთრებით, ნიადაგურ პირობებს შეეგუებოდნენ. ასეთებია: ნეკერჩხალი, ჭადარი და კედარი. აქ არსებულ მცენარეთა სახეობების შეცვლით და გადაჯგუფებით პარკმა დიდებული, დეკორაციული იერი მნიშვნელოვნად დაჰკარგა.

ვერსაღის პარკის მცენარეულ საფარში ყვავილნარებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. აქ ყოველწლიურად 150 ათასი ყვავილი ირგვებოდა (სამხრეთის, ჩრდილოეთის პარტერებზე და ლატონის აუზთან — წელიწადში ერთხელ). ზაფხულობით მწვანე მოღზე ნაირფერადოვანი ყვავილები იყო გადაშლილი, რომლებიც უზარმაზარ მასივებსა და ერთფეროვან არშიებს შეადგენდნენ. ამდაგვარი ყვავილების რიცხვში იყო ხალბი, რომელიც წითელი ყვავილებით გამოირჩეოდა, კალცეოლარია — ყვითელით, ბეგონია (ულეველა) — ვარდისფერით, ვერბენა — იისფერით. დღესაც, თანამედროვე ყვავილნარების ფართობებში წარსული საპარკო იერის შესანარჩუნებლად ყვავილების ამ ასორტიმენტს ითვალისწინებენ და წარსული ეპოქისათვის დამახასიათებელ კულტურებს რგავენ. მაგალითად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის პარტერებზე 300 წლის განმავლობაში ყვავილნარების სახე არ შეცვლილა; თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ XVII საუკუნეში რა ყვავილებიც ირგვებოდა, იგივე ასორტიმენტია შენარჩუნებული თანამედროვე პირობებში, აგრეთვე იმდაგვარადვე გაფორმებაც დაცული. ამის ნათელი დადასტურებაა,

რომ ლატონის აუზთან შემოფარგლულ ყვავილნარში იისფერი ყვავილები ირგება, სამხრეთისა და ჩრდილოეთის პარტერებში წითელი და ყვითელი ტონის ყვავილები, ხოლო პარკის ლანდშაფტურ განყოფილებებში, როგორცაა ტრიანონი და დიდი წყლის არხის მიმდებარე უბნები, საბალო მცენარეების შეფარდებით — ველური წარმომადგენლები. განსაკუთრებული ყურადღება ბოლქვოვან და ტუბეროვან ყვავილებზე იყო გამახვილებული.

პარკის ლანდშაფტურ კუთხეებში ადრე გაზაფხულზე ყვავილობას იწყებდნენ: სუმბული, ტიტა, შროშანი, ნარგიზი, ყოჩივარდა. მათ მოგვიანებით ანემონე და ხმალა ენაცვლებოდა, ხოლო ზაფხულისა და შემოდგომის ყვავილები ფერების დიდი პალიტრით გამოირჩეოდა. კლედ მთლე თავის შროშაში „მეყვავილობა და გვემის ტრაქტატი“, რომელიც 1652 წელს დაისტამბა, ურჩევდა ბორდიურებისა და ტანდაბალი არშიებისათვის ლავანდისა და წითელი საღბის გამოყენებას. გარლე ნაშროშში „დე კლანის სასახლე ვერსალში“ გადმოგვცემს: ვერსალის ბაღებში ირგებოდა ველური ნარგიზი, სუმბული, ღამის ია, მიხაკი და ჟასმინი.

ვერსალის პარკის ლანდშაფტურ განყოფილებებში შერჩეული ყვავილები და მათი მხატვრული დაჯგუფებები ირგვლივ ბუნებას მოხდენილად პასუხობდნენ. ამის ტიპური მაგალითია ლენოტრის ბიძაშვილის — ტრიანონის ბაღის ინტენდანტის ლეზუას მოღვაწეობა, რომელიც ტრიანონში ყვავილნარების მოსაწყობად ტიტას, ნარგიზისა და ანემონეს კულტურას იყენებდა. ამისათვის კონსტანტინოპოლიდან 9000 ნარგიზისა და სუმბულის ბოლქვები გამოიწერეს. საბალო ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწე დავილარი ყვავილნარებისა და ცალკეული ყვავილოვანი კულტურების აღწერისას ეხება წელიწადის სხვადასხვა დროს თითოეული ჯიშის მოვლა-პატრონობას; გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ყვავილნარების მოწყობას; ვრცელ პარტერებს ყვავილნარების გვერდით ამშვენებდა დეკორაციული ბუჩქები, როგორცაა: ჟასმინი, უთხოვარი (წითელი ხე), ბზა, კოწახურის საბალო ფორმები. ამ მცენარეებს ხშირად ბუნებრივ იერს უკარგავდნენ და ნებისმიერად კრეჭდნენ.

ვერსალის პარკის მცენარეული საფარი დიდი სახესხვაობითა და ნაირფერადოვნებით გამოირჩევა. მერნქიან მცენარეთა კომპოზიციები შედგენილია ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეებისაგან, რომელთაც დეკორაციული ბუჩქები და ყვავილოვანი მცენარეები ენაცვლება: ამ კომპოზიციის თავისებურ ფონს მთლი (გაზონი) წარ-

მოადგენს, რომელზედაც, როგორც წესი, გარკვეული კანონზომიერებით დეკორაციულ მცენარეთა კომპოზიციებია განლაგებული. ამ პარკში მერქნიანი მცენარეები მრავალფეროვანი დეკორაციული დინამიკისაა, წელიწადის სხვადასხვა დროსა და სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან. ფოთლოვანი ხეები და ბუჩქები ადრე გაზაფხულზე, კვირტის გახსნისა და ფოთლების გაშლის პერიოდში, თავისებური სინაზითა და სილამაზით გამოირჩევიან. არანაკლებად მშვენიერია სრული შეფოთვლის პერიოდი, როდესაც ხისა და ბუჩქის ვარჯი მთლიანად შეიმოსება ფოთლებითა და ყვავილებით. ამ მონაკვეთში ფოთლოვანი ხე-ბუჩქების ვარჯი თავის დეკორაციულ იერს ღებულობს, რომელიც ამ სილამაზეს მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს. მხოლოდ შემოდგომის დადგომისთანავე დეკორაციული ნარვაობა ფოთლების ფერის განსაკუთრებული ცვლით ხასიათდება და გვაუწყებს, რომ ქლოროფილის მარცვლები, რომლის წყალობით ფოთლებს მწვანე ფერი აქვთ მინიჭებული, ფიზიოლოგიურად იშლებიან. შემოდგომის პერიოდში მერქნიანი ხე-ბუჩქები მრავალფეროვანი და უხვი პალიტრით გამოირჩევიან, ვერსალის პარკში სეზონური ფერების დინამიკა თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა (როგორცაა მერქნიან მცენარეთა მასივები და ფოთლოვან მცენარეთა ხეივნები). ეს საპარკო ელემენტები შედგება ისეთი დეკორაციული მერქნიანი მცენარეებისაგან, როგორცაა: ცხენის წაბლი, მუხა, რცხილა და ცაცხვი, რომლებიც დიდი მხატვრულ-დეკორაციული ნიშან-თვისებებითა და ფერის სეზონური დინამიკით გამოირჩევიან. ვერსალის პარკში გვხვდება მარადმწვანე მცენარეები: წყავი, ბზა, ჭანჭყატი, უთხოვარი, ლიგუსტრუმი, აზალია. ამ მცენარეებს დეკორაციული სეზონური დინამიკა და სავეგეტაციო პერიოდში დეკორაციული ფერი თითქმის უცვლელი აქვთ. ასეთი მცენარეები ვერსალის ლანდშაფტურ ნაწილში უხვადაა დარგული და მერქნიან მცენარეთა მასივებში ქვეტყის იარუსის შექმნაში მონაწილეობას ღებულობენ, ხოლო პარკის რეგულარულ ნაწილში ცოცხალი ღობისა და ბორდიურების გამოყვანის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებათაგანია.

მერქნიან-ფოთლოვანი ხე-ბუჩქები, რომლებიც დეკორაციული ნიშან-თვისებებით გამოირჩევიან, ყვავილობას ადრე გაზაფხულზე იწყებენ და გვიან შემოდგომამდე, ზოგჯერ ზამთარშიც აგრძელებენ, ხოლო მკაცრი ყინვების დადგომისთანავე ყვავილობა წყდება.


შესაძლებელია ზოგიერთი მცენარე და ბუჩქი არ გამოირჩეოდეს ხანგრძლივი ყვავილობით, მაგრამ ვერსაღის უზარმაზარ ტერიტორიაზე მერქნიანი ხე-ბუჩქები ისეთი თანაფარდობითა და მხატვრული დაჯგუფებითაა შერჩეული, რომ ერთმანეთს ყვავილობაში ენაცვლებიან და თავისებურად მუდმივად მოყვავილე მცენარეების განუმეორებელ ნაკვეთს ქმნიან. გენიალური პარკმშენებლობის ანდრე ლენოტრის ერთ-ერთ ჩანაფიქრს ლამაზად მოყვავილე მცენარეების მოხდენილად განლაგება და არქიტექტურულ ფორმებთან შეხამება წარმოადგენდა. ლამაზი ფორმისა და ფერის აღნაგოვანი ყვავილოვანი მცენარე, როგორც წესი, თვალსაჩინო ადგილების ერთ-ერთი კომპონენტთაგანია. ასეთ ადგილებში დეკორაციული მცენარე წინა პლანზე ირგვება. ლენოტრმა ეს მდომარეობა გაითვალისწინა, როდესაც ლატონის აუზის ვრცელ მოედანზე ცხენის წაბლის დეკორაციული ფორმები განალაგა. ამ უბანზე აპრილის თვის ბოლოდან ივნისის პირველ ნახევარში ცხენის წაბლის მუქ მწვანე და სქელვარჯიან კრონაზე თეთრი და მოწითალო ვარდისფერი ყვავილები წარმოიქმნება.

დიდი და პატარა ტრიანონის ლანდშაფტურ ნაწილში ივნისის თვეში ყვავილობას იწყებს აკაცია, რომელიც თეთრად გადაიბნტება და სასიამოვნო სურნელს აფრქვევს. მისი მაღალმხატვრული ღირსების წყალობით ბოსკეტები და ხეივნები მეტად მოხდენილად გამოიყურებიან. მოგვიანებით, სამეფო ხეივანში ცაცხვი იწყებს ყვავილობას, რომელიც სპეციფიურ თაფლის სუნს იძლევა, ხოლო დიდი წყლის არხის მიდამოებში კატალპა სწორმდგომი, თეთრი მოყვითალო ყვავილებით ნაზ სურნელებას აფრქვევს.


ვერსაღის პარკის უზარმაზარ ტერიტორიაზე და ტრიანონის მიდამოებში მერქნიან მცენარეებს დეკორაციული ბუჩქები ენაცვლება. აღსანიშნავია არქიტექტურულ შენობა-ნაგებობებთან მოხდენილად შექმნილი მერქნიან მცენარეთა კომპოზიციები, რომელთა შემდავენლობაში ბუჩქებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ მცენარეების დეკორაციული ნიშან-თვისებები (ყვავილობა, ნაყოფმსხმოიარობა, შეფერადება, ტანის მოყვანილობა, სურნელება, დეკორაციული მოზაიკა) დიდი ნაირფერადოვნებით გამოირჩევა. თითოეულის დასახიათება ცალკე კვლევის საგანს შეადგენს, მაგრამ უყურადღებოდ არ შეიძლება დარჩეს ისეთი დეკორაციული ბუჩქები, როგორიცაა: იასამანი, ოქროს წვიმა, ვარდი, კოწახური, ჟასმინი, ჩიტავაშლა, თოვლის გუნდა, იაპ. კომში, გრაკლა, ცხრატყავა, ფორ-




მშვიდობის დარბაზი




ლუი XIV-ის სეულბტურული რელიეფი, მოქ. ა. კვაზევოქსი




პარკის რეგულარული ნაწილი




პარკის სამხრეთი პარტერი



გეომეტრიული ფორმით გაკრეპილი ხეები




გეომეტრიული ფორმით გაკრეპილი ბუჩქები




ტოპიარული ხელოვნების ნიმუშები




საპარკო პანდუსი




მრგვალი კიბე საყრდენ კედელთან



რეგულარული სტილის ყვავილნარი



გაკრეპილი ბოსკეტი




ორნამენტული პარტერი




ბზის ვაკრეპილი გეომეტრიული ფორმები




მალალი ტანის ხეები კასრებში




სეულბურული სფინქსი




დიდი და პატარა ტრიანონის გეგმა, 1730 წელი




ტრიანონის სასახლის კოლონადა




ტრიანონის მცირე არქიტექტურული ფორმები



ტრიანონის სასახლის მარჯვენა ფრთა




მოლი პარკის ლანდშაფტურ ნაწილში




ტყეში განკერძოებული შენობა




სკულპტურა წყლის სარკეზე




რეგულარული ხედი პავილიონზე



ვერტიკალური მწვანე კედელი



ხაზოვანი პერსპექტივა



ტყის ლანდშაფტი

ვერსალის პარკში მერქნიან მცენარეთა მხატვრული განაწილების დროს ლენოტრს უყურადღებოდ არ დაუტოვებია შუქ-ჩრდილებისა და განათების საკითხი. თუ სასახლის მარჯვნივ — ჩრდილოეთის პარტერს მაღალტანიანი მერქნიანი მცენარეების მასივები აკრავს, მარცხნივ — სამხრეთის პარტერზე გახსნილი სივრცე სამეფო ორანჟერეას და შვეიცარულ ტბას გადაჰყურებს. ამ ორი პარტერის სხვადასხვა დენდროლოგიურმა შემაღვენლობამ სხვადასხვა ეკოლოგიური და კომპოზიციური ელემენტების ცვლილებები გამოიწვია. მაგალითად, ჩრდილოეთის პარტერის ირგვლივ შემოფარგლულმა მცენარეულმა მასივმა არა მარტო კომპოზიციური სივრცე ჩაკეტა, არამედ ეკოლოგიური თვალსაზრისითაც თავისებური მიკროკლიმატი შექმნა. ამ უბანზე ქარი ნაკლებად ქრის, მზის ინსოლაცია დაბალია და ბუჩქ-ჩრდილებიც უფრო მეტად გამოკვეთილი, ხოლო განათების ეფექტი ძალზე სუსტია. აქ არსებულ მცენარეთა ტოტებში მზის ინსოლაცია ძნელად, მაგრამ ღრმად იჭრება და მასივის ქვედა საფარს აღწევს. ასეთ მასივებში მზის სხივი ფოთლებსა და ტოტებს აქა-იქ მკვეთრად აშუქებს, მიუხედავად იმისა, რომ მცენარეებს ირგვლივ ჩრდილი აქვთ შექმნილი. განათებული ფოთლები ოდნავი რხევის დროს მზის სხივებს სხვადასხვა მიმართულებით აფრქვევენ, რაც განათებისა და შუქჩრდილების ბრწყინვალე ეფექტს წარმოქმნის. მართალია ამ უბანზე ცხენის წაბლი ჭარბობს, მაგრამ ამ წამყვანი კულტურების ჯგუფს ფოთლოვანი მცენარეები ენაცვლება, როგორცაა: რცხილა, აკაცია, თხილი და ცაცხვი. ეს მცენარეები მეტად ჰარმონიულად ერწყმიან საპარკო ნაგებობებს, მცირე არქიტექტურულ ფორმებსა და გარემო ბუნებას, ვინაიდან ვარჯის მოყვანილობა მეტად ფაქიზი და ნაზი გააჩნიათ, ხოლო საპარკო ლანდშაფტში კონტრასტების შემთხვევები, საერთოდ, გამოირიცხულია და მცენარეული პეიზაჟი დიდი ჰაეროვნებით გამოირჩევა. ამდგვარი მცენარეების დაჯგუფებამ ამ უბანზე ინტიმური ხასიათი წარმოქმნა, რამაც შემდგომში, ხალხის თავშეყრის ადგილებში, ბოსკეტებისა და მოედნების აგება განაპირობა.

სამხრეთის პარტერზე განათებისა და შუქ-ჩრდილების სხვა სურათია შექმნილი. ამ უბანზე საერთოდ გახსნილი სივრცეა, ხოლო ქარსაცავი ზოლები და მცენარეული მასივები მთლიანად გამოირიცხულია. აქ მზის ინსოლაცია მაქსიმუმს აღწევს და ჰაერის მოძრაობაც ჭარბია. დღის განმავლობაში მცენარეები და ყვავილები

სხვადასხვა განათების შემთხვევაში ნაირგვარი ფორმითა და ფერით ცვალებადობენ. შუადღეს, როდესაც მზე მთელი სიძლიერით ბუნებას დაჰყურებს, მართალია ყვავილის ფერი მეტად ვაშკამა და ბრწყინავია, მაგრამ ჩრდილი საკმაოდ მოკლეა და მძაფრი. ამიტომაც ღია პარტერზე მხოლოდ ვრცელი ხასხასა მოლია გადაშლილი, რომელიც ორნამენტული ჩუქურთმის ტანდაბალი ზხით გამოირჩევა, და პარტერის კუთხეებში პირამიდულად გაკრეჭილი ზხისა და უთხოვარის აქცენტებია შექმნილი. ეს უბანი დენდროლოგიური თვალსაზრისით არაა გადატვირთული, ამიტომ მზისა და ჰაერის აბაზანის მიღების თვალსაჩინო ადგილია.

მზის გადაწვერის დროს ვერსალის პარკის მცენარეული საფარი განათებისაგან თავისებურ იერს ღებულობს. ცნობილია, რომ ამ პერიოდში მზის სხივები მოწითალო და მეწამული ფერისაა, რაც სათანადო ზეგავლენას ახდენს მცენარის განათებაზე. მცენარისა და მცირე არქიტექტურული ფორმების ჩრდილი თანდათან გრძელდება, მზის ჩასვლის თითოეული მომენტი მცენარეებზე თავისებურ ზეგავლენას ახდენს. მაგალითად, დიდი წყლის არხი და მისი გარემო-ბუნება მხოლოდ მზის ჩასვლის დროისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო ზღაპრული ეფექტის, თუ არ ჩავთვლით იმ ეფექტს, რასაც იგი ღღის განმავლობაში მნახველს ანიჭებს. ვერსალის პარკის დამთვალიერებელი საღამოს უნდა დაელოდოს, რათა დიდი წყლის არხში მზის ჩასვლა იხილოს. ვერსალის დიდი სასახლიდან ან აპოლონის აუზის ვრცელი მოედნიდან წყლის არხსა და ჰორიზონტზე შესანიშნავი ხედია გადაშლილი. ამ დროს ცა ოდნავ მომწვანო-მოყვითალო და ნარინჯოვანი ხდება, რომელიც თანდათან მოწითალო-ნარინჯის ფერს ღებულობს. ეს ნაირგვარი ფერების გამა მცენარეებზედაც ირეკლება.

სამეფო ხეივანში მზის ჩამავალი სხივებით განათებულ მცენარეთა ვერტიკალური მწკრივები ნაირფეროვანი შუქ-ჩრდილებითა და განათების დინამიური ეფექტით გამოირჩევა.

პატარა ტრიანონში საკომპოზიციო ელემენტებს მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ დათმობილი, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობს ბაღის ლანდშაფტურ სტილში დაგეგმარება. ამ შედარებით პატარა ბაღის უბანზე მცენარეული საფარი ბუნებრივადაა განაწილებული და დარგული. ტრიანონის პატარა სასახლესთან ხაზოვანი პერსპექტივა შექმნილია მწკრივში დარგული ცაცხვებისაგან, რითაც გეომეტრიული სტილის ერთ-ერთი მომენტი გამოყენებული, რათა

სასახლიდან მზერის არე რეგულარულად სწორ ჩარჩოში ყოფილიყო მოქცეული. რაც შეეხება სასახლის ირგვლივ შემოგარენს იქ ლანდშაფტური სტილია გამეფებული და ბუნებრივი ელემენტები უხვადაა წარმოდგენილი. თითოეულ თარგში მცენარეული ხე-ბუჩქები ბუნებრივადაა განლაგებული. მარია-ანტუანეტას სოფლურ სახლთან ვრცელი მოლია გადაჭიმული. აქ მერქნიან მცენარეთა გონივრული განლაგებით სივრცითი პერსპექტივაა შექმნილი, რადგანაც არსებულ მერქნიან მცენარეთა კომპოზიციაში მრავალი სადეკორაციო ელემენტია გამოყენებული, როგორცაა: მცენარის ვარჯის მოყვანილობა, შეფერადება, ფორმა, ყვავილობა და სხვ. მაგალითად, ვრცელ მოლზე ეულად მდგარი თეთრქერქიანი ტანაყრილი არყის ხე, რომელიც მკვეთრად გამოისახება მუქი მწვანე ცაცხვების ჯგუფის ფონზე. არყის ხის მეტად ორიგინალური მერქნის ღეროსა და ღია მწვანე ფერის ვარჯის გამოსაჩენად ფონის სახით კონტრასტული მცენარეები დარგეს. მცენარეთა ეს ჯგუფი ხშირი შეფოთვლით, სქელი ვარჯითა და მუქი შეფერადებით გამოირჩევა. არყის ხის დეკორაციული ღირსებების გასაძლიერებლად მის გვერდით დარგულია ნეკერჩხალის საბალო ფორმა, რომელიც ღია შეფერადებითა და ჰაეროვანი ვარჯით გამოირჩევა.

პატარა ტრიანონის ლანდშაფტურ ბაღში ერთადერთ მთავარ კომპონენტს ტბა წარმოადგენს, რომელსაც არქიტექტურული და მცენარეული კომპოზიციების შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. წყლის ვრცელი სივრცე შორი მანძილიდან ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივების აღქმის საშუალებას იძლევა. ტბის ლანდშაფტური სანაპირო დიდი გემოვნებითა და ცალკეული კომპოზიციების ფრაგმენტებით გამოირჩევა. ტბის სანაპიროს შემოვლის დროს ფეხით მოსიარულე მხატვრულ კომპოზიციებს ამჩნევს, განსაკუთრებით მოპირდაპირე ნაპირზე. ეს სასიამოვნო მცენარეული და არქიტექტურული კომპოზიციები არა მარტო ხედვის არეში მოჩანს, არამედ დამატებით წყლის სარკულ ანარეკლში ღებულობს გამოსახულებას. ტბის სანაპიროზე ნაირგვარი და ნაირფერადოვანი ლანდშაფტური კომპოზიციებია შექმნილი, სადაც მერქნიანი მცენარეების მაღალმხატვრულ ჯგუფებს საბალო ფორმები და ყვავილოვანი ბუჩქები ენაცვლება. ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა არქიტექტურული ფორმებისა და მცენარეული საფარის ჰარმონიული შეხამება. ერთ-ერთი საბალო კომპოზიციაა მარია-ანტუანეტას სახლთან შექმნილი საბალო და არქიტექტურული ანსამბლი, რომლის რეალური წარმოდგენისათვის უხვი კომპოზიციური ელემენტებია გამოყენებუ-

ლი. აქ არსებული არქიტექტურული ფორმები მცენარეული კომპოზიციის ელემენტებს (ხე-ბუჩქების შეფერადება, ფორმა, მოყვანილობა) საბალო ვარიაციები, ღეროსა და ქერქის შეფერადება, მოყვანილობა) ენაცვლება. ტბის სანაპიროზე სოფლური ყაიდის სახლი აშენებულია ტანმალალი ცაცხვებისა და ცხენის წაბლის ფონზე. სახლი ორსართულიანია, მაგრამ ტანმალალ მერქნიან მცენარეთა ფონის პროპორციულ გამოსახულებაში დაბალ და პატარა მოცულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. დედოფლის სოფლური სახლი გადახურულია ლერწმით, ხოლო დამხმარე ნაგებობები — კრამიტით; შენობა მთლიანად თეთრადაა შეღებილი, ხოლო ხის მიჩუქურთმებული კარები, სარკმელი და მოაჯირი ბუნებრივი სტილითაა დამუშავებული. ასევე მხატვრული ლატანის წყობა დაჰყვება ხიდის მოაჯირსა და ზოგიერთ ბადის თარგს. დედოფლის სახლზე მიშენებულია ჰაეროვან სვეტებზე შემდგარი მიჩუქურთმებული აივანი, არქიტექტურული ელემენტის სინაზის უფრო გასამდიერებლად ტბის სანაპიროსთან დარგულია მტირალა ტირიფები. მცენარეული და არქიტექტურული ელემენტების ჰაეროვნებისა და სინაზის თვალსაჩინოებისათვის მტირალა ტირიფის მოპირდაპირე მხარეს მუქი მწვანე ფიჭვების კორომია. ეს მასივი მუქი მწვანე შეფერადებით თითქოს კომპოზიციის ცალკეულ ფრაგმენტს უნდა ამძიმებდეს, მაგრამ საერთო მთლიანობაში ფიჭვების ჯგუფი ლანდშაფტური ნაწილის კომპოზიციაში აუცილებელ კომპონენტად გადაიქცა. როგორც საერთო პეიზაჟი, ასევე ცალკეული ფრაგმენტები ლამაზი ნაირფერადოვნებითა და ბუნებრივი ფორმების დახვეწილობით ტბის სარკულ ანარეკლში ლამაზ გამოსახულებას იძლევა. წყლის ზედაპირი აქაიქ წყალმცენარეებითაა დაფარული, ხოლო მოყვავილე შროშანები და ღუმფარები უფრო მეტად ალამაზებენ.

ვერსალის პარკის ლანდშაფტურ ნაწილში მრავალ ბუნებრივ პეიზაჟს ვხვდებით. ასეთი კომპოზიციები კომბინირებულ ხასიათს ატარებს, რომელშიც მრავალი ათეული ხე-ბუჩქი და არქიტექტურული ფორმაა გაერთიანებული. არის ადგილები, სადაც მარტივ პეიზაჟში ერთეული მცენარეა გაერთიანებული. ერთ-ერთ კუთხეში ვრცელ მოლზე ფიჭვების კორომია დარგული, რომლის გვერდით რცხილისა და თელის ტანაყრილი ხეებია დარგული. ამ მცენარეული დაჯგუფების ფონს წინა პლანზე სოლიტერად დარგული იაბონური სოფორას ერთადერთი ხე ამშვენებს. სოფორა დაგრეხილი ტოტებითა და ნახევრად მტირალა საბალო ფორმით გამოირჩევა. მას



მართალია ჰაეროვანი ვარჯი გააჩნია, მაგრამ დამძიმებული ტოტებით მოლის ზედაპირს ეხება და დაშვებული ტოტებით (სხვა მცენარეების ფონზე) კონტრასტულ სურათს ქმნის. ამ უბანზე მალალი დეკორაციული იასამნების ჯგუფი სასიამოვნოდ და ხანგრძლივად ყვავილობს და საერთო კომპოზიციაში ჰარმონიულობა შეაქვს. ეს პეიზაჟი საბალო გზიდან გარკვეული მანძილითაა დაშორებული და ერთგვარი იარუსიანობით გამოირჩევა. მცენარეული კომპოზიცია მოლიდან იწყება და თავისებურად პირველ იარუსს წარმოადგენს, ხოლო წინა პლანზე განლაგებული სოფორას საბალო ფორმა მეორე იარუსშია მოქცეული, საშუალო სიმაღლის ფიჭვი, თელა და რცხილა მესამე იარუსის შექმნაში მონაწილეობს, ხოლო მუქი და მწვანე ჰორიზონტალური ფორმის კიპარისები მეოთხე იარუსის დამაგვირგვინებელი ჯგუფია.

მერქნიან მცენარეებს, განსაკუთრებით საბალო ფორმის ნარგაობას, განსხვავებული ვარჯი და ნაირგვარი გარშემოწერილობა ახასიათებს. პეიზაჟის საკომპოზიციო ელემენტების შედგენისას მცენარის მოცულობით შეხამებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან თითოეული მცენარე ინდივიდუალური ვარჯის მოყვანილობით გამოირჩევა და მხატვრულ დაჯგუფებაში მისი გადაადგილება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება, ვარჯის მოყვანილობას განაპირობებს მცენარის ფორმა, გარშემოწერილობა, ტოტების განშტოება, ვეგეტაციური ორგანოების სიხშირე, ფოთლების აგებულება, შეფოთვლა და სხვ. თითოეულ მცენარეს განსხვავებული ვეგეტაციური ორგანოები გააჩნია, რაც საერთო მოცულობაში მცენარის ვარჯის გარშემოწერილობას განაპირობებს.

ცნობილია, რომ ვერსალის სასახლე დიდი ტრიანონის პარკს ლარივით სწორი ხეივნით უკავშირდება, რომელსაც ტრიანონის გამზირს უწოდებენ. ამ ხეივნის მცენარეების მწკრივი ზოგიერთ ადგილას შეგნებულად გაწყვეტილია და თავისებური „მზერის ფანჯარაა“ შექმნილი. საიდანაც მცენარეული მასივების ფონზე მხატვრული კომპოზიციებია შედგენილი. ერთ-ერთი რთული კომპოზიცია გზიდან საკმაოდ მოშორებითაა აგებული. უზარმაზარი ცხენის წაბლის მასივების ფონზე შვიდი მცენარე მხატვრული დაჯგუფებით გამოირჩევა; მუქი მწვანე მასივის ფონი თავისებურ ეკრანს წარმოადგენს, რომელზედაც გამოსახულია სამი ფიჭვის ტანაყრილი ვარჯი რომაული ციფრის ხუთის (კვიკუნსის) გამოსახულებით; შედარებით უკანა პლანზე ცაცხვების ჰაეროვანი და ტანაყრილი ვარ-

ჯი ნახევრად მოჩანს, ვინაიდან წინ ნეკერჩხალია დარგული. მათ გვერდით ოდნავ მოშორებით არყის ხეა დარგული, ხოლო მთლიანად შიციის მაგვირგვინებელი აქცენტია ყველაზე ახლოს დარგული უთხოვარის სფერული ფორმა.

ნებჭუნის აუზისაკენ ვრცელ მოედანზე მიმავალ ხეივანს მცირე არქიტექტურული ფორმებისა და ტოპიარული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები ამშვენებს. აქ არსებული საკომპოზიციო ელემენტები თავიანთი დამახასიათებელი დეკორაციული თვისებებით ერთმანეთს მოხდენილად ეხამებიან.

ხეივანი ერთ მთლიანობაში დამთავრებულ კომპოზიციას წარმოადგენს, სადაც დეკორაციული ელემენტები მორიგეობითა და დიდი კანონზომიერებით ენაცვლებიან. გაკრეჭილი უთხოვარის კონუსური ფორმებისა და სკულპტურული ჯგუფების რითმულ თანაფარდობას განაპირობებს მათი მოცულობის, ფორმის, შეფერადების, დეკორაციული მოზაიკისა და სხვა ელემენტების შეხამება და მორიგეობითი თანაფარდობა.

ლატონის შადრევნიდან აპოლონის არხამდე დიდი მწკანე ხალიჩაა გადაშლილი, რომელიც სამეფო ხეივანშია მოქცეული. ამ ხეივანს მცირე არქიტექტურული ფორმების ბრწყინვალე ნიმუშები ამშვენებს; რომლებიც ჰერმებისა და დეკორაციული ლარნაკების სახითაა. არსებული ხელოვნების თითოეული ნიმუში თავისებურად დამთავრებული ნაწარმოებია, მაგრამ კიდევ უფრო მოხდენილს ქმნის ამ სკულპტურების საერთო კომპოზიციაში ხილვა. ეს ფაქტორი კი განაპირობებულია იმ გარემოებით, რომ მცირე არქიტექტურული ფორმები რითმული მორიგეობითაა და მკაცრი თანაფარდობით ერთმანეთს ენაცვლებიან. ამრიგად, ვერსალის სამეფო ხეივანში რითმული კანონზომიერება სილამაზისა და მოხდენილობის კიდევ ერთი დამატებითი კომპონენტია.

ვერსალის მცენარეულ საფარში რითმულობის ელემენტი განსაკუთრებით გამოყენებულია რეგულარული გეგმარების ანუ გეომეტრიული სტილის საპარკო ნაწილში. პარკის თავშეყრის ადგილებში და, განსაკუთრებით, ვრცელ მოედნებზე მცენარეული და არქიტექტურული ფორმების ყოველმხრივად დამთავრებული კომპოზიციაა აგებული. აპოლონის აუზის ვრცელ მოედანზე მცენარეული და არქიტექტურული ფორმების კომპოზიციაში დეკორაციული ელემენტების კანონზომიერებითი თანაფარდობა და მორიგეობითი ცვალებადობა სუფევს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ვრცელი და



ოვალური მოედნის პერიფერიულ ნაწილში ჰერმების რითმული თანაფარდობა, რომლებიც მაღალტანიანი მასივების ფონზე, მასშტაბურად პატარა ზომისა არიან, მაგრამ კომპოზიციის ანსამბლში დისონანსი შეაქვთ, მას თეთრი სკულპტურების რითმული და კანონზომიერებითი მორიგეობა მნიშვნელოვან შნოსა და ლაზის ანიჭებს. ამიტომაცაა, რომ კომპოზიციების შედგენისას დეკორაციული ელემენტების რითმულ განწყობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აღორძინების ეპოქის ბალებსა და, განსაკუთრებით, XVII საუკუნის პარკებში ლანდშაფტური კომპოზიციებისა და არქიტექტურული ანსამბლის ასაგებად, როგორც აუცილებელ კომპონენტს, სიმეტრიის ელემენტს იყენებდნენ. ლენოტრმა ვერსალის პარკის მშენებლობის დროს სიმეტრიის კანონზომიერება ფართოდ გამოიყენა. ამის შესანიშნავი დადასტურებაა ვერსალის სასახლის მოპირდაპირე უბანზე ვრცელი სამხრეთისა და ჩრდილოეთის წყლის პარტერების განლაგება. წყლის პარტერები და მასთან არსებული დეკორაციული ელემენტები სიმეტრიის ღერძზე მდებარეობს და საერთო მთლიანობაში ერთმანეთის მიმართ სარკულ გამოსახულებაში იმყოფება. პარტერულ აუზებში წყალი თითქმის არ მოძრაობს და სარკის გამოსახულებითი ზედაპირი გააჩნია. ამ უბანზე წყლის უზარმაზარი სივრცე მეტად წყნარი და მყარი კომპოზიციის ხასიათით გამოირჩევა. ლენოტრმა სიმეტრიის კანონების გამოყენებით წყლის პარტერების არქიტექტურულ ანსამბლს მონუმენტური ხასიათი და დიდებული იერი მიანიჭა. ამ კომპოზიციურ გადაწყვეტას კიდევ უფრო აძლიერებს წყლის პარტერების გეომეტრიული კონფიგურაცია და მათ ირგვლივ სწორხაზოვანი ელემენტების მოლის არშეებით შემოფარგვლა. ამგვარად, სასახლის ფასადსა და წყლის პარტერებს შორის სიმეტრიის წესების მკაცრი დაცვითა და გამოყენებით საერთო კომპოზიცია მეტად მომგებიანი გახდა. ლენოტრმა წყლის პარტერების ერთ სისტემაში თავმოსაყრელად სიმეტრიის კანონები გამოიყენა. ალბათ ძნელი წარმოსადგენია კომპოზიციური ნაწარმოები თუ სხვა საპარკო ელემენტი, რომელიც ასე მოხდენილად და ორგანიზებულად შეძლებდა პარკის ანსამბლთან ორგანული კავშირის დამყარებას.

სიმეტრიის კანონზომიერება ფართოდაა გამოყენებული ვერსალის პარკსა და ტრიანონის ბაღის სხვა ნაკვეთებში. ეს საკომპოზიციო ელემენტი განსაკუთრებით იგრძნობა მცენარეულ ბოსკეტებ-

ში, სადაც მცენარეული ტოპიარიის ნიმუშს მცირე არქიტექტურული ფორმები ენაცვლება. ამის თვალსაჩინო დასაბუთებაა მენსატიის მიერ აგებული კოლონადისა და ლენოტრის მეფის ბოსტანის შემსრულებელი შესანიშნავ მცენარეულ უბნებზე ბზისა და უთხოვარის გეომეტრიულად გაკრეჭილი ფიგურები მაღალმზატერული ფერებისა და ფორმების შერჩევით არქიტექტურულ ელემენტებს გარკვეული წესით ეხამებიან. სიმეტრიული კანონების გამოყენებით მცენარესა და სკულპტურას შორის მოხდენილმა \*თანაფარდობამ ამ პატარა ხელოვნური პეიზაჟის სამყაროში დიდი მონუმენტური კანონზომიერება დააწესა.

ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივების გამოყენების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს ქალაქ ვერსალში, სამი მაგისტრალური ქუჩის შესაყრელში (არმიის მოედანი), ხედვის წერტილი წარმოადგენს, რომლის მზერის არეში სასახლეა მოქცეული. მიუხედავად შორი მანძილისა სასახლე ახლოს გვეჩვენება. ეს საინტერესო საპარკო გადაწყვეტა ლენოტრმა ქალაქის მშენებლობის დაგეგმარებაშიც გამოიყენა. საპარკო ხელოვნებაში ეს ხერხი ხაზოვანი პერსპექტივის სახელწოდებითაა ცნობილი, რაც ხედვის წერტილიდან საგნის მოცულობისა და ფორმის ცვალებადობას ნიშნავს. ამ წესზე დაყრდნობით, ქალაქიდან ვერსალის სასახლე მოახლოებულად გვეჩვენება, ვინაიდან ხედვის წერტილიდან მზერის ხაზოვანი არე თანდათან ვიწროვდება, ე. ი. სამი მაგისტრალური ქუჩის შესაყრელთან არმიის მოედანი ტრაპეციული ფორმით მოცულობაში მცირდება. ეს მზერის არეს კიდევ უფრო ავიწროებს, ვინაიდან სამეფო ღობე თანდათან აპატარაებს მინისტრებისა და სამეფო მოედნების კონფიგურაციას, რომელიც კვადრატული ფორმის პატარა მარმარილოს ეზოთი მთავრდება. მარმარილოს ეზო ხაზოვანი პერსპექტივისა და მზერის ჩამკეტი წერტილია. საკმარისია შემოვტრიალდეთ და საწინააღმდეგო სურათი გადაიშლება, ე. ი. სასახლიდან სამი მაგისტრალური ქუჩის შეერთება და არმიის მოედანი უსასრულოდ შორს მოგვეჩვენება. ამ შემთხვევაში ხედვის წერტილი ყველაზე ვიწრო ფართობშია (მარმარილოს ეზო) მოქცეული. ხაზოვანი პერსპექტივა აგებულია იმდაგვარად, რომ მზერის არე თანდათან ფართოვდება, ე. ი. პატარა მარმარილოს ეზო, რომელიც მინისტრების, სამეფო და არმიის მოედნებს უკავშირდება, სივანეში თანდათან ფართოვდება, რომლის დამამთავრებელ კვანძს სამი მაგისტრალური ქუჩის ურთიერთშეერთების ადგილი (არმიის მოედანი) წარმოადგენს.

ამიტომ სასახლიდან ხელი არმიის მოედანსა და შემკრებ მაგისტრალურ ქუჩებზე (პარიზი, სენკულ და სო) უზომოდ შორი გვერდებზე.

დღეისათვის ვერსალის პარკში ხე-ბუჩქებისა და ყვავილების ასორტიმენტი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. მერქნიანი მცენარეების სახესხვაობას დაემატა ხე-ბუჩქების განახლებული და სრულიად ახალი ჯიშები, აგრეთვე ბევრი აკლიმატიზებული და დეკორაციულ მებაღეობაში გავრცელებული სახეობა. მერქნიან მცენარეთა კომპოზიციებში გამოჩნდა ახალი სახეობები, როგორცაა: მტირალა ტირიფი, იუდას ხე, კედარი, კვიპაროსი. სხვადასხვა სახეობის ფიჭვი, მაგნოლია, ტუია, მარადმწვანე მუხები, ნეკერჩხალი, იფანი, ცაცხვი, კატალპა და სხვ.

ვერსალის საპარკო ხელოვნება მსოფლიოს დანარჩენი პარკებისაგან გამოირჩევა არა მარტო მცენარეული საფარის მრავალფეროვნებით ან დაგეგმარების ორიგინალობით, არამედ მცირე არქიტექტურული ფორმების: სკულპტურებისა და ქანდაკებების ნაირსახეობით, მათი მაღალმხატვრული დამუშავებით, საოცრად დახვეწილი გემოვნებით.

ვერსალის პარკი და ტრიანონის ბაღები ქანდაკებების, სკულპტურული ჯგუფებისა და მცირე არქიტექტურული ფორმების გარეშე წარმოდგენილია, ვინაიდან პარკის მთელ ტერიტორიაზე შეუძლებელია მოიძებნოს ისეთი განყოფილება ან რომელიმე უბანი, რომ სახვითი ხელოვნების ნიმუში არ შეგვხვდეს. აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ქანდაკება, სკულპტურა, ჰერმა და რელიეფური ლარნაკები გარემო ბუნებას მოხდენილად ერწყმის. მაგალითად, აუზის ან რომელიმე წყლის ელემენტში, შადრევისა თუ წყლის პარტერის ანსამბლის შემადგენლი კომპონენტია სკულპტურული ჯგუფი.

ამ უზარმაზარ მცენარეულ საფარში ძნელად მოიძებნება შემთხვევით განლაგებული ქანდაკება და სკულპტურული ჯგუფი. მათი ადგილი კომპოზიციურ ანსამბლში მეტად გააზრებულია და დახვეწილი. თითოეული სკულპტურის დადგმას, როგორც წესი, გააზრებული ანალიზი და შემოქმედებითი კვლევა უძღვოდა წინ, ამიტომაც სკულპტურის შინაარსით ბევრჯერ მოხიბლულა მნახველი. შთაბეჭდილების ამ ერთ-ერთი ფაქტორის საწინდარია არქიტექტურული ფორმების მოხდენილი გადაადგილება.

ამ პერიოდის ქანდაკებები და სახვითი ხელოვნების ნიმუშები ტიპიური აკადემიზმის მიმართულებას ექვემდებარებიან და თუ ამა თუ იმ ნაწარმოებში ანტიკური ხელოვნების ზეგავლენა იგრძნობო-

და, ეს ოდნავად არ ჩრდილავდა დიდი ვემოვნებითა და კომპოზიციური სიცხადით შესრულებულ ქმნილებას. ქანდაკების მთავარი დამახასიათებელი მხარეა თემატიკის რეალური ვადმოცემისა და ასახვის ნიშანდობლიობა. XVII საუკუნის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისათვის განყენებული ყანრი წარმოუდგენელი და სრულიად მიუღებელი იყო. დიდი ტრადიციების მქონე ფრანგი მოქანდაკეები და სახვითი ხელოვნების წარმომადგენლები თემატიკის შესარჩევად ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ბერძნულ მითოლოგიას, ლეგენდებსა და ზღაპრებს, ალეგორიულ ნაწარმოებებს მიმართავდნენ. ამგვარად, ნაწარმოების შერჩევა მტკიცედ დაცული თემატიკით ხდებოდა.

ვერსალის პარკის ქანდაკებები და სკულპტურული ჯგუფები საფრანგეთის გამოყენებითი ხელოვნების ორმა თაობამ და გაძოჩენილი მოქანდაკეების დიდმა ჯგუფმა შექმნა. მათი შემოქმედების შედეგად ვერსალის პარკსა და ტრიანონის ბაღებში დაიდგა 2500-ზე მეტი ქანდაკება, სკულპტურული ჯგუფები, ჰერმები, ლარნაკები და მცირე არქიტექტურული ფორმები. ვერსალისა და ტრიანონის ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და საპარკო ხელოვნების ნიმუშებს ამშვენებს იმ დროის გამოჩენილი მოქანდაკეების ნაწარმოებები, როგორც იყვნენ: ბერნინი, ანტუან კვაზევოკსი, პიერ პიუჟენ, მ. დეჟარდენი, ფრანსუა ჟირარდონი, ლე გრო, ლე გონგრა, ლესპინოლა, ბ. ტიუბი, რენოდენი, ბალთაზარ მარსი, ლე გონტა, ჟუვიენი, გუზო, მაზელინი, ბირეტა, ლაღუარო, მანიე, ეოლა, ა. ფლამენი, ლესპანდელი, ვან კლევი, ლ. ვიდი, ჟ. ლემუანა, სიგიზბერტ ადამი, ბუშარდონი, პულეტიე, დედიე, მაზიერა, ვან კლევი, რაიოლა, გ. მარსი და მრავალი სხვა.

ამ გამოჩენილი მოქანდაკეების ნაწარმოებების უმრავლესობა დაცულია, ზოგი დაიმტვრა და ზოგი განადგურდა კიდეც. ქანდაკების უმრავლესობამ საფრანგეთის ცნობილი მუზეუმების საცავებში დაიღო ბინა, ნაწილი კი, როგორცაა პიერ პიუჟენ „მილონ კროტონელი“ და ანტუან კვაზევოკსის „ნიმფა“, ლუვრშია გადატანილი.

ვერსალის პირველი სკულპტურები თავდაპირველად ქვის დეკორისაგან შედგებოდა, გარდა მეფის 25 საბალო ჰერმისა, 8 ღმერთის ქანდაკებისა და აპოლონის მოედანზე განლაგებული ჰერმებისა. მოგვიანებით ქვის სკულპტურულ მასალას მარმარილო ცვლის, ხოლო ქვის ქანდაკებები პალეროიალში (პარიზი) გადაიტანეს.

შემდგომ წლებში ქანდაკებები და სკულპტურული გამოსახულებები მოლოქრული მასითა და ქიმიური საღებავებით იქნა დამშვე-

ნებული. გადმოცემით, მოქრული ქანდაკებები მუქი მწვანე მერქ-  
ნიანი მცენარეების ფონსა და ხასხასა მოლზე წარუშლელ მთაბეჭდი-  
ლებას ტოვებდნენ. თანამედროვე პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ  
უმრავლესობის პლასტიკური ფორმა აღდგენილია, ისინი გამურუ-  
ლია და ჟამთა დროის მწვანე ჟანგი გადაჰკრავს.

საფრანგეთის სკულპტურა ბევრად განსხვავდება დასავლეთ ევ-  
როპის სხვა ქვეყნების ქანდაკებათა ნაწარმოებებისაგან. განსაკუთ-  
რებით დიდი სხვაობაა ვერსალის საპარკო სკულპტურულ განძეუ-  
ლობასა და იტალიის საპარკო ზელოვნების სკულპტურულ გამოსა-  
ხულებათა შორის. ვერსალის ქანდაკებები მხოლოდ პარკში დასად-  
გმელად იქმნებოდა, ისინი განსაკუთრებული პროფესიული ტაქტით  
ჩართულნი იყვნენ საპარკო კომპოზიციაში და მცენარეული საფარის  
განუყოფელ ნაწილად იყვნენ გადაქცეულნი. ფრანგული სკულპტუ-  
რა მწვანე ნარგობას მეტ შნოსა და ლაზათს მატებდა, ვიდრე იტა-  
ლიური სკულპტურა, იგივე ბალ-პარკებისათვის შექმნილი. იტალიის  
ბალებში ქანდაკება შენობა-ნაგებობების დამატებით ელემენტს წარ-  
მოადგენდა და, როგორც წესი, არქიტექტურის ფარგლებს სცილდე-  
ბოდა.

ვერსალის ქანდაკება დიდად დამოკიდებულია მცენარეული სა-  
ფარის დეკორაციულ გადაადგილებებსა და კომპოზიციურ შინაარს-  
ზე, ხოლო სკულპტურის შემოქმედებითი სპეციფიკა არქიტექტურუ-  
ლი ფორმების ხასიათს პასუხობდა და სივრცობრივი რითმიკის ერთ-  
გვარი შემავსებელი იყო. ამიტომაც, ქანდაკებების ადვილს სკულ-  
პტურული ფიგურები იკაეებდა, ფიგურებს ჰერმები ცვლიდნენ,  
ხოლო ჰერმების ადგილებზე დეკორაციული ლარნაკები თავსდე-  
ბოდა.

ვერსალის ქანდაკებათა ერთ-ერთ კატეგორიას ჰერმები წარ-  
მოადგენს, რომელთა ოთხკუთხა ტუმბზე ან სვეტებზე ძველი ბერ-  
ძნული ბიუსტებია დადგმული. ერთ-ერთი ასეთი კუთხეა ლატონის  
შადრევანთან განლაგებული მოედანი. აქ არსებული ჰერმები სიდი-  
დით გამოირჩევიან და, რითმულად განლაგებულნი, მეტად მოხდე-  
ნილ იერს ანიჭებენ მცენარეთა ლანდშაფტს. ლატონის შადრევანთან  
განლაგებულია შემდეგი ჰერმები: მოქანდაკე ლესპანდელის — დიო-  
გენი, პულეტის — ცერერა, გუზოს — ფაუნი, დედიეს — ვაქხანალი,  
ლე კონტას — ჰერკულესი; ხოლო ხეივნის საპირისპირო მხარეს  
რითმულ თანაფარლობაში მოთავსებულია მოქანდაკე მაზიერას  
აქილეოსი, ლე გროს — პანდორა, ვან კლევის — მერკური, რაიო-

ლას — პლატონი, მანიეს — ცირცვა. ხელოვნური შესრულებით შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია აპოლონის აუზთან ისეთი ჰერმები, როგორცაა: მოქანდაკე მაზიერას — სირინკსი, ლე გონგრას ვერტუმნი და პომონა. შედარებით დაბალი ხარისხისაა ჰერმები, რომლებიც მწვანე ხალიჩასთან გზის გასწვრივაა განლაგებული. ეს ჰერმები, რომლებიც რომში დაამზადეს, ხოლო თიხის ყალიბები მხატვარ ნ. პუსენის ხელმძღვანელობით შესრულდა, თავდაპირველად ეო-ლე-ვიკომტისათვის მზადდებოდა.

პარკის ტერიტორიაზე ჰერმები სკულპტურული აღნაგობითა და შესრულების მანერით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ პუსენის ჰერმები ანტიკური ხელოვნების ზეგავლენით იმდროინდელ იერსა და ხასიათს გადმოგვცემდნენ, ხოლო ბიუსტისაგან სვეტზე დამატებით დეკორაციულ მოკაზმულობაზე გადმოდითა. სრულიად განსხვავებული შესრულების მანერა გააჩნიათ ჰერმებს, რომლებიც ლატონისა და აპოლონის აუზებთანაა განლაგებული. ამ ადგილებში ჰერმი შემდგარია დაბალ სვეტზე, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ალევორიულ მოკაზმულობას და, ჩვეულებრივად, მარტივი ფორმისაა და დაუშუშავებელი.

ვერსალისა და ტრიანონის ბაღებში სკულპტურები ბოსკეტებისა და მცენარეული კომპოზიციების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. მცენარეთა მხატვრული დაჯგუფება და მათი სილამაზე ქანდაკებებისა და სკულპტურულე ჯგუფის გარეშე წარმოუდგენელია. მაგალითად „სამი შადრენის“ ხეივანში საყოველთაოდ აღიარებული სკულპტურებია: მოქანდაკე მარსის „გარიჟრაჟი“, მანიეს „გაზაფხული“, ლე გროს „წყალი“, ლე გონგრას „ჰაერი“, დე ჟარდენის „ღიაწა“ და მაზელინის „ევროპა“. ეს სკულპტურები დიდ კეთილშობილებას განასახიერებენ და შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევიან.

ამ სახვითი ხელოვნების განსაკუთრებულ ჟანრს დეკორაციული ლარნაკები და ვაზები შეადგენენ, რომლებიც ვერსალისა და ტრიანონის მცენარეულ საფარში უხვადაა გაბნეული. მრავალი ვაზა და ლარნაკი მაღალი მხატვრული გემოვნებითაა დამზადებული და მოცულობით დიდი, მასიური, ზოგჯერ უზარმაზარი ფორმისანი არიან. მათი დეკორაციული მოკაზმულობა მდიდრულია და, როგორც წესი, ფიგურული რელიეფებითა და გამოძერწილი ორნამენტებითაა შემკული. ამ სკულპტურული ჯგუფების შეფერადება მეტად მოხდენილია, ადრე მოოქრული იყო, ხოლო ნაწილი ძვირფასი მინერალები-

საგან (მარმარილო, მალაქიტი, გრანიტი) არის დამზადებული. უმრავლესობა ჩამოსხმის მაღალი ტექნიკით გამოირჩევა. მართაველი, როგორც წესი, ხასხასა მოლია, ხოლო მცენარეებთან მარმარილო წყობაში დამოუკიდებელი არქიტექტურული სტილი ახასიათებთ. ამლაგვარი მცირე არქიტექტურული ფორმები და ელემენტები საპარკო-საბალო ხელოვნების ძირითადი პრინციპებისა და იდეების შექმნისათვის მთავარი კომპონენტებია, ხოლო ვერსალის მცენარეულ საფარში — სილამაზისა.

ფრანსუა ჟირარდონი (1628—1715) ფრანგული გამოყენებითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეა, რომელმაც ვერსალის სასახლისა და პარკის არქიტექტურულ გაფორმებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. იგი გამოჩენილი მოქანდაკის ლორენცო ბერნინის მოსწავლეა. 1645—1650 წლებში ჟირარდონი იტალიაში სწავლობდა და დიდი მოქანდაკის ბერნინის ხელმძღვანელობით იტალიის ანტიკურ ხელოვნებას ეუფლება. 1715 წელს იგი საფრანგეთში ბრუნდება და მხატვარ შარლ ლებრენტან შემოქმედებითი თანამშრომლობით ვო-ლე-ვიკომტის სასახლის გაფორმებაზე მუშაობს. მისი უშუალო მონაწილეობით ვერსალსა და ლუვრში აპოლონის დარბაზი შეიქმნა.

1677 წელს ჟირარდონმა მსოფლიოში ცნობილ ქანდაკებათა ჯგუფი შექმნა, რომელსაც „პროზერპინას მოტაცება“ დაერქვა. სკულპტურული ჯგუფი ცილინდრულ კვარცხლბეკზეა განლაგებული, რომელიც დიდებული პლასტიკური რელიეფების მოკაზმულობით გამოირჩევა, სადაც პლუტოსის მიერ პროზერპინას გატაცება და დაღვენებული ცერერას ექსპრესიული ფიგურებია განლაგებული. სკულპტურული ჯგუფი გადმოსცემს ბრძოლისა და მოძრაობის ხასიათს, რაც დიდი დინამიურობით და რთული კომპოზიციური სიცხადითაა გადაწყვეტილი. ჟირარდონი შეგნებულად მოერიდა დრამატული დამაბულობისა და კონტრასტულად პლასტიკური ფორმების ასახვას. მან ქანდაკების ხაზოვანი ექსპრესის რითმი დეკორაციული გამოსახულების მთლიანობას დაუქვემდებარა. ამიტომაც, რომ ყოველი მხრიდან ხილვისას ქანდაკების კომპოზიცია პლასტიკური ასპექტის სიუხვით გამოირჩევა. 1685 წელს ეს კომპოზიციური ვითარება გამოიყენა არქიტექტორმა მანსარმა და ჟირარდონის „პროზერპინას მოტაცება“ მრგვალი კოლონადისეული ბოსკეტის შუაგულში მოათავსა.

ჟირარდონის „აპოლონი და ნიმფები“ კლასიკურ ფორმებშია გადაწყვეტილი. სკულპტურული ჯგუფი 1666 წელს შეიქმნა. იგი

ვერსალის ბადის ერთ-ერთ ულამაზეს ფეტიდის მღვიმეს ამშვენებდა. ვერსალის სასახლის მორიგი გადაკეთებისას მღვიმე მოშალეს და მისი შესანიშნავი იერი მხოლოდ ჟაკ ლეპოტრის გრაფიურაზე შემორჩა, სკულპტურულმა ჯგუფმა კი პარკის მაღალტანიანი ხეების ერთ-ერთ ბოსკეტში დაიდო ადგილი. ნიმფების ჯგუფში აპოლონის ფიგურა მეტად მომხიბლავია. ჟირარდონმა აპოლონის თავი გამოძერწა ცნობილი ანტიკური ქანდაკების აპოლონ ბელვედერის მიხედვით.

ვერსალის პარკში ჟირარდონის ნაწარმოებები უხვადაა წარმოდგენილი. ერთ-ერთ კუთხეს ალეგორიული გამოხატულებით ამეტყველებული „ზამთარი“ და „მოცურავე ნიმფების“ რელიეფი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი 1675 წელს შეიქმნა და შინაგანი გრძობის დიდი გამომსახველობით გამოირჩევა.

ანტუან კვაზევოკსი (1640—1720) საფრანგეთის ერთ-ერთი გამოჩენილი მოქანდაკეა, რომელმაც ნაირსახოვანი და მრავალხასიათიანი კლასიკური ნაწარმოებები შექმნა. სამეფო კარის მოქანდაკე კვაზევოკსი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით მუშაობდა როგორც ვერსალის სასახლეში, ასევე პარიზის სამეფო რეზიდენციის კარზე. მისი შარლ ლებრენტან ერთობლივი მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებით საინტერესო დეკორაციული მოკაზმულობით სარკეებიანი და ომის დარბაზები გამოირჩეოდა. ხელოვანთა ყურადღებას იპყრობდა არა მარტო აპოლონის თვალსაჩინოება ან მუხების, ნიმფების ან წელიწადის დროთა ალეგორიული გამოსახულებანი, არამედ უმთავრესად ლუდოვიკო XIV-ის პიროვნების განდიდება, რომელიც სახელმძღვანელო მთავარსარდლის ალექსანდრე მაკედონელის, ზოგჯერ რომაელი ცეზარის, მზის ან რომელიმე ზეციური ღმერთის მსგავსებით სიმბოლური გამოხატულებით იყო წარმოდგენილი.

კვაზევოკსმა დიდი დეკორაციული ოსტატობით შექმნა ოვალური რელიეფი „რეინის გადალახვა“, რომელიც ომის დარბაზის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს. ამ ნაწარმოებში ძირითად თემას კვლავ ლუი XIV წარმოადგენდა, რომელიც გაჭენებულ ცხენზე იჯდა, მტერს მუსრავდა და გამარჯვების შარავანდელით მოცულს დიდების გვირგვინი ამკობდა. ეს რელიეფი მეტად მოხდენილად ერწყმის ინტერიერს, რომელიც ვარდისფერი მარმარილოს ჩარჩოშია მოქცეული. მისი შემოქმედებითი ნიჭი აისახა აგრეთვე, სკულპტურულ ჯგუფში „ნიმფა ნიჟარით“, რომელიც სრულიად განსხვავებული ხა-

სიათისაა. ქანდაკება ლირიულია. ჩაფიქრებული ფიგურა სინაზესა და სინარნარეს გადმოგვცემს.

საყურადღებოა მდინარეთა დორდონისა და გარონის ალღეორიული გამოსახულებები, რომლებიც მაღალდეკორაციულია, ამაყ გრძნობებს გამოხატავენ და დიდებული იერით წყლის პარტიერის კოლორიტს ამკობენ. იგი ავტორია ურიცხვი პორტრეტებისა და ბიუსტების. მათ შორის ნატიფი სილამაზითა და შესრულების ინდივიდუალური მანერით გამოირჩევა ლუდოვიკო XIV-ის, ლებრენის, ოღრანის და სხვათა პორტრეტები.

პიერ პიუჟე (1620—1694) ფრანგული სკულპტურის უბადლო ოსტატი, რომელმაც XVII საუკუნის ფრანგულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. იგი მარსელში დაიბადა. წარმოშობით ქვის მთელის ოჯახიდან იყო. ბავშვობა ვემოსაშენებელ სახელოსნოში გაატარა, სადაც ხით ხურობას ეწეოდა. სიჭაბუკეში იტალიაში გაემგზავრა, სადაც ცნობილი დეკორატიორ-ფერმწერის პიეტრო და კორტონის სახელოსნოში ოსტატდებოდა. პიუჟემ თავისი ნიჭი და მისწრაფება ქანდაკებების ძერწვაში გამოავლინა. იგი პარიზში მუშაობდა, თუმცა ძირითად ცხოვრებას მარსელში, ტულონსა და გენუაში ატარებდა. იგი ხანმოკლე დროით კვლავ ვემოსაშენებელ სახელოსნოში ბრუნდება და ხის კვეთილობით აფორმებს სამხედრო ხომალდებს. ამ საქმიანობაში პიუჟეს ძალზედ გამოადგა კორტონის გაკვეთილები და ხეზე მხატვრული კვეთილობის დიდი გამოცდილება, რომლის წყალობით მან რთული და საინტერესო დეკორაციული კომპოზიციები შექმნა. პიუჟეს აქაც ბედმა უმტყუნა. პიუჟეს შემოქმედება სამხედრო ხომალდებზე იმდენად მომხიბლავი იყო, რომ მტრის ყურადღებას იპყრობდა და მიზანში ამოღების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ამიტომ სამხედრო ოფიცრებმა იჩიველეს და 1671 წელს განსაკუთრებული ბრძანებით პიუჟე სამუშაოდან დაითხოვეს.

პიუჟეს გენიალური ქმნილებაა „მილონ კროტონელის“ მარმარილოს ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად ვერსალის პარკისათვის იყო განკუთვნილი. პიუჟემ ძლიერ რთული პლასტიკური კომპოზიცია მეტად მკაფიოდ და დახვეწილ ფორმებში ასახა. ლეგენდით, ცნობილი ათლეტი მილონი წარმოშობით კროტონიდანაა. იგი, დარწმუნებული თავის ძლიერებაში, შიშველი ხელებით აპობს კუნძს, რომელშიც თითები ჩაჰყვა, და გამძვინვარებული ლომის თავდასხმას ცალი ხელით იგერიებს. გმირული ბრძოლა და უთანასწორო შერკინება

მაღალი პათოსითა და დიდი დრამატიზმითაა გადმოცემული. მილონის ტანჯულმა და პათეთიკურმა გამომეტყველებამ, მისი ტანის დაკუნთულმა სიძლიერემ და გამარჯვებისაკენ ღლღლვამ სპარკოსკულპტურათა ანსამბლში თვალსაჩინო და თემატური დისონანსი შეიტანა. ამიტომ ხანმოკლე დროის შემდეგ მუზეუმის ექსპონატის ადგილი დაიმკვიდრა.

1715 წელს ლუდოვიკო XIV გარდაიცვალა, „მეფე-მზის“ სიკვდილის შემდეგ ვერსალის სასახლისა და პარკის არსებობა მნიშვნელოვნად შეფერხდა. სასახლესა და პარკში მჩქეფარე სიცოცხლე შენელდა, იკლო დღესასწაულების რიცხვმაც და პარკის არსებობა თანდათან მივიწყებას მიეცა. მიუხედავად ამისა, ვერსალი იმხანად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ბევრი მოგზაურისა და მნახველის ყურადღებას იპყრობდა. ერთ-ერთი დამთვალიერებელი რუსეთის ხელმწიფე პეტრე პირველი იყო. მას ადრეც ჰქონდა გადაწყვეტილი საფრანგეთში მოგზაურობა და ვერსალის ნახვა, განსაკუთრებით სურდა, სახელმძღვანელო საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის გაცნობა, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს ბელუკუმართობამ და გაუთავებელმა ომებმა, ხოლო მოგვიანებით ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებამ პეტრე პირველს ამის საშუალება არ მისცა.

პეტრე პირველმა საფრანგეთში მხოლოდ 1717 წლის აპრილში იმოგზაურა. საფრანგეთის სახელმწიფოს იმხანად ლუდოვიკო XV მართავდა. საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად ჩასული რუსეთის ხელმწიფის რეზიდენციად დიდი ტრიანონი იყო გამოცხადებული. საფრანგეთმა და მეფის კარმა ევროპის ომებში გამარჯვებული მთავარსარდალი უდიდესი პატივით მიიღო. პარიზში პეტრე დიდმა 26 აპრილიდან 9 ივნისამდე დაჰყო და საფრანგეთის ეროვნული კულტურის მატერიალური ძეგლების უმრავლესობას საფუძვლიანად გაეცნო. მან მოინახულა: არსენალი და სააფთიაქო ბოსტანი, გობელენების ფაბრიკა, მინის ქარხანა, სურათების გალერეა, ეკლესიები და ისტორიული ტაძრები, ბალ-პარკები, საინჟინერო ნაგებობები და სასახლეები.

საფრანგეთში მოგზაურობის მეთოთხმეტე დღეს პეტრე I-მა ვერსალის პარკში მთელი დღე დაჰყო. მის პატივსაცემად პარკის ყველა შადრევანი და წყლის სათამაშო აუზი ამუშავდა. სასახლის დათვალიერების შემდეგ რუსეთის ხელმწიფე დიდ არხზე გაასეირნეს და სამეფო ხომალდით ლუი XIV-ის საზაფხულო რეზიდენციაში

(მენაქემში) მიიყვანეს. ის მცირე ტრიანონში გაეცნო არქიტექტურულ და საპარკო ხელოვნებას.

პეტრე I დიდი ყურადღებით ეცნობოდა ვერსალის პარკის თოეულ კუთხეს, განსაკუთრებით წარუშლელი შთაბეჭდილება მასზე ლაბირინთმა მოახდინა — იგავთმწერალ ეზობის არაკების მიხედვით შემქმნილმა სკულპტურებმა და შადრევნებმა. მოულოდნელად გაახსენდა ნევის პირზე განლაგებული ლუსტგარტენი და აღელვებით წარმოსთქვა: „თუ კიდევ სამი წელიწადი ვიცოცხლე, მე მექნება უკეთესი ბაღი, ვიდრე საფრანგეთის მეფის ეს ვერსალია“.

შადრევნებითა და აუხებით განცვიფრებულ პეტრე პირველს არქიტექტორი ლებლონი გააცნეს. მან დაითანხმა სახელგანთქმული ხუროთმოძღვარი, რათა რუსეთში გაჰყოლოდა, შემდგომში ცნობილი პეტერგოფის სასახლისა და პარკის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ლუდოვიკო XIV-ის მომდევნო თაობას ვერსალის სასახლე და შესანიშნავი პარკის ბედი ნაკლებად აინტერესებდა. დრო კი თანდათან მიდიოდა. ახალი ეპოქა ახლებურ ამოცანებს სახავდა. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა თანდათან დაიძაბა.

1722 წელს სამეფო კარი ვერსალში დაბრუნდა. ლუდოვიკო XV, წინამორბედი ლუდოვიკოებისაგან განსხვავებით, თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა. მას ნაკლებად აინტერესებდა ხელგამლილობა და ფუფუნებით ცხოვრება. ამასთან იგი იშვიათად იწვევდა სამეფო აღლუმებს, მეჯლისებსა და დღესასწაულებს.

ლუი XV-მ სასახლის ინტერიერი მნიშვნელოვნად გადააკეთა და იმხანად ცნობილი პატარა აპარტამენტები მოაწყო, სადაც რამდენიმე ფავორიტის მონაწილეობით საღამოებს აწყობდა. თუმცა იყო მომენტი, როდესაც ლუი XV-მ შენობის გადაკეთების ნაცვლად უზარმაზარი და შესანიშნავი სასახლის ასაგებად ახალი გეგმა დაამუშავა, მაგრამ სახსრების უკმარისობის გამო დაინტერესების ნაპერწკალი ხანმოკლე დროში ჩაქრა. ამგვარად ლუი XV-ს საინტერესო წამოწყება სამუდამოდ განუხორციელებელი დარჩა.

ლუდოვიკო XV-მ ტრიანონში ბოტანიკური ბაღი მოაწყო, რომელიც ევროპაში პირველი, ღია ცის ქვეშ არსებული მეცნიერული დაწესებულება იყო. მეფე დიდ დროს ბაღში ატარებდა. იგი მიწას ამუშავებდა, რვაგადა კიდევ. დასვენების ჟამს ბუნებას აკვირდებოდა. იმხანად განსწავლული ლინაკუსი ამბობდა, რომ „ეს ბაღი თავისსავე პერიოდის საუკეთესო ბაღია, რომ ლუდოვიკო XV და ბერნარ შუ-



სიე საუკეთესო მებაღეებია“. ლუი XV იმდენად შეეთვისა ამ ბაღში ყოფნას, რომ განკარგულება ვასცა პატარა ნაგებობა ამგვარად რაც საფუძვლად დაედო პატარა ტრიანონის სასახლის მშენებლობას. ამ საინტერესო და საუცხოო შენობის ავტორია არქიტექტორი ჟაკ-ანჟ გაბრიელი, რომელმაც 1762 წელს ლუი XV-ის და მადამ პომპადურის უშუალო მითითებით დააგეგმარა და აავო მცირე ტრიანონის შენობა. პატარა სასახლის ფასადი ორანჟერიის მიმართულებით იყო განლაგებული, რომელსაც ხასხასა მოლი და იშვიათი მცენარეები-საგან დარგული პარტერი ამშვენებდა.

1775—1783 წლებში მცირე ტრიანონი ინგლისური რომანტიკული ბაღის სახეს ღებულობს. მისი ავტორია ანტუან რიშარი, რომელიც ინგლისში მოგზაურობის დროს ლანდშაფტური ბაღ-პარკების მღვომარეობას გაეცნო. მისი დაგეგმარებული და დაკვალული ბაღი ბუნებასთან მჭიდრო კავშირშია. ვერსალის პარკში, გეომეტრიული გზებისა და მოედნების ნაცვლად, რიშარი ტალღისებური მოყვანილობის გზა-ბილიკებს იყენებს, ხოლო კლასიკურ სტილში აგებულ როტონდას ბუნებრივად და თავისუფლად დარგულ მერქნიან მცენარეთა კომპოზიციას უხამებს. რაც შეეხება წყლის ელემენტებს, განსაკუთრებით მდინარესთან, რიშარი აჯგუფებს დეკორაციულ მცენარეებს, რის გამოც ტბის სანაპირო მეტად მოხდენილი, მსუბუქი და ჰაეროვანია არქიტექტურულ ფორმებს შორის. აქვე, ტბის განუყოფელ ელემენტებში სასაუბროები და ჰავილიონებია ჩართული.

პატარა ტრიანონის სასახლე პარკის ტიპიური ელემენტია და არქიტექტურული თვალსაზრისით ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მისი ფასადი დიდებული იერისაა, ხოლო ბაღის მხრიდან, სადაც ძველებური ფრანგული პარტერებია შედგენილი, მას მინიატურული საპარკო ჰავილიონის იერი აქვს. რიშარმა მარია-ანტუანეტას სახელი ორგანულად შეუხამა გარემო ბუნებას და შეეცადა საპარკო ხელოვნებაში ლანდშაფტთან შერწყმის ახალი გრძნობა გამოესახა. იგი ასაბუთებს, რომ თუ ვერსალში დიდი სასახლე ცალკე არქიტექტურული ძეგლია და ბუნებასთანაა შეხამებული, პატარა ტრიანონის სასახლემ არა მარტო ბუნება უნდა გაალამაზოს, არამედ ბუნებასთან შერწყმული ლანდშაფტის ერთ-ერთი კომპონენტთაგანი უნდა გახდეს. ვერსალის პარკში ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და მცირე არქიტექტურულ ფორმებზე შესანიშნავი ხედი იხსნება, მაგრამ მათთან მისვლა ან მიახლოება უმოკლესი გზით ან ბილიკით შეუძლებელია. ვინაიდან შესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლს დი-

დებულად გაფორმებული მისასვლელები უნდა გააჩნდეს, ხოლო ტრიანონის ბაღში შექმნილი ლანდშაფტი ბუნების აუცილებელი ელემენტია, ამიტომ ბუნებასთან შერწყმული არარეგულარული გეგმარება იმდაგვარად უნდა მოწყობილიყო, რომ თითოეული ლანდშაფტის ან ბუნებრივი ელემენტის უახლოესი გზა-მოედანი ბუნებასთან მჭიდრო კავშირში ყოფილიყო. ანტუან რიშარმა ამ დებულებას შესანიშნავად ვაართვა თავი. მცირე ტრიანონის ძირითად ლეიტ-მოტივს არქიტექტურული ნაგებობებისა და ბუნებრივი კომპონენტების ურთიერთშერწყმა წარმოადგენდა.

1774 წელს საფრანგეთის მეფედ ლუდოვიკო XVI აკურთხეს. მისმა მეფობამ ვერაფერი შესძინა ვერსალის სასახლეს და პარკს. ეს პერიოდი ვერსალისათვის ერთგვარი გაყინვისა და დაკნინების ხანაა. 1774 წელს ლუი XVI-მ დიდ სამეფო მემკვიდრეობა მიიღო, მაგრამ სასახლე და პარკი უკვე განწირული იყო. მერქნიან მცენარეთა ნარგობამ, რომლებიც 1665 წლიდან მოზრდილ ასაკში იყო, 80–100 წლის შემდეგ, უკვე ლუი XVI-ის მეფობის პერიოდში დეკორაციული ღირსება დაკარგა. მათი შეცვლა, ახალი მცენარეებით შევსება და სხვა ქვეყნებიდან გამოწერა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული; რასაც მეფის კარის ისედაც გამოცარიელებული ყულაბა ვერ აიტანდა. ამიტომ, პარკში მცენარეების შევსება აქა-იქ ჩატარდა, ისიც ძალზედ ზერელედ. ამის ნათელი დადასტურებაა ძვირფასი ცაცხვებისა და წაბლის შესანიშნავი ვარჯიანი მცენარეების ნაკლებადღირებული და დეკორაციულობას მოკლებული ეკლის ხითა და ნეკერჩხლით შეცვლა. ამხანად, ვერსალის ისტორიულ ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას ან განსაკუთრებულ საინტერესო შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ლუდოვიკო XVI-მ პატარა ტრიანონი მარია-ანტუანეტას უსახსოვრა. დედოფალი, ისე როგორც საფრანგეთის მეფე, სამეფო კარის ბედ-იღბალზე ნაკლებად ზრუნავდა. მათი დროსტარება და ცხოვრებისეული რითმი თანამედროვეობისაგან მოწყვეტით ძალზე შემოფარგლული იყო. მართალია დღესასწაულების მასშტაბები ძალზე მცირე იყო, მაგრამ დროსტარება თავიანთ ვიწრო წრეში ხშირსა და გულუხვ სახეს ღებულობდა; ეს კოლორიტი დიდი მონდომებითაა სამეფო კარის ფერწერულ ტილოებზე ასახული.

მარია-ანტუანეტამ პატარა ტრიანონში ნაწილობრივი ცვლილებები მოახდინა. იმხანად საბალო-საპარკო ხელოვნებაში გეომეტრიული სტილი საბოლოოდ მიივიწყეს, აღარავის აინტერესებდა

ლენოტრისეული ხერხები და კეთილშობილური პერსპექტივები, რითაც ბოტანიკურმა ბაღმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა.

1780 წელს სამეფო ბაღების დირექტორად გრაფი კარელანი დაინიშნა, რომელმაც ტრიანონის ბაღი ინგლისურ და, მთავრანებისა, ჩინურ საბაღო სტილში გადააკეთა. ეს საბაღო სტილი და მიმართულება იმხანად მეტად გავრცელებული იყო და დედოფლის მოწონებასაც იმსახურებდა. მართალია კარელანი სპეციალისტი არ იყო, მაგრამ დედოფლის კარნახით ბუნებრივი პეიზაჟები შექმნა — იმხანად საბაღო ხელოვნებისათვის ნაკლებად გავრცელებული და ჯერ კიდევ ფეხმოუკიდებელი ახალი მიმართულება. ბუნებასთან შეხამებით და ბუნებრივი ელემენტების ნატურიდან გამომდებოდა კოხტა ბექობები და გორაკები შეიქმნა, რომელზედაც საპარკო ნაგებობები (ბელ-ვედერი, კოშკი) აღიმართა. მცირე არქიტექტურული ფორმები ბაღის ბუნებრივ სტილს დაუქვემდებარეს და წყლის ბუნებრივი ელემენტებიც უხვად გამოიყენეს. თუ ვერსალის პარკს წყლის ელემენტების სახით რეველარულ სტილში გამოკვეთილი აუზები და შადრევნები, კასკადები და წყლის პარტერები ამშვენებდა, პატარა ტრიანონში წყლის ბუნებრივ ელემენტებს ტბა და მასში ჩამავალი მდინარე-ნაკადულები, რუ და წყალვარდნილები წარმოადგენდა.

1783 წელს მარია-ანტუანეტას მითითებით სოფლური ყაიდის მსგავსი საპარკო განყოფილება აშენდა. ფაქტიურად, ეს მინიატურული წალკოტი დედოფლის მიერ გამოგონებულ და შექმნილ სოფელს წარმოადგენდა. ამ ევზოტიკური კოლორიტის ხილვით იგი ძალზედ ერთობოდა და მისი განკარგულებით იქ მცხოვრებ გლეხობასა და მსახურებს მუშაობის დროს აუცილებლად უნდა ემღერათ. მაგალითად, მოჩუხჩუხე ნაკადულში თეთრეულის რეცხვისას გოგონები სამუშაოს სიმღერით ასრულებდნენ, ხოლო საოჯახო ცხოველებს, განსაკუთრებით ძროხებს, ყოველდღე აბანავებდნენ და ჭრელ-ჭრელი ბაფთებით რთავდნენ.

პატარა ტრიანონის ბაღის ერთ-ერთ კუთხეს დიდი წყალსაცავი ამშვენებდა. ტბის გარშემო სოფლურ კოლორიტში აიგო: წისკვილი, ქოხები, დედოფლის სახლი, ბუღიარი, მალბოროს კოშკი, სამტრედე, საჯინბო; დედოფლის პატარა თეატრში იმხანად გახმაურებული კომედიები იდგმებოდა, რომელშიც დედოფალი მსახიობების თანდასწრებით მთავარ როლს ასრულებდა.

1781—1783 წლებში არქიტექტორმა მიკმა ვერსალის სასახლეში მარია-ანტუანეტას აპარტამენტები მოაწყო. მასვე ეკუთვნის პა-

ტარა ტრიანონში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, როგორც იყო: ბელვედერი და მიჯნურთა ტაძარი. მცირე არქიტექტურული ფორმები იმდაგვარადაა განლაგებული, როგორც ტიპურად ბუნებაშია მოცემული. ამიტომაცაა, რომ არქიტექტორ მიკის მონდინი-ლი ნაგებობები სოფლის ქოხმახებს ჩინურ პავოდასა და გოთიკურ ნარგავებს ჰარმონიულად ეხამება.

მომღვენო წლები ვერსალის პარკის ისტორიასა და მისი მცენარეული საფარის არსებობაში ცნობილია, როგორც დაღმავალი, გაჩანაგების ხანა. შესანიშნავმა ხეივნებმა და მასივებმა პირვანდელი სახე დაჰკარგეს. მოუვლელობით მრავალი ხე და ბუჩქი გაჩნდა, აღარაფერი ითქმის ფაქიზად შექმნილ გაკრეჭილ ბოსკეტებსა და ტოპიარული ხელოვნების ნიმუშებზე. სქელვარჯიანი და დეკორაციული მცენარეები, რომლებიც სისტემატურ და რეგულარულ კრეჭვას მოითხოვდნენ, უსახლვროდ გადაიზარდნენ. ბევრს ტოტები და ვეგეტაციური ორგანოები შეახმათ. მცენარეებმა და ყვავილებმა ბუნებრივი იერი დაჰკარგეს. ვერსალის ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც მცენარეებიც კი გაიყიდა. ვერსალის პარკის ეს ტრაგიკული ეპიზოდები მინორული შთაბეჭდილებებითა და ღრმა დრამატიზმით ასახა მხატვარმა გიუბერ რობერმა. იმდროის მწერლებსა და პოეტებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ ვერსალის მწუხარე დღეები. პოეტმა დელილმა პოემა შექმნა, სადაც გლოვით მისტიროდა ვერსალის ბაღს და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მცენარეულ საფარს.

1789 წელს ვერსალის სამეფო დინასტიის უდიდესი დღეები დასასრულს უახლოვდებოდა; სამეფო კარის წუთები დათვლილი იყო. საფრანგეთში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ იფეთქა. 1789 წლის მაისში ვერსალის სასახლეში შეიკრიბნენ გენერალური შტაბის დელეგატები. ივნისის თვეში სახელმწიფო ნაციონალურ ანსამბლედ გამოაცხადეს და დეპუტატებმა შეჰფიცეს არ დაიშლებოდნენ, ვიდრე საფრანგეთი კონსტიტუციას არ მიიღებდა.

1789 წლის 4 ოქტომბერს დედოფალი მარია-ანტუანეტა პატარა ტრიანონშია. მის მწუხარებასა და გლოვას საზღვარი არა აქვს, ვინაიდან წინა დღით უფროსი ვაჟიშვილის დაღუპვის ამბავი შეიტყო.

ლუი XVI და დიდებული საგვარეულო წრის წარმომადგენლები შევლას ითხოვდნენ. მთელი ევროპის უძლიერეს მონარქიათა მოლოდინში ამაოდ ცდილობდნენ მეამბოხეთა ჩახშობას, მაგრამ, შეიტყვეს რა მეფისა და დედოფლის დაღატი, მშვიერ-მწყურვალნი და გაღატაკებული მეამბოხეები ვერსალისაკენ დაიძრნენ.

1789 წლის 5 ოქტომბერს ფრანგული მონარქიის აგონია დაიწყო. სამეფოს კარმა და მეფის ოჯახმა ვერსალი დატოვეს. ლუი XVI-მ პარიზში გამგზავრებამდე სამეფო ბაღების დირექტორი მოიხმო და სთხოვა: „ამჟამად თქვენ ხართ აქაურობის პატრონი, შეეცადეთ გადაარჩინოთ ჩემი საცოდავი ვერსალი“.

1793 წ. 21 იანვარს მოედანზე აღმართულ გილიოტინაზე მეფე ლუდოვიკო XVI-ს და მარია-ანტუანეტას თავი მოჰკვეთეს.

1789 წლის 6 ოქტომბერს ვერსალმა, როგორც საფრანგეთის პოლიტიკურმა ცენტრმა და სამეფო-სატახტო რეზიდენციამ, თავისი არსებობა დაასრულა.

რევოლუციის დღეებში ვერსალის პარკი ნაკლებად დაზიანდა, თუმცა სასახლიდან ავეჯი გაქრა და მცირედი საყოფაცხოვრებო ნივთები უგზო-უკვალოდ დაიკარგა. ამ დროს პარკის მდგომარეობაზე აღარავინ ფიქრობდა. სარეველა ბალახებმა შთანთქა ყვავილნარებისა და პარტერების ბაქნები. დიდი წყლის არხი ლერწამით დაიფარა. სადღა იყო ხელის მუშა, თუმცა პარტერებისა და ყვავილნარების გადასარჩენად რამდენიმე მეზაღემ კარტოფილი დარგო.

1837 წელს ვერსალი ეროვნულ მუზეუმად გადაკეთდა. მომდევნო წლებში ვერსალთან დაკავშირებული იყო მრავალი ისტორიული მოვლენა.

1871 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომების პერიოდში ვილჰელმ პირველმა ჰოენცოლერნმა ვერსალის სასახლეში სადღესასწაულოდ შეკრებილი საზოგადოების წინაშე გერმანია იმპერიად გამოაცხადა. ვერსალის დარბაზში 1872 წ. 10 ივნისს ბურჟუაზიული პარლამენტის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და პარიზის ისტორიული კომუნის ჩახშობის კონკრეტული ღონისძიებები დასახეს.

ქვეყნის პოლიტიკური საქმეებით გადატვირთული ნაპოლეონი ნაკლებად იყო დაინტერესებული ვერსალის ბედ-იღბალით, თუმცა განკარგულება ვასცა პარკი სრულ წესრიგში მოეყვანათ. ერთხანად, ნაპოლეონმა თავისი რეზიდენცია ტრიანონში დაიღო. ამ პერიოდში კურიოზულ მოვლენებსაც ჰქონდა ადგილი. იმპერატორის ამალიდან ერთ-ერთმა მოხელემ ნაპოლეონს ურჩია პარკში განლაგებული „მოდლიდან“ გამოსული ტყვიისა და ფოლადის ქანდაკებები გადაედნოთ. თუ ამით პარკის ანსამბლი ოდნავ დაირღვეოდა, ქვის ქანდაკებებით შეეცვალათ. საბედნიეროდ ეს წინადადება უარყვეს და ვერსალის პარკი ხელუხლებელი დარჩა.

საფრანგეთის იმპერიის პერიოდში ვერსალის ბედი თავისებურად წარიმართა. ნაპოლეონ ბონაპარტეს და, მშვენიერი დედოფალი

პოლინა პატარა ტრიანონში ცხოვრობდა, ხოლო იმპერატორის დედა — დიდ ტრიანონში. ნაპოლეონისა და ჟოზეფინას ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა დიდ ტრიანონში შედგა.

1919 წელს ვერსალში ანტანტის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და 28 ივნისს სარკეებიან დარბაზში ხელი მოაწერეს მშვიდობის ხელშეკრულებას, რომელიც ვერსალის ზავის სახელწოდებითაა ცნობილი.

ვერსალი ამჟამად იველინის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს, პარიზის სამხრეთ-დასავლეთი გარეუბანი. იგი პარიზიდან 20 კილომეტრითაა დაშორებული. პარიზს ვერსალთან საავტომობილო № 10 ეროვნული ავტოსტრადა აკავშირებს, ბურჟეს (პარიზი) აეროპორტიდან ვერსალამდე ვერტმფრენი რამდენიმე წუთში ჩადის, ხოლო ვერსალის მიმართულებით სამი სარკინიგზო ხაზით მატარებლები გადიან: მონპარნასის, ინვალიდებისა და სენ-ლაზარეს სადგურებიდან.

ვერსალში ერთ-ერთი დირსშესანიშნოაა სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტის მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის ცენტრალური სადგური. ამ სამეცნიერო დაწესებულების ძირითადი დანიშნულებაა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ახალი ჯიშების გამოყვანა. მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებებია კულტურულ მცენარეთა ჰიბრიდიზაცია და ველური მცენარეული საფარიდან პერსპექტიული სახეობების გამორჩევა. აქ ხანგრძლივი შრომის შედეგად, მოშინაურებისა და აკლიმატიზაცია-ნატურალიზაციის მეთოდების ღრმა ანალიზით, სახალხო მეურნეობაში ფართოდ დანერგვის სასარგებლო შედეგებს და განსაკუთრებით საჭირო მცენარეებს ღებულობენ. სადგურის დანარჩენი განყოფილებები ბალახოვანი და განსაკუთრებით მარცვლოვანი კულტურების სამეურნეო თვისებათა გაუმჯობესებასა და ახალი ჯიშების გამოყვანაზე მუშაობენ.

ვერსალის ისტორიული სასახლისა და პარკის საოცრებათა სრული შეფასებისათვის დამთვალეირებელი ღია ცისქვეშ მოწყობილ წარმოდგენას აუცილებლად უნდა დაესწროს. სადამომდე შემორჩენილი მნახველები საინტერესო სანახაობითი სპექტაკლის მოწმენი ხდებიან, რომელიც ვერსალის სასახლესთან და მიმდებარე პარკის მოედანზე იმართება. ეს არის საოცარი ფერადი განათებითა და მუსიკალური ჰანგებით შერწყმული კომპოზიცია — წარმოდგენა, რომელიც წამით ჩვენს წინაშე, ვერსალის და მისი სამეფო კარის

ისტორიას გვიხატავს. ზაფხულის თბილ სადამოს სახელდახელოდ გაწყობილ დიდი სასახლის ვრცელ მოედანზე მაყურებელი ძველი ყაიდის მოჩუქურთმებულ მსუბუქი ტიპის სავარძლებში ჯდებიან. გველივ ბნელდება, როგორც ეს თეატრში სპექტაკლის დაწყების წინ ხდება. მოულოდნელად გიგანტური სცენის მსგავსად სამეფო სასახლე სხვადასხვა ფერის კაშკაშა ლამპიონებით ნათდება, ზოლო საპარკო მცენარეები და მცირე არქიტექტურული ფორმები (ქანდაკება, ლარნაკი, საყრდენი კედელი, ვაზა, კიბე, სასაუბრო) ვერცხლისა და ოქროსფერი განათებით ნაირფერადოვანი შადრევნების წყლის ჭავლს მოხდენილად ეთანაწყობიან. ჰაერში მაშხალებისა და ფეიერვერკის საოცარი ნაპერწკლები დღის სინათლეებივით ანათებენ და პარკის შემოგარენს ზღაპრულს ხდიან. პიროტექნიკის ამ მოხდენილად შექმნილ ეფექტს, თითქმის წყვდიადიდან, თანდათან ძველებური მუსიკის ჰანგები ეხმატკბილება. აქვე გაისმის დიქტორის ხმა და, თითქოს ჯადოსნურმა ხელებმა გაიელვეს, სამეფო კარი და დიდი სასახლე გამოცოცხლებას იწყებს. ჩვენს წინაშე მეფის ამაღლა და ცნობილი ისტორიული პირები იწყებენ მოძრაობას, სასახლის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში გაისმის სტერეოფონური მუსიკის მელოდიები: სიმღერა, არიები, შემდეგ მენუეტი და გუნდი ერთმანეთს ეცილებიან. იწყება სამეფო კარის სადღესასწაულო მეჯლისი. აქვე გაისმის ცნობილი მომღერლის, ქალბატონ პომპადურის, სასიამოვნო რომანსი; შემდეგ სიმღერებს ცეკვები ენაცვლება და მსმენელი, სასიამოვნო ილუზიებით შეპყრობილი, მოწმე ხდება იმ ისტორიული ქრონიკებისა, რომლებიც საკმაოდ უხვადაა ასახული ამა თუ იმ სცენურ ვადაწყვეტაში. ამ სანახაობით შთაბეჭდილებას ოსტატურად შედგენილი მუსიკალური რითმები, ჰანგები და სპეციფიური ხმოვანი ბგერები ენაცვლება, როგორცაა: სიცილი, ცხენის თქარუნი, ლაპარაკი, შაირობა, სიმღერა და სხვ. ეს მუსიკალური ეფექტი იმდენად ემოციური და ძლიერია, რომ გაოგნებული მაყურებელი სასცენო მოვლენებთან ორგანულ კავშირში იმყოფება და თითქოს მისი უშუალო მონაწილეც ხდება.

სამეფო სადღესასწაულო მეჯლისი დასრულდა. მეორე სანახაობა საფრანგეთის ომების ბატალურ სცენებთანაა დაკავშირებული. ეს განყოფილება ფრანგული არმიის სალაშქროდ მზადებით იწყება. გაისმის მეფის მისალმება და მოწოდებანი, მეთაურთა შეძახილები, საომარი, მარში, ჯარისკაცთა რითმული მსვლელობა, მუხარადისა და საჭურველის ჭახუნი, იარაღების საომარ მდგომარეობაში მო-

ყვანა, ცხენების თქარათქური, ქვემეხისა და ზარბაზნების ჭრაჭუნ-  
ნი, მეომართა ღრიანცელი. ამ დროს ქვემეხებისა და შაშხანების  
სროლას ჯარისკაცებისა და კარაბინიერების შემახილები უნაცვლე-  
ბა, შემდეგ საფრანგეთის არმიის სამხედრო მარშის ჰანგები გაიხსნა,  
რათა მხედართმთავარმა მორიგი გამარჯვება მოახსენოს მეფეს. შემ-  
დეგი წარმოდგენა სასახლეშია გადატანილი, სადაც საეკლესიო  
მგლოვიარე ჰანგები და გალობა ლულოვიკო XIV-ის გარდაცვალებას  
გვაუწყებს. ამ განყოფილების სანახაობა ძალზედ შთამბეჭდავია,  
თითქოს გვერდით სიბნელიდან ვერსალის ცხოვრებას ადევნებდე  
თვალს.

საინტერესო წარმოდგენა 1789 წელს მომხდარი სახალხო რე-  
ვოლუციის ეპიზოდებით მთავრდება; სასახლეში შემოიჭრება აბობო-  
ქრებული ხალხის ნაკადი და მიზანსცენებით აჯანყებული ხალხის  
მოთხოვნებს გადმოგვცემენ. სცენაზე მსვლელობა პარკის ნაწილში  
გადაიტანება. მაყურებლის ყურადღება განათებული პარკის ერთ-  
ერთ ნაწილზეა მიპყრობილი, შემდეგ შუქი ქრება და პარკის მეორე  
მხარე ნათდება, რომელსაც ხალხის შემახილები ახლავს.

დასასრულს შუქი ქრება, მსახურნი მოედანს ტოვებენ. შადრევ-  
ნების ნაკადი თანდათან ეშვება, წყლის ზედაპირი მშვიდ, სარკულ  
გამოსახულებას ღებულობს. ზღაპრულად განათებული ნაირფერადო-  
ვანი ლამპიონები და შუქურები თანდათან ქრება და სასახლე წვედი-  
აღში იკარგება. ისტორიული პანორამის სანახაობა და ვერსალის  
ცხოვრებისეული ილუზია დასასრულს უახლოვდება.

ყველაფერი ამის ხილვა დამთვალიერებლებზე წარუშლელ შთა-  
ბეჭდილებას ახდენს.

თუ გენიალურმა პარკმშენებელმა ანდრე ლენოტრმა XVII საუ-  
კუნეში თავისი ხელთუქმნელი ვერსალის პარკი ცნობილ მცენარეულ  
წალკოტად აქცია და მსოფლიოს ხალხთა საყოველთაო აღიარება  
დაიმსახურა, ამასთან შეფარდებით, ზღაპრული პარკის ისტორიული  
ეპოქის შთაბეჭდილებათა გასაძლიერებლად, ფრანგმა ფსიქოლოგმა,  
ესთეტიკოსებმა, დიზაინერებმა, მხატვრებმა, ხელოვნებათმცოდნეებ-  
მა მხატვრული სპექტაკლ-ილუზიით XX საუკუნის ხალხთა საყო-  
ველთაო ყურადღება მიიპყრეს და ამ ეროვნული მატერიალური ძეგ-  
ლისა და მცენარეული სამკაულის მიმართ, ფრანგი ხალხის სახე-  
ლით, ერთხელ კიდევ გამოხატეს ის დიდი, ფასდაუდებელი ყურად-  
ღება, რასაც მსოფლიო კაცობრიობის წინაშე იმსახურებს ვერსალის  
პარკი.

## РЕЗЮМЕ

Архитектурный ансамбль и садово-парковое искусство Версаля высокой зодческой оригинальностью и многообразием растительного покрова является одним из важнейших и великолепных парков мира. Из того, что создано во все времена человеческим гением, Версальский парк по праву можно считать наиболее совершенным, которому нет равного по величине площади, оригинальности планировки, объемно-пространственность перспектив, по художественно-эстетическому облику, архитектурным памятникам, художественному оформлению интерьера, многообразию малых архитектурных форм, приемов построения композиции, разнообразию деревьев и кустарников, цветников и газонов, обилию водных элементов, величине водных зеркал, светосочетанию и гармоническим соотношениям декоративных признаков, великолепным цветочным партерам.

В убранстве парка ландшафтное искусство преобладает над природой. Поэтому Версальский парк является законченным и полисценным произведением не только в ряду садово-паркового искусства Европы, но его по праву можно назвать выдающимся произведением среди сокровищ парковой архитектуры мира. Версальский парк на протяжении 250 лет оповещает человечество, какими потенциальными возможностями обладал создатель великолепного парка, талантливый французский садовод-архитектор Андре Ленотр, который среди зарослей на заболоченной равнине вблизи Парижа воздвиг столь популярный в ту пору, на шумевший на весь мир зеленый оазис.

Версальский парк поражал величием и грандиозностью. Над созданием архитектурного и садово-паркового ансамбля трудилась целая плеяда гениальных ваятелей и мастеров искусств. При строительстве парка и дворца одновременно создавали свои талантливые произведения архитектуры, художники, скульпторы, декораторы, садовники, ювелиры, ткачи-специалисты и работники по прикладному и изобразительному искусству.

Автору книги, кандидату биологических наук, Шалве Георгиевичу Исакадзе при посещении Франции частично удалось познакомиться с выдающимися образцами садово-паркового искусства Европы и в ряду других сокровищ ландшафтной архитектуры детально изучить историю и современное состояние Версальского парка. Автором проделана большая работа в описании ассортимента растительного покрова парка и изучении ландшафтной композиции древесных пород с гармоническими сочетаниями архитектурных памятников, а для наглядности и обогащения монографии книга иллюстрирована черно-белыми фотоснимками, собственноручно выполненными автором, которые придают книге высокохудожественный облик.

#### SUMMARY

The Versailles architectural ensemble with its beautiful park is one of the largest and most brilliant among the parks and gardens of the world thanks to its original architecture and diverse vegetation. As to its size, original style of planning, special arrangement, artistic and aesthetic value, architectural constructions, artistry of the interior, abundance of minor architectural forms, elegant methods of gardening and park art, decorative scrubbery, a variety of flowers and lawns, abundance of water spaces and elements, enormous localities well balanced in space, harmony of colour and decorative properties, it has no parallel in anything ever created by human intelligence and dexterity in the line of park architecture.

The park at Versailles stands alone among the specimens of park ensembles as a magnificent monument of park art. For three hundred years it has set the fashion and been a vivid proof of the powers of human intellect. It is a fine standard of park art and a natural text-book of landscape architecture. This fairy-land gave birth to new methods and principles of park art which then spread throughout the world. By Versailles Park France has gained an independent and original school of park architecture, which is now known as a classical or French style of park building art. Versailles Park has so far been the only park in the



world to dictate the ways of planning, the style and technical means for creating similar Gardens of Eden in other countries. It is common knowledge that those in power elsewhere strove to imitate the art and the rhythm of life at Versailles.

A whole galaxy of outstanding men of arts and gifted masters participated in the creation of this masterpiece of architecture and park art. Architects, painters, sculptors, landscape architects, decorators, gardeners, jewellers, embroiderers, and masters of needle-work had joined hands to create a complicated, and architecturally accomplished complex and to unify in a highly decorative system the monumental Versailles Palace and the compositions of park vegetation.

The author, Shalva Isakadze, Master of Science, has recently visited France and made careful study of Versailles Park among other specimens of park and gardening art. He has measured the decorative landscape sites and described a great variety of vegetation. The book is richly illustrated with photographs (in white- and black) taken by the author himself.

ლიტერატურა — Л И Т Е Р А Т У Р А

- ახვაციანი შ., 1966. სან-სუსის ბაღი, თბილისი.
- Алпатов М. 1940. Архитектура ансамбля Версаля. Москва.
- Алпатов М. 1958. Живопись. Москва.
- Алпатов М. 1963. Этюды по истории западноевропейского искусства. Москва.
- Брунов Н. 1938. Дворцы Франции XVII—XVIII вв. Москва.
- Всеобщая история архитектуры. 1969, т. 7. Москва.
- Всеобщая история искусства. 1963. т. 4. Москва.
- Дмитриева О. 1960. Искусство Франции XV—XVIII веков. Ленинград.
- История искусства зарубежных стран. 1964. т. 3. Москва.
- История Франции. 1972. т. I. Москва.
- Каптерева Т., Быков В. 1969. Искусство Франции. Москва.
- Курбатов В. 1916. Сады и парки. СПб.
- Лившиц Н. 1967. Французское искусство XV—XVIII веков. Ленинград.
- Регель А. 1896. Изящное садоводство и художественные сады. СПб.
- Стойчев Л. 1962. Парковое и ландшафтное искусство. София.
- G. Van Der Kemp, J. Levrer. 1957. Versailles Trainons. Paris.
- G. Van der Kemp. 1968. Versailles. Paris.
- G. and S. Jellicoe 1975. The Landscape of Man. New York.
- Coats Peter. Jardins du Monde; Versailles.
- Jardins de France. 1966, № 8. 1967, № 1. Paris.
- Ormos J. 1967. A kerttervezés és története gyakorlata. Budapest.
- Champigneulle B. 1955. Versailles dans l'art et l'histoire. Paris.
- Fortoul H. 1854. Les fastes de Versailles. Paris.

## შ ი ნ ა ა რ ხ ი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	7
საფრანგეთის საბალო-საპარკო ხელოვნება	9
ვერსალის ისტორია	13
დიდი ტრიანონის სასახლე	82
მარლის სასახლე	85
ტოპიარული ხელოვნება	87
Résumé	123
Summary	125
ლიტერატურა	126

Шалва Георгиевич Исакадзе

ПАРК ВЕРСАЛЯ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1283

\*

რეცენზენტი ბიოლ. მეცნ. კანდიდატი ირ. ხ მ ა ლ ა ძ ე

გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩ ი ჩ უ ა

ტექნორედაქტორი ნ. ბოკერიძე

მხატვარი ვ. ხ მ ა ლ ა ძ ე

კორექტორი ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გადაეცა წარმოებას 31.1.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.4.1980;  
ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 11;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,9;

უე 01065;

ტირაჟი 2000;

შეკვეთა № 326;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

